არგუმენტაყრილი როგოზინი აღშფოთებულია - ევროსაბჭო ეშმაკს შეეკრა A3

შრიოდერის გამარჯვება და გერმანია-აშშ-ს დაძაბული ურთიერთობები A8

ავტო-მონადირე B4-B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 2002 წელი. №115

ფასი 50 თეთრი

# კოდორში უცხო არავინაა

ზაზა ფაჩუაშვილი



ძალოვანები კოდორის ხეობაში.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

გუშინწინ ინფორმაცია გავრცელდა, კოდორი ალყაშიაო. მაგრამ ეს დეზინფორმაცია გამოდგა. იმასაც ამბობდნენ, მარუხში რუსული დესანტი გადმოსხესო.

ამის საპასუხოდ კოდორში სრულიად დაუგეგმავი გაფრენა მოხდა.

კოდორში ოთხი ხელისუფალი გაემგზავრა – სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი, თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე და უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია.

ვერტმფრენი ჩხალთაში დაეშვა. სტუმრებს დახვდნენ მესაზღვრეები, ადგილობრივი შენაერთის "მონადირის" მებრძოლები და დიდ-პატარა ჩხალთელები. ავთანდილ ჯორბენაძემ პირველად ჩხალთის საშუალო სკოლა მოინახულა და ბავშვებსა და პედაგოგებს სკოლის გადახურვაში დახმარებას დაჰპირდა. პედაგოგები სიხარულით ცას ეწივნენ (გადაჭარბებული არ გეგონოთ, ცამდე ერთი ახტომაა საჭირო).

მერე, გავრცელებული ინფორმაციის ხათრით, ხელისუფალნი საქართველო-აფხაზეთის ნაძალადევ საზღვარზე გავიდნენ და სიტუაცია ადგილზე გაარკვიეს.

სინამდვილეში რა ხდება?

რუსები გულს უხეთქავენ აფსუურ–სომხურ ფორმირებებს, კოდორიდან ჩეჩენი ბოევიკების რეალური საფრთხე გელითო, და ამით ერთობიან. უფრო სწორად, თამაშობენ, რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა. შედეგად აფსუები და სომხები მარუხის უღელტეხილს ცოცხალი თავით არ სცილდებიან. ღამ-ღამობით კიდევ,

გაგრძელება A3 გვერდზე

## „კუდიანებზე ნადირობის" საშიშროებამ დეპუტატები დააფრთხო - „კუდიანიც" და „უკუდოც"

ეკა კვესიტაძე.

**იმ დეპუტატების მიმართ, ვინც არღვევდა და არღვევს საქართველოს კანონებს, ადექვატური ზომები უნდა იყოს მიღებული, მათი საქმიანობა ფართოდ უნდა გაცხადდეს მასმედიის მეშვეობით,** – დაახლობით ასე ჟღერს უშიშროების საბჭოს გასაიდუმლოებული დოკუმენტის 27-ე მუხლი, რომელიც ახალი პოლიტიკური სკანდალის მიზეზი გახდა.

მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ ბიუროს დახურულ სხდომაზე შეშფოთება გამოთქვა, რომ ეს მუხლი, შესაძლოა, დეპუტატების წინააღმდეგ ყოფილიყო გამოყენებული, მთელი პარლამენტი ისტერიკამ მოიცვა.

კანცელარიამ კი საპასუხო რეაქცია პრეზიდენტის პრესმდივანის მიერ მოწყობილი საგანგებო პრესკონფერენციით გამოხატა. კახა იმნაძე ამტკიცებს, რომ დეპუტატების მიერ შექმნილი აჟიოტაჟი ხელოვნურია და ამის რეალური საფუძველი არ არსებობს. **"ის, რომ 27-ე მუხლში მხოლოდ დეპუტატებზეა ლაპარაკი, ტექნიკური ხარვეზია და ამ მუხლში არა მხოლოდ დეპუტატები, არამედ უნდა**

გაგრძელება A3 გვერდზე

## საიდუმლო დოკუმენტის „განსაიდუმლოების ისტორია"

ნინო ბურჯანაძე: " "მიმაჩნია, რომ საქართველოს დაგეგმილი სცენარის განვითარება ავაცდინე"

თამარ ხორბალაძე

სამშაბათს, მას შემდეგ, რაც ბიუროს დახურულ სხდომაზე გახმოვანებულმა ინფორმაციამ პრესაში გაჟონა, საქართველოს პარლამენტის სხდომა მთლიანად მიეძღვნა დეპუტატების მიერ "ვერნანახ" საიდუმლო დოკუმენტს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობათა დარეგულირების შესახებ.

საკითხის განხილვის მთავარი ინიციატორები იყვნენ "გაერთიანებული დემოკრატები" და "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის". მათ მალე პარლამენტის ყველა ფრაქციამ დაუჭირა მხარი, გარდა "მოქალაქური" ფრაქციებისა და სოციალისტებისა.

დოკუმენტის განხილვის ინიციატორთა არგუმენტები ასეთი გახლდათ:

**"პარლამენტარების მიერ კანონის დარღვევის შესწავლის უფლება და მოვალეობა საგამოძიებო უწყებებს ყოველგვარი სპეციალური დავალებების გარეშე გააჩნიათ;**

**კანონის დამრღვევები უნდა დაისაჯონ, მაგრამ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დოკუმენტში აქცენტი მაინცდამაინც დეპუტატებზეა გაკეთებული;**

გაგრძელება A3 გვერდზე

## კორუფცია ძირს უთხრის ბიუჯეტის საიმედოობას

მსოფლიო ბანკი მთავრობას საბიუჯეტო თანხების უფრო ეფექტურ ხარჯვას ურჩევს

გიორგი კალანდაძე

*გასულ კვირას მსოფლიო ბანკმა საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ხარჯების შესახებ მოხსენება წარუდგინა. ეს დოკუმენტი, ისევე როგორც მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ექსპერტული დასკვნები საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის თაობაზე, საკმაოდ მწვავეა და ქართველ მინისტრებს სერიოზული დაფიქრების საფუძველს აძლევს. მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობის ეკონომისტი სერგო ვაშაყმაძე აღნიშნავს, რომ მსგავს გამოკვლევებს ეს საფინანსო ორგანიზაცია მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში ახორციელებს, სადაც პროექტებს აფინანსებს. ამდენად, მისი თქმით, ბუნებრივია მსოფლიო ბანკის დაინტერესებაც, დაადგინოს, თუ როგორ იხარჯება ასეთ ქვეყნებში საბიუჯეტო სახსრები.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## „რატომ ჰყავს მერაბ ადეიშვილს ამდენი მოადგილე?"

მსოფლიო ბანკი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რესტრუქტურიზაციას ახორციელებს

სოფო კვინტრაძე

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში მსოფლიო ბანკის პროექტის ხელმძღვანელმა, დოქტორმა აშრაფ ჰამედმა პრესკონფერენცია გამართა. პროექტი, რომელსაც, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, გერმანული კომპანია "დორნიე კონსალტინგი" ახორციელებს, 2000 წელს დაიწყო და ახლა დასკვნით, ანუ დანერგვის ფაზაში შედის. პროექტის მიზანია ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რესტრუქტურიზაცია და მისი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვა. როგორც აშრაფ ჰამედმა განაცხადა, რეფორმის არსი სამინისტროში ანტიკორუფციული, გამჭვირვალე და ძლიერი მმართველობითი სტრუქტურის ჩამოყალიბებაა. რეფორმის შედეგად ერთმანეთს გაემიჯნება პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმხორციელებელი რგოლები.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რეფორმირებული პოლიცია ძველ უფლებებს კარგავს

ინგა ალავიძე

უწყებათშორისი რეფორმების კომისია მუშაობას ამთავრებს. დღეს უშიშროების სამინისტროს რეფორმის კონცეფციას ეყრება კენჭი და პროექტის საბოლოო ვარიანტს ხელმოსაწერად წარუდგენენ პრეზიდენტს. ერთი სიტყვით, სამართალდამცველი სტრუქტურების რეფორმირების თეორიული პაკეტი ოქტომბრის დასაწყისში მზად იქნება და, შესაბამისად, დაიწყება სამართლებრივი ცვლილებების პრაქტიკული განხორციელებაც.

**"შესაძლოა, 9 თვე ცოტაც იყოს ამხელა სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ ჩვენ ძალიხმევა არ დაგვიშურებია, რათა რეფორმის კონცეფცია შეგვემუშავებინა. მართალია, არსებობს გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ყველაფერი დაიხვეწება და პროექტის საბოლოო სახე იქნება ისეთი, როგორიც ცივილიზებულ ქვეყანას შეეფერება. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია,"** – აცხადებს კომისიის ხელმძღვანელი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, რომელიც მუშაობით კმაყოფილია.

გაგრძელება A7 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | |
| ქუთაისი | 32 | |
| ბათუმი | 29 | |
| სოხუმი | 30 | |
| ფოთი | 29 | |
| თელავი | 29 | |
| ზუგდიდი | 32 | |
| გორი | 27 | |
| ახმეტა | 29 | |
| ჭიათურა | 29 | |
| გაგრა | 29 | |
| სამტრედია | 31 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1057 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3448 |
| რუბლი | 0.0689 |

## კუჩმას საწინააღმდეგო კამპანიას ამერიკაც უერთდება



კიევის ქუჩებში დემონსტრაციები არ წყდება.

REUTERS

უკრაინის პარლამენტის ორმოცდაათამდე დეპუტატი გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში შეიჭრა და იქ შიმშილობა გამოაცხადა. ისინი პრეზიდენტ კუჩმასთან შეხვედრას ითხოვდენ. დეპუტატებს მხარს შენობის წინ შეკრებილი 5 ათასი მომიტინგე უჭერდა.

სიტუაციის გამწვავებამდე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა უმაღლეს რადაში სცადეს დაეყენებინათ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების საკითხი, მაგრამ ამ წინადადების მხარდამჭერთა რაოდენობა იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ საკითხი სხდომის დღის წესრიგშიც კი არ შევიდა.

"კუჩმა, წადი", ამ შეძახილებით ოპოზიციის წარმომადგენლები ქუჩაში გამოვიდნენ და მხარდამჭერებთან ერთად პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობისკენ გაემართნენ.სამართალდამცველებთან შეტაკებას ადგილი არ ჰქონია, არც სამართალდამცავებს განუხორციელებიათ რაიმე აქტიური ქმედებები. მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციულ შენობასთან, მსვლელობის მონაწილეებს ომონის გაძლიერებული რაზმები დახვდათ, რომლებმაც მათ შენობაში შესვლის ნება არ მისცა.კორდონის გარღვევა მხოლოდ

გაგრძელება A5 გვერდზე

## კოლინ პაუელი: „უხეში ძალის გამოყენება გამოსავალი არ არის"

*რუსეთის ახალი ამბების სააგენტო "იტარ-ტასის" კორესპონდენტმა ანდრეი შიტოვმა ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს. ინტერვიუში პაუელი შეეხო ერაყის, საქართველოს, ამერიკის უსაფრთხოების ახალი სტრატეგიისა და განიარაღების პრობლემებს. გთავაზობთ ინტერვიუს იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შეეხება.*

*უნდა ითქვას, რომ რუსული სააგენტოები ამ ინტერვიუს "ქართული" ნაწილის კომენტირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პაუელის გამონათქვამს: "რუსეთმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ რას იღონებს თავდაცვისათვის". თუმცა, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჭეშმარიტ შეხედულებებზე უკეთეს შთაბეჭდილებას ინტერვიუს სრული ტექსტი გვიქმნის. პაუელის განცხადებები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაცია პანკისის ხეობის გარშემო დაწყებულ საერთაშორისო დავაში მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს.*

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ავტო-მონადირე B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# კოდორში უცხო არავინაა

პირველი გვერდიდან

თურმე, სულელებივით ისვრიან. "ხვრეტენ" მთებს, მდელოებს, მდინარეს და ჰაერს. ჩვენები ამბობენ, ეშინიათ და იმიტომო. იმ შეშინებულებს არემარეც დაუნაღმავთ და, თურმე, ღამე არ გადავა ისე, ნაღმზე რომელიმე ნადირი არ აფეთქდეს. სრული სერიოზულობისთვის ვერტმფრენების მიმოფრენაც სისტემატურია, ხდება უწყვეტი მომარაგება და როტაცია. ცხადია, ყოველივე ეს შეშფოთების საფუძველს ქმნის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მდგომარეობა გუშინ და გუშინწინაც ასე იყო. ახალი და საპანიკო არაფერი მომხდარა. მით უმეტეს, რომ "მონადირის" მებრძოლები სიფხიზლეს წუთითაც არ კარგავენ. რაც შეეხება განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს ქართველებს კოდორის ხეობაში დამატებით თავდაცვის სამინისტროს ძალები შეჰყავთ, კიდევ უფრო დიდი სისულელეა. აი, რა კომენტარს აკეთებს ამის შესახებ ემზარ კვიციანი:

**"ეს არის სპეციალურად გავრცელებული დეზინფორმაცია ხეობაში სიტუაციის დაძაბვის მიზნით. რუსები იმათ ეუბნებიან, კოდორში ჩეჩენი ბოევიკები და ქართველი მეომრები შემოდიანო; ჩვენ გასაგონად კი ამბობენ, იქითა მხარეს ძალების კონცენტრაცია ხდებაო და ამით კონფლიქტის პროვოცირებას ცდილობენ. მარუხზე მართლა არის ტყვიამფრქვევებითა და ყუმბარმტყორცნებით შეიარაღებული ასამდე მეომარი, ერთი-ორი კარავიც აქვთ გაშლილი, ჩვენ ზონაშიც არიან, მაგრამ მე არ ვაკლებ მათ ამ სიამოვნებას, ვინაიდან მინდა, თავად დარწმუნდნენ, რომ ჩეჩენი ბოევიკები და ჩვენი დამატებითი ძალები აქ არ არიან. მერე ადგებიან და თავად დაიხევენ უკან. ნებით თუ არ დაიხევენ, თოვლი მოვა და იძულებულნი გახდებიან. მანამდე რა საჭიროა სიტუაციის დაძაბვა? რაც შეეხება ხეობას, საიმედოდაა დაცული ჩვენი ადგილობრივი ძალებით, ისე რომ, აქ ვერავინ შემოვა".**

დეზინფორმაციას ადგილობრივი მოსახლეობაც შეუწუხებია, სანამ სინამდვილე გაირკვეოდა. ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე ხალურ გურჩიანი: **" ხალხს ათი წელია, ცისთვის თვალი არ მოუცილებია და კიდე შეშინება უნდა?"**

"მონადირის" მეთაური მაიორი გირგვლიანი: **"დღეს გაერო-ს დამკვირვებლები უნდა ამოვიდნენ ხეობაში. მათ შორის რუსებიც იქნებიან. ხეობის რუკას მივცემ და რომელ წერტილსაც დაადებენ ხელს, იქ მივიყვანთ. მერე ხომ დარწმუნდებიან, რომ ჩვენი ჯარები და ჩეჩნები აქ არ არიან".**

ავთანდილ ჯორბენაძე: **"ჩვენ თითქმის ყველა საგუშაგო შემოვიარეთ, რისი ნახვაც საჭირო იყო. მინდა ვუთხრა საქართველოს მოსახლეობას, რომ არავითარი განსაკუთრებული საშიშროება კოდორის ხეობას დღეს არ ემუქრება. ასევე მინდა მივმართო აფხაზებსაც და დავარწმუნო იმაში, რომ არავითარი ჩეჩნები აქ არ არიან და საერთოდ კოდორიდან მათ საშიშროება არ ემუქრებათ."**

იგივე გაიმეორა ვალერი ხაბურძანიამაც, რომელმაც ღიმილით აღნიშნა, რომ პანკისიდან კოდორში მხოლოდ მე ჩამოვედიო. დავით თევზაძემ კი სახელმწიფო მინისტრს ზოგადი სიტუაცია გააცნო და ბრძანა, რომ ხეობა ისეა გამაგრებული, როგორც საჭიროა და რომ იქ შესვლა ადვილი არავისთვის იქნება.

დღეს, როგორც აღინიშნა, კოდორი გაერო-ს დამკვირვებლებს მიიღებს. ემზარ კვიციანმა თქვა, ორი ყუმბარმტყორცნი მაქვს და მათ თვალწინ ორივეს გავიტან ხეობიდანო.

# რუსები კოდორის ხეობის ასაღებად ემზადებიან - აცხადებს პრეზიდენტის პრესმდივანი

## სოხუმში აფხაზი ექიმები კი ზაურ გულბანის გადასარჩენად იბრძვიან

ზაზა წულაძე

*გუშინ გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰეიდი ტალიავინი კოდორის ხეობაში შექმნილი **"უკიდურესად დაძაბული და ფეთქებადსაშიში სიტუაციის"** გამო, საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფალთა სასწრაფო შეხვედრის ინიციატივით გამოვიდა. ეს განცხადება ტალიავინიმ სოხუმში ანრი ჯერგენიასთან საუბრის შემდეგ გააკეთა. ამ შეხვედრაზე აფხაზთა პრემიერმა ღიად განაცხადა, რომ **"სოხუმში კოდორთან დაკავშირებით მოთმინების ფიალა ეწურებათ. ხეობის საქართველოს იურისდიქციაში გადასვლა მოუთმენელი და არასამართლიანია".** კოდორში სიტუაციის მკვეთრი გართულებისთვის ემზადებიან თბილისშიც. გუშინ ხეობაში მოულოდნელად სახელწიფო მინისტრი და თავდაცვის მინისტრი გადაფრინდნენ. გუშინვე პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსმა ხეობის ახლოს რუსი ჯარისკაცების კონცენტრაციის შესახებ გააკეთა განცხადება.*

აფხაზური სააგენტო "აფსნიპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ანრი ჯერგენია კოდორის ხეობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამატებითი კონტიგენტისა და ჩეჩენი ბოევიკების შეყვანაზე საუბრობს. **"ჩვენ კიდევ ერთხელ შევეცდებით დავარწმუნოთ თბილისი, რომ კოდორში შეიარაღებული ძალებისა და ჩეჩენი ბოევიკების თავმოყრა საქართველოს ახალ უბედურებას მოუტანს,"** – აცხადებს ჯერგენია. აფხაზთა პრემიერმა სოხუმში გამართულ შეხვედრაზე პირდაპირ სთხოვა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელს, ზეწოლა მოახდინოს თბილისზე, რათა **"კოდორის კრიზისი მხოლოდ მშვიდობიანი გზით იქნას მოგვარებული".**

კოდორის მიმართულებით სამხედროების და, მით უმეტეს, ბოევიკების გადაადგილებას კატეგორიულად უარყოფენ თბილისში. სამაგიეროდ, კვლავ საუბრობენ რუსულ-აფხაზური შენაერთების კონცენტრაციაზე ადანღეს ხეობაში და გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდასთან, რომლებიც ქართველების კონტროლირებადი ტერიტორიიდან სულ რაღაც 50-60 კილომეტრში მდებარეობს. სააგენტო "მედიანიუსი", თავდაცვის სამინისტროში სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ **"წებელდასთან რუსეთის სამშვიდობო ძალებმა "სტრელასა" და "იგლას" ტიპის საზენიტო დანადგარები განალაგეს, ხოლო გალიდან ჯერ სოხუმის, შემდეგ კი კოდორის მიმართულებით, ოთხი ჯავშანტრანსპორტიორი და იარაღით დატვირთული ხუთი გაზ-66 ტიპის მანქანა გადაადგილდა".**

გუშინვე კოდორში სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ჩაფრინდნენ, პარალელურად პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ ხეობასთან ახლოს აფხაზური არმიის ფორმაში გადაცმული რუსი სამხედროების კონცენტრაციის ფაქტი დაადასტურა. **"მძიმე ტექნიკა შემოდის ოჩამჩირის საზღვაო პორტიდან, ასევე გუდაუთის სამხედრო ბაზიდან. ჩვენი ინფორმაციით, აფხაზეთში უკვე გადმოიყვანეს ჩეჩენი და ყაბარდოელი ტერორისტები, რომლებმაც რუსებთან ერთად კოდორზე იერიში უნდა განახორციელონ. სავარაუდოა, რომ გაერო-ს დამკვირვებლები, არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას, ვინაიდან გადაადგილებები, ძირითადად, დამკვირვებლების ზონის მიღმა ხდება. იმ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რაც დღეისთვის გაგვაჩნია, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი კოდორში სერიოზულ პროვოკაციას გეგმავს,"** – აღნიშნა იმნაძემ.

ჯერჯერობით, სამხედრო შეტაკებამდე საქმე არ მისულა, თუ არ ჩავთვლით ინციდენტს სოფელ ოხურეიში, სადაც უცნობმა პირებმა გალიდან ოჩამჩირისკენ მოძრავი "ჟიგული" დაცხრილეს, რის შედეგადაც ორი აფხაზი დაიჭრა. "24 საათის" ინფორმაციით, სვანებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის დროებითი დათბობის მიზეზი სოფელ ომარიშარაში ფორსმაჟორული შემთხვევა გახდა. 17 სექტემბერს ომარიშარაში კლდიდან მოწყდა 40 წლის ზაურ გულბანი, რომელმაც სიცოცხლისთვის საშიში მძიმე დაზიანებები მიიღო. ვინაიდან მისი ტრანსპორტირება თბილისში შეუძლებელი იყო, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა თხოვნით მიმართა რუსეთის სამშვიდობო ძალებს, რომელთა ვერტმფრენით გულბანი სოხუმში გადაიყვანეს და აფხაზმა ექიმებმა ოპერაცია გაუკეთეს. დღეისათვის გულბანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა, თუმცა, აფხაზები მის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ.

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი თეიმურაზ მოსიაშვილი სომხეთში გაემგზავრა. ვიზიტისას დაგეგმილია შეხვედრა სომხეთის პრეზიდენტთან რობერტ კოჩარიანთან, პრემიერ-მინისტრთან ანდრანიკ მარგარიანთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ვარდან ოსკანიანთან და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მოსიაშვილი განიხილავს ოფიციალურ ერევანსა და სომხური მოსახლეობით დასახლებული საქართველოს რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამცხე-ჯავახეთში შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველყოფას.

ადრე პრემიერ-მინისტრმა მარგარიანმა გამოთქვა მზადყოფნა ხელი შეუწყოს რეგიონის სოციალურ ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებას. საქართველოს პრეზიდენტმა უკვე მიიღო პროგრამა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას გულისხმობს.

რეგიონის მოსახლეობა უკვე გამოვიდა პროტესტით და გამართა მიტინგი, სადაც გამოიყენა ლოზუნგები "ხელი შორს რუსეთის ბაზებიდან". წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მზად არიან მოითხოვონ რეგიონისათვის ავტონომიურობა. **კავკას-პრესი.**

■■■

**თბილისი.** აჭარაში დისლოცირებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზიდან 90 დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურე რუსეთში გაემგზავრა, თუმცა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციის გამო მათი შეცვლა ვერ ხერხდება. მაისში გიუმრიში რუსეთის სამხედრო ბაზაზე 130 ახალწვეული ჩავიდა, რომლებსაც აჭარის ბაზიდან დათხოვილი სამხედროები უნდა შეეცვალათ. შესრულდა ყველა აუცილებელი პროცედურა და ჯერ კიდევ აგვისტოში სამხედრო მოსამსახურეებმა საქართველოს ვიზები მიიღეს, მაგრამ საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის განკარგულებით პანკისის ხეობაში 25 აგვისტოს დაწყებული სპეცოპერაციის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ნებისმიერი გადაადგილება აიკრძალა. ბაზის დაუკომპლექტებლობის გამო განაწესში სიარული ოფიცრებსა და ზემდეგებს მოუწევთ, აღნიშნა წყარომ.

მისი თქმით, ბაზის სარდლობამ საქმის კურსში ჩააყენა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მაგრამ პრობლემის გადაჭრა ვერ ხერხდება. **პრაიმ-ნიუსი.**

■■■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ჰაიდე ტალიავინისთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა მიიღებს ყველა ზომას, რათა დაიძლიოს კრიზისი კოდორის ხეობაში. "ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ მშვიდობიან პოლიტიკურ საშუალებებს, მაგრამ ჩვენ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. კიდევ ერთხელ შევეცდებით დავარწმუნოთ ოფიციალური თბილისი იმაში, რომ ქართული სამხედროების არსებობამ კოდორის ხეობაში შეიძლება საქართველო კიდევ ერთხელ ახალი საშიშროების წინაშე დააყენოს", - აღნიშნა ჯერგენიამ. **კავკას-პრესი.**

■■■

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში დახმარება სთხოვა. სამინისტრომ 2003 წლის ბიუჯეტში 18 მილიონის გამოყოფა მოითხოვა, რაც შარშანდელ ბიუჯეტზე ორჯერ მეტია. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროსთვის დაფინანსების გაზრდა 2003 წლისთვისაც არ არის დაგეგმილი. მინისტრის განცხადებით, „პენიტენციური სისტემის პრობლემა პანკისის და კოდორის ხეობების პრობლემებზე არანაკლებია. მისი დაუფინანსებლობა სახელმწიფოს სავალალო შედეგებამდე მიიყვანს".

საბჭოს წევრები იუსტიციის მინისტრს შეჰპირდნენ, რომ ამ საკითხებს სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრისას დასვამენ. **მედია-ნიუსი.**

■■■

**მოსკოვი.** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ადასტურებენ, რომ საქართველოსთან ამჟამად არსებული დაძაბული ურთიერთობები ბევრად არის განპირობებული რუსებისთვის საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ფიგურის მიუღებლობით. "რუსეთის ფართო საზოგადოებისათვის ედუარდ შევარდნაძის ფიგურა ასოცირდება სსრკ-ს დაშლასთან თუ გულწრფელი ვიქნებით, რუს სამხედროებს ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან არ უყვართ", განაცხადა სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი ჩეხოევმა. მთლიანობაში, მისი თქმით, რუსეთის დამოკიდებულება შევარდნაძისადმი "უკიდურესად უარყოფითია". **პრაიმ-ნიუსი.**

■■■

**თბილისი.** 2 ოქტომბერს ბრიუსელში ევროპის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის სხდომას საქართველოს წარმომადგენელი დაუფინანსებლობის გამო ვერ დაესწრება, - განაცხადა საუბრისას სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა თამთა წუწუნავამ. ცენტრი ფსიქოლოგიურ და სხვა სახის დახმარებას უწევს ბავშვებს. ცენტრის ძირითადი მიზანია - დაეხმაროს მოზარდ თაობას სამართლებრივ განათლებაში, გამოავლინოს მათი უფლებების დარღვევის ფაქტები. **მედია-ნიუსი.**

■■■

**სოხუმი.** ქართული მხარის პროტესტის მიუხედავად, რუსეთი აფხაზეთთან კონტაქტებს აღრმავებს: სოხუმში სამდღიანი ვიზიტით მოსკოვის სამთავრობო დელეგაცია იმყოფება. დელეგაციაში, რომელსაც მოსკოვის მერის მრჩეველი, დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი ხელმძღვანელობს, რუსეთის დედაქალაქის მთავრობის სასურსათო რესურსების დეპარტამენტის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს, ჯანდაცვის კომიტეტის, დსთ-სთან და ბალტიის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილებისა და სოჭის მუნიციპალური ბანკის წარმომადგენლები შედიან. ეს ვიზიტი სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ ანრი ჯერგენიასა და მოსკოვის მერ იური ლუჟკოვის შეთანხმების ფარგლებში მიმდინარეობს.**ინტერ-პრესი.**




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი **რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი.** პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). **დამატებები:** დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ლია თოფურია, ჯუანშერ ტიკარაძე. **რეკლამა:** ზურა ჯაოშვილი.

# საიდუმლო დოკუმენტის „განსაიდუმლოების ისტორია"

პირველი გვერდიდან

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირების კონტექსტში ამ დავალების გაცემა პირდაპირი მინიშნებაა მის პოლიტიკურ ხასიათზე, რაც თამამად შეიძლება, პოლიტიკური დევნის შესახებ გაცემულ ბრძანებადაც მოინათლოს;**

**ეს დავალება პარლამენტზე პირდაპირი ზეწოლის მცდელობაა;**

**მსგავსი დავალება და პარლამენტარებზე "დევნის" დაწესება პირდაპირი დარღვევაა კანონმდებლობისა, რომელიც დეპუტატების მიმართ მსგავს ფარულ ქმედებებს საერთოდ კრძალავს და ეს, შეიძლება, იქცეს იმპიჩმენტის საფუძვლად..."**

ამ აზრის მომხრეებმა გუშინ, დილის სხდომაზე პარლამენტში აღნიშნული დოკუმენტის მოტანა მოითხოვეს, რათა მისი სწორად შეფასება და მასზე დეტალურად მსჯელობა შესძლებოდათ.

სხდომაზევე გაირკვა, რომ საქართველოს პარლამენტართა ნაწილს, მაგალითად, სოციალისტ ვახტანგ რჩეულიშვილს, ჰქონდა ინფორმაცია ამ დოკუმენტის შინაარსის და, მეტიც, მისი ავტორის შესახებ. თუ მანამდე დოკუმენტის ავტორის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ჭორის დონეზე გაისმოდა, რჩეულიშვილმა ავტორად უშიშროების საბჭო დაასახელა და ამ ფაქტის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ გამოყენება სცადა: **"უშიშროების საბჭოს საიდუმლო დოკუმენტის გამჟღავნება სისხლის სამართლის დანაშაულია,"** - განაცხადა მან.

საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება უსაყვედურა პარლამენტის თავმჯდომარეს "მოქალაქეთა ფრაქციის" ხელმძღვანელმა ვიტალი ხაზარაძემაც.

"მოქალაქური" პარტიების მხარდაჭერამ, უფრო სწორად - შემრიგებლურმა პოზიციამ ამ დოკუმენტისადმი, ოპოზიციას კიდევ უფრო გაუმყარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სპეცდავალება უშუალოდ ოპოზიციის წინააღმდეგ გამოსაყენებლად იყო გაცემული.

დამნაშავე დეპუტატთა "მხილების" რუსულ-ქართულმა კონტექსტმა და ამ დოკუმენტის დასაცავად რჩეულიშვილის აქტიურობამ, გააჩინა მოსაზრება საქართველოში პრორუსული და ანტიდემოკრატიული "შეტრიალების" პერსპექტივის შესახებ.



პარლამენტარები ამაოდ მოითხოვდნენ საიდუმლო დოკუმენტის ხილვას.

ბესო გულაშვილის ფოტო

პარლამენტმა დილის სხდომაზე აღმასრულებელ ხელისუფლებას დოკუმენტის გამოქვეყნება და ახსნა-განმარტებები მოსთხოვა.

აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტს ამ დოკუმენტის ერთი, ოცდამეშვიდე "განსაიდუმლოებული" მუხლი ჯერ ტელევიზიით წაუკითხა, მერე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანიც გამოუგზავნა, რომელმაც, ასევე, მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული მუხლის შინაარსი გააცნო დეპუტატებს. საქართველოს პრეზიდენტმა კი დოკუმენტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასება იუსტიციის სამინისტროს დაავალა.

პარლამენტის სხდომაზე გამოსულმა მარიამ ცაცანაშვილმა განაცხადა, რომ დოკუმენტი, რომელზეც ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, გახლავთ უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ პრეზიდენტისთვის მომზადებული რეკომენდაცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირებისკენ გადასადგმელი ნაბიჯების თაობაზე. მისი უშუალო ავტორები და ხელმომწერები გუშინ არ დასახელებულა.

სამაგიეროდ, საღამოს სხდომაზე გამჟღავნდა დოკუმენტის კიდევ ერთი დეტალი - დეპუტატმა ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, რომ დოკუმენტში თუ რეკომენდაციებში ე.წ. "ზვიადისტთა" თემაც ფიგურირებს.

ამ ინფორმაციამ თავად დოკუმენტის პროვოკაციულობის შესახებ მოსაზრებას ახალი იმპულსი მისცა. შედეგად, სხდომამ გადაწყვიტა, მთავრობას კიდევ ერთხელ სთხოვოს "რეკომენდაციების" გადაცემა - ამჯერად პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და "ნდობის ჯგუფისთვის", რომლებიც მას შეისწავლიან და ავტორების პასუხისმგებლობის საკითხსაც დასვამენ.

და ბოლოს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ გუშინ გადაწყვეტილებას ამ ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ, აბსოლუტურად სწორი უწოდა და განაცხადა: **"მე, ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა საჭირო დონეზე, საკმაოდ სერიოზული კონსულტაციები მქონდა და სერიოზული პოზიცია დავაფიქსირე...**

**მე მიმაჩნია, რომ ამ საკითხის პარლამენტართათვის გაცნობით, სერიოზული პრობლემები ავაცილე ქვეყანას, რათა დაგეგმილი სცენარი არ განვითარებულიყო..."**

# „კუდიანებზე ნადირობის" საშიშროებამ დეპუტატები დააფრთხო - „კუდიანიც" და „უკუდოც"

პირველი გვერდიდან

**იგულისხმებოდეს ნებისმიერი პირი, ვინც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს. რაც შეეხება დეპუტატების წინააღმდეგ შეთქმულებებს და "კუდიანების დევნას" - ეს სისულელეა,"** – განაცხადა პრეზიდენტის პრესმდივანმა.

ფაქტია, რომ ასეთი განმარტება, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ტექსტში დაშვებული ტექნიკურ ხარვეზს ბრალდება, ვერანაირად ვერ პასუხობს ყველა იმ შეკითხვას, რომელიც ამ გასაიდუმლოებული დოკუმენტის გარშემო ჩნდება.

დეპუტატებმა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხი რომ უნდა აგონ, ეს ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში აქსიომაა და გაუგებარია, რატომ უნდა სჭირდებოდეს ამის ნორმად ქცევას საიდუმლო დოკუმენტი. ეს დოკუმენტი სამართალდამცავ სტრუქტურებს რომ ეხებოდეს და მათი მისამართით კონკრეტულ რეკომენდაციებს შეიცავდეს, მაშინ ასეთი გაუგებრობა ნამდვილად არ გაჩნდებოდა.

მაგრამ, ამ შემთხვევაში გაუგებრობას ლოგიკურად ბადებს ის ფაქტი, რომ ეს ფორმულირება ხვდება დოკუმენტში, რომლის სათაურია "საქართველოსა და რუსეთის დარეგულირების ღონისძიებათა გეგმა," სადაც კანონის დარღვევა უნდა ნიშნავდეს, არა რომელიმე რესტორანში დებოშის მოწყობას ან მილიონების უკანონოდ მითვისებას, არამედ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას.

ხოლო ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად, ხელისუფლება, ალბათ, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს.

ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ფონი, უკვე დიდი ხანია, იქმნება. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის მოვლენების დროს, სახელმწიფო ტელევიზია ე.წ. სტუდენტთა აქციის ორგანიზატორებად რამდენიმე პოლიტიკოსს ასახელებდა და მათ რუსეთის აგენტობაში სდებდა ბრალს, ხოლო კანცელარიის მეგობარი სტუდენტები ნოემბრის მოვლენათა შემსწავლელი კომისის შექმნას და აქციების ორგანიზატორთა გამოვლენას ითხოვდნენ.

ნოემბრის "ხავერდოვანი რევოლუციისადმი" ინტერესი ხელისუფლებას რომ ჯერ არ განელებია, ამაზე 27-ე მუხლის ერთი ფრაზაც მიანიშნებს – "დეპუტატები ვინც **არღვევდა** და არღვევს კანონს". სიტყვა "არღვევდა" ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობისაა, რადგან ის დეპუტატების ძველი ცოდვების გახსენებასაც გულისხმობს.

დღეს კი, ნოემბერში ჩამოყალიბებულ ტენდენციას ხელისუფლება იმ აზრის პოპულარიზაციით აგრძელებს, რომ, ვინც შევარდნაძის წინააღმდეგ ახლა გამოვა, ის თვითლუსტრაციას თავად მოახდენს.

ამ გასაიდუმლოებული დოკუმენტის 27-ე მუხლი უწყინარი ნამდვილად რომ არ არის და გარკვეული სახელისუფლებო წრეების ინტერესებს რომ უნდა მოემსახუროს, გამოჩნდა იმ სოლიდარობითაც, რომელიც პარლამენტის სახელისუფლო ფრაქციებმა გამოიჩინეს. ძალზე საყურადღებოა პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ვახტანგ რჩეულიშვილის დაუფარავი სიხარული და ყოფილი მოქალაქეების მისამართით ამაყად ნასროლი ფრაზა – თქვენი დრო დამთავრდა!

მართლაც პარადოქსულია: იმ ფონზე, როცა ხელისუფლება ყველაფერს უნდა აკეთებდეს ქვეყანაში დაძაბულობის შესასუსტებლად და მაქსიმალურად ცდილობდეს, პოლიტიკური ძალები ახლა მაინც არ დაუპირისპიროს ერთმანეთს, თავად ქმნის ისეთ დოკუმენტს, რომელიც დიდი გაუგებრობისა და აურზაურის მიზეზი ხდება და იმხედრებს არა მხოლოდ რადიკალურ ოპოზიციას, არამედ შედარებით ლოიალურად განწყობილ პარტიებსაც.

ყველაფერი ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ქვეყანა კურსს იცვლის და აქამდე დეკლარირებულ ღირებულებათა გადაფასებისთვის ნიადაგი მზადდება?

# რჩეულიშვილი მოსკოვისკენ მიიწევს

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პარლამენტმა ისევ ვერ მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის სახელით რუსეთის დუმაში გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობის შესახებ. უშედეგოდ დასრულდა პარლამენტის თავმჯდომარესთან გუშინ წარმოებული კონსულტაციები და საღამოს რვა საათზე დახურული ფორმატით გამართული ბიუროს სხდომაც.*

*ვახტანგ რჩეულიშვილის საქართველოს პარლამენტის დელაგაციის სათავეში ყოფნა-არყოფნის თემა გადაიქცა იმ პოლიტიკურ სასინჯ ქვად, რომელმაც საქართველოს პარლამენტის რეალური საგარეო ორიენტაცია უნდა დაადგინოს.*

ვახტანგ რჩეულიშვილი დაჟინებით ითხოვს რუსეთში საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში წასვლას. მან, როგორც ჩანს, ამის პირობა უკვე დადო მოსკოვში, სადაც რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, პუტინის განცხადების შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს მიერ აგრესიის პირდაპირ მუქარად იქნა შეფასებული, ვახტანგ რჩეულიშვილს, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ მთავარ "რუსოფილად" ითვლება, საქართველოს პარლამენტმა ვიცე-სპიკერის რანგში მოსკოვში ვიზიტის გამართვის მანდატი არ მისცა. მაშინ რჩეულიშვილი მოსკოვს მაინც გაემგზავრა და იქ, საქართველოს პარლამენტის სახელით, საპარლამენტო დელეგაციის ჩასვლის "საფუძველი მოამზადა".

რუსეთისთვის, ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანია დელეგაციის სათავეში რჩეულიშვილის ყოფნა.

ყოველ შემთხვევაში, "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთის დუმამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის წინადადებას, რომ შეხვედრები უშუალოდ თავმჯდომარეების დონეზე გამართულიყო, უარით და ვიცე-სპიკერების დონეზე შეხვედრების ორგანიზების შეთავაზებით უპასუხა.

რუსეთ-საქართველოს საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენელთა შეხვედრის რუსეთის სცენარით განვითარებას წინ აღუდგა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც დელეგაციის ხელმძღვანელად ვიცე-სპიკერი ელდარ შენგელაია დაასახელა.

ელდარ შენგელაიას კანდიდატურის მხარდამჭერი არგუმენტი გახლდათ ისიც, რომ იგი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელია.

ამ ინიციატივას აქტიურად აღუდგა წინ ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელმაც პარლამენტის ბიუროს ორშაბათის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მისი კანდიდატურის მოწინააღმდეგეებს განუცხადა, რომ პარლამენტში უკვე შემდგარია უმრავლესობა, რომლის სახელით საუბრის უფლებაც, ფაქტობრივად, მან აიღო თავის თავზე.

ბიუროს იმ სხდომაზე რჩეულიშვილმა საჭირო მხარდაჭერის მოპოვება ვერ მოახერხა. გუშინ "24 საათთან" საუბარში "მოქალაქეების" ფრაქციის ხელმძღვანელმა ვიტალი ხაზარაძემ, რომელიც ამ უმრავლესობის სავარაუდო წევრად უნდა მოგვეაზრებინა, განაცხადა, რომ პარლამენტში ოფიციალური უმრავლესობის ჩამოყალიბება არარეალურია, თუმცა, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ასეთი უმრავლესობის შეკრება ხერხდება ხოლმე.

რჩეულიშვილმა საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის დანიშვნა პარლამენტის ბიუროს მოსთხოვა. არსებობს ინფორმაცია, რომ მას ფრაქციების ხელმძღვანელებისგან სათანადო გარანტიები აქვს მიღებული. მიუხედავად ამ გარანტიებისა, გუშინ ბიუროზე კვორუმის შეკრება და გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა.

საკითხის განხილვა, სავარაუდოდ, დღეს განახლდება.

რჩეულიშვილის მიერ ბიუროს მხარდაჭერის მოპოვების შემთხვევაში, ეს თემა, სავარაუდოდ, საქართველოს პარლამენტის სესიის განხილვის საგნადაც იქცევა.

# არგუმენტაყრილი როგოზინი აღშფოთებულია - „ევროსაბჭო ეშმაკს შეეკრაო"

ეკა კვესიტაძე

დღეს ევროსაბჭოს ასამბლეაზე საქართველოს შესახებ რეზოლუციას უნდა ეყაროს კენჭი. პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს დიდი იმედი აქვს, რომ იმ პროექტს, რომელიც მთავარმა პოლიტკომიტეტმა დაამტკიცა და რომელშიც საქართველოს ინტერესები ბოლომდეა დაცული, ასამბლეა, ცვლილებების გარეშე, ხმათა უმრავლესობით მიღებს.

ჩვენი კორესპონდენტი სტრასბურგში დაუკავშირდა პარლამენტარ ზურაბ ჟვანიას და ტელეფონით ესაუბრა მას:

- ერთი კვირის წინ, როცა პარიზში ევროპის საბჭოს მთავარი პოლიტიკური კომიტეტის სხდომა გაიმართა, მე მოვითხოვე, რომ ევროსაბჭოს რეზოლუციის პროექტში სრულად ყოფილიყო ასახული ის პრობლემები, რომლებიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ბოლო დროს დაგროვდა.

ჩემი მოლოდინი გამართლდა და პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ასამბლეის გახსნის წინ გაიმართა, მომხსენებელმა კრისტა ლიორხერმა წარმოადგინა სრულიად ახალი პროექტი, რომელიც მთლიანად ასახავდა ჩვენს პრობლემებს. პროექტში ძალიან მკვეთრი და ცალსახა შეფასებებია რუსეთის აგრესიული პოზიციის გამო,

რამაც, ბუნებრივია, რუსების გააფთრება გამოიწვია, განსაკუთრებით კი - დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის როგოზინისა. მას სურდა, რეზოლუციის პროექტის ტექსტში პრინციპული ცვლილებები შეეტანა და ამის გამო კომიტეტში დავა და კამათი მთელი სამი დღე გრძელდებოდა.

მაგრამ ჩვენ რეალურად მოვახერხეთ ის, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა უკლებლივ გაიზიარა ყველა ჩვენი წინადადება.

კენჭისყრის დროს ძალიან სასაცილო სიტუაცია შეიქმნა, რადგან როგოზინის წინადადებას მხოლოდ სამი რუსი დეპუტატი უჭერდა მხარს, ყველა დანარჩენი კი წინააღმდეგი გახლდათ. ხოლო ჩემს წინადადებას კომიტეტის ყველა წევრი აძლევდა ხმას და იგივე სამი დეპუტატი წინააღმდეგი იყო.

**- კონკრეტულად რაზეა საუბარი რეზოლუციის საბოლოო პროექტში?**

- საბოლოო პროექტში უარყოფითად არის შეფასებული პუტინის მიერ 11 სექტემბერს გაკეთებული განცხადება. ნათქვამია, რომ რუსეთს არანაირი უფლება არ აქვს გაერო-ს წესდების 51-ე მუხლზე აპელირებისა, რომელიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი განცხადებებისა და ქმედებებისაგან, რომელიც რაიმე ფორმით საქართველოს სუვერენიტეტს ლახავს და, მით უმეტეს, დაუშვებელია სამხედრო მოქმედებების საქართველოს ტერიტორიაზე გადატანა. რუსეთმა ასევე არ უნდა დაუშვას საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. ამ კონტექსტში აღნიშნულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის ეკონომიკური ხელშეწყობა, ამ რეგიონის მცხოვრებთათვის ვიზებისა და პასპორტების გაადვილებული წესით გაცემა.

მოკლედ, რეზოლუციის პროექტში მიმოხილულია ყველა ის მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხი, რაც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში აწუხებს.

როგოზინი, რომელიც გუშინწინ ამბობდა, რომ მოიყვანდა არგუმენტებს, რომელთა მოსმენის შემდეგ ევროპელი დეპუტატები საქართველოს მიმართ რუსეთის პოზიციას გაიზიარებენ, დღეს გამწარებული იყო და რუსულ მასმედიასთან საუბრისას აცხადებდა, რომ ევროპელი დეპუტატები ეშმაკს შეეკრნენ.

**- შედგა თუ არა ის შეხვედრები, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, დღეს როგოზინთან და სხვა რუს დეპუტატებთან გქონოდათ დაგეგმილი?**

- მე თავიდანვე მივმართე რუსეთის დელეგაციას, რომ ევროპის საბჭოს ეგიდით დაიწყოს საქართველოსა და რუსეთს შორის საპარლამენტო დიალოგი. ჩემს ინიციატივას ასამბლეის პრეზიდენტი პიტერ შიდერი გამოეხმაურა და დღეს მის ოფისში, მისი და ასამბლეის გენერალური მდივნის თანდასწრებით, შედგა ჩვენი დელეგაციების შეხვედრა. როგოზინმა ითხოვა, რადგან დიალოგს ვიწყებთ, მაშინ რეზოლუციის მიღებაც გადავდოთო, რაზეც მე კატეგორიული უარი ვთქვი. პიტერ შიდერმაც განაცხადა, რომ ამ დოკუმენტს თავისი პროცედურები გავლილი აქვს, დღის წესრიგშია შეტანილი და მისი გადატანა არ მოხერხდება.

ასამბლეის პრეზიდენტი გამოვიდა ინიციატივით, რომ უახლოეს მომავალში საქართველოსა და რუსეთის საპარლამენტო დელეგაციებმა ევროსაბჭოში გამართონ შეხვედრები, რომელთაც დაესწრება როგორც ასამბლეის პრეზიდენტი, ისე ყველა პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენი ამოცანა იყო, დაგვეფიქსირებინა, რომ დიალოგისათვის მზად ვართ, მაგრამ გვინდა, ამ დიალოგში ევროპის საბჭოს პოლიტიკური ჯგუფების ლიდერებიც მონაწილეობდნენ და მათ არბიტრის ფუნქცია შეასრულონ, რათა რუსეთის მხრიდან ორმაგი სტანდარტი გამოირიცხოს. შეხვედრების ამ ფორმატს რუსული დელეგაციაც დათანხმდა.

**- რამდენად მოხერხდა კონსტრუქციული საუბარი თვითონ რუს დეპუტატებთან?**

- ჩვენ ძალიან კარგი დიალოგი გვქონდა რუსეთის სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარესთან - მარგელოვთან. მან შემოგვთავაზა, რეზოლუციას დავუმატოთ პუნქტი, სადაც აღნიშნული იქნება, რომ უნდა შეიქმნას ევროპის საბჭოს ფაქტების შემსწავლელი სპეციალური კომისია, რომელიც ჩამოვა და ადგილზე შეისწავლის ყველა ფაქტს. ამ წინადადებას, ბუნებრივია, ჩვენ ძალიან აქტიურად დავუჭირეთ მხარი.

სხვათა შორის, წელს პირველად მოხდა დამთხვევა და სტრასბურგში პარალელურად მიმდინარეობს ევროპარლამენტის სხდომაც. შესაბამისად, დაგეგმილი მაქვს შეხვედრები. ევროპარლამენტში რიცხოვნობით მესამე - მწვანეთა ფრაქცია, სადაც უმრავლესობას ჩემი მეგობრები წარმოადგენენ, იკრიბებიან, რომ ჩემი გამოსვლა მოისმინონ.

მათი ინიციატივით, ევროპარლამენტში შეტანილი იქნება რეზოლუცია რუსეთის აგრესიულ განცხადებებთან დაკავშირებით. შემდეგ კვირას კი ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტი მოისმენს ევროკომისიის ინფორმაციას რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.

**- არის თუ არა იმის მცირედი შანსიც კი, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მხარი არ დაუჭიროს რეზოლუციის პროექტს?**

- როგორც წესი, ასამბლეა უცვლელად იღებს იმ პროექტს, რომელსაც პოლიტიკური კომიტეტი წარადგენს და არა მგონია, გამონაკლისი ჩვენს შემთხვევაში მოხდეს.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შემდგენლისთვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამუშაო ადგილი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# შრიოდერის გამარჯვება - გერმანული ეკონომიკის დამარცხებაა

თორნიკე შარაშენიძე

*გერმანიაში ახლახან ჩატარებულ არჩევნებზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვებამ ლამის ნამდვილი პანიკა გამოიწვია ქვეყნის საფონდო ბირჟაზე. აქაური ძირითადი ინდექსი - დაქსი ერთბაშად 5 პროცენტით დაეცა და საგრძნობლად ჩამოსცდა ე.წ. უსაფრთხოების ზოლს, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე უარესი მაჩვენებელია. შრიოდერის დამაჯერებელი გამარჯვების გარდა, ამ ვარდნას ხელი შეუწყო არასახარბიელო ამბებმა აშშ-დან. იქაც დოუ ჯონსის ინდექსი საგრძნობლად დაეცა, წამყვან კომპანიათა მიერ ნაზარდი წაგებებისა თუ დაბალი მოგებების მიზეზით. შედეგად საფონდო ბირჟათა ინდექსები დასავლეთის ყველა წამყვან ქვეყანაში დაეცა, ეს განსაკუთრებით მტკივნეული იყო ლონდონში, სადაც ეფ-ტი-ეს-ის ინდექსი 1996 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე ჩამოვიდა.*

**"ამაზე უარესი შედეგს ვერ წარმოიდგენდით, - ასეთი კომენტარი გაუკეთა არჩევნებს გერმანიის ბანკის "შელერენ" ანალიტიკოსმა, - შროიდერის მმართველობის პერიოდში გერმანული ეკონომიკა უკან-უკან იხევდა, აქციებმა ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიწია."**

"დრეზდენ ბანკის" ანალიტიკოსმა კი შემდეგი განცხადება: ეს ცუდი ამბავია არა მხოლოდ გერმანიის, არამედ ევროპისთვისაც.

ერთი სიტყვით, იმედგაცრუებას გერმანულ საქმიან სამყაროში ვერავინ მალავს. ყველას ეიმედებოდა ქრისტიან-დემოკრატთა გამარჯვებისა, რომლებიც, ხელისუფლებაში მისვლის შემთხვევაში, ამომრჩევლებს რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარებას ჰპირდებოდნენ.

ერთი შეხედვით, ვითარება გერმანიაში, ცოტა არ იყოს, კურიოზულია. როგორც ვიცით, ეკონომიკა დაღმასვლას განიცდის, უმუშევრობამ შრიოდერის ხელში 10 პროცენტს მიაღწია და ასეთ ვითარებაში კანცლერს ფართო მასების მხარდაჭერა ვერ უნდა მოეპოვებინა. მაგრამ საქმე ისაა, რომ უმუშევარი გერმანელები გვარიან დახმარებას იღებენ მთავრობისაგან (უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელთან, ეკონომიკური სისუსტის გარდა, ამ ფაქტორსაც შეაქვს წვლილი) და მოსახლეობის ეს 10 პროცენტი დიდად შეწუხებული არაა. დაუსაქმებლობის მაღალ მაჩვენებელში წვლილი შეიტანა შრიოდერის მიერ გატარებულმა პოპულისტურმა კანონპროექტებმა მინიმალური ხელფასის დაწესების თაობაზე, რომელიც არაბუნებრივად მაღალია.

ასე მოიგო შრიოდერმა ფართო მასების გული, მაგრამ შრომისუნარიანი გმირობები უნდა ჩაიდინოს, რათა პოლიტიკოსები და ეკონომისტებიც ჩართოს თავის თაყვანისმცემელთა სიაში. პოლიტიკოსები შოკში ჩააგდო, წინასაარჩევნოდ ხმების დაწერის მიზნით, ერაყის საკითხი გამოიყენა და ამერიკის წინააღმდეგ გამოვიდა, "დათვი ფაფუკის მალაზიაში," – ასე მოიხსენიეს შრიოდერი მთავრობის საქციელი სპეციალისტებმა.

ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ფრედ ირვინმა კი განაცხადა, რომ გერმანიის მალე მრავალი ამერიკული კომპანია მიატოვებს და თუკი რეფორმები არ გატარდება (რაც შრიოდერის ხელში ნაკლებად მოსალოდნელია), ევროპის უდიდესი ქვეყანა ინვესტიციებს უნდა დაემშვიდობოს.

შრიოდერის გამარჯვების უბრალო გერმანელებიც მალე "გაუგებენ გემოს." კანცლერმა, წყალდიდობით გამოწვეული ზარალის საბაბით, გაურკვეველი ვადით გადადო გადასახადების, საერთო ჯამში, შვიდი მილიარდი ევროთი შემცირება, რაც ფართო მასებს მძიმე ტვირთად დააწვება.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველო ძალიან შეშფოთებულია შაჰდენიზის პროექტის მენეჯმენტის შეფერხებით. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ.

"მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის ორივე პროექტი – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და შაჰდენიზი – მნიშვნელოვანია, გაზსადენის პროექტი განსაკუთრებით [illegible]," - აღნიშნა მან.

ჭანტურიას თქმით, შაჰდენიზის პროექტის რეალიზაცია, შესაძლოა, შეფერხდეს არაუმეტეს 6 თვისა. "ჩვენ ორიენტირი აღებული გვაქვს იმაზე, რომ აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი 2005 წლიდან დაიწყება," - განაცხადა მან. ამასთან, ქართული მხარე უკვე ეძებს გაზის მიღების ალტერნატიულ გზებს, რათა არ იყოს დამოკიდებული მთლიანად რუსულ გაზზე.

ამ კონტექსტში განიხილება რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის არის აზერბაიჯანული აირის მიღების ვარიანტიც. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიასთან გუშინ შეკრებილი ასამდე ენერგეტიკოსი, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები "იტერასთან" მოლაპარაკებების შეწყვეტას და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას ითხოვდნენ.

როგორც "კავკას-პრესს" საპროტესტო აქციის მონაწილეებმა განუცხადეს, ისინი თავიანთი მოსაზრებების სახელისუფლებო ორგანოებამდე მისატანად კანცელარიაში დიდ დარბაზს ითხოვენ. სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან მამუკა ნიკოლაიშვილთან მოლაპარაკებები გამართა აქციის მონაწილეთა მიერ ნდობით აღჭურვილმა სამმა პირმა.

"კავკას-პრესთან" საუბრისას აქციის მონაწილეები დაიმუქრნენ, რომ, თუ მათ ყურს არ დაუგდებენ, პროტესტის უფრო მწვავე ზომებსაც მიმართავენ. მით უმეტეს, რომ მათ ზურგს "ერთობისა" და "ლეიბორისტების" წარმომადგენლები უმაგრებენ, რომლებიც აქციაში იღებდნენ მონაწილეობას და ენერგეტიკოსებს ყველაფერში ეთანხმებიან. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** გასულ კვირას ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულია 138.8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, აქედან მარეგულირებელი ჰესებმა 109.8 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავეს (დღე-ღამეში, საშუალოდ, 15 მილიონი კილოვატსაათი).

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, მარტო ენგურჰესმა გასულ კვირას 77.6 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა (დღე-ღამეში – 11.1 მილიონი კილოვატსაათი). ენგურჰესში მუშაობს ოთხი ჰიდროაგრეგატი - საერთო სიმძლავრით 800 მეგავატი.

რაც შეეხება სეზონურ ჰესებს, მათ წილად 29 მილიონი კილოვატსაათი მოდის, 280 მეგავატი ჯამური სიმძლავრით.

კვლავ გაჩერებულია თბოელექტროსადგური.

ამავე პერიოდში მოხმარებულ იქნა 138.8 მილიონი კილოვატსაათი (საშუალოდ, დღე-ღამეში 19.8 მილიონი კილოვატსაათი), რაც შარშანდელი ამავე პერიოდის მოხმარების 112.1 პროცენტია. აქედან თბილისმა მოიხმარა 35.8 მილიონი კილოვატსაათი (102.2 პროცენტი), რაც ქვეყნის მოხმარების 25.8 პროცენტია. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის ინფორმაციით, რუსთავში ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიწყება. დიდი ბრიტანეთის დელეგაცია, რომელიც ქალაქს მომავალ კვირას ეწვევა, უკვე საბოლოოდ შეარჩევს ქარხნისათვის განკუთვნილ ადგილს და საჭირო მანქანა-დანადგარების ჩამოტანაზეც იზრუნებს.

ამ ქარხნის მშენებლობა მსოფლიო ბანკის პროგრამით არის გათვალისწინებული და წლის ბოლომდე დანადგარები უკვე დამონტაჟებული იქნება. ქალაქის ნაგვისგან გასუფთავების საკითხს ინგლისელები მთლიანად საკუთარ თავზე იღებენ. **"მედია-ნიუსი"**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 19 - 25 სექტემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6423 | 0.6311 | 0.0052 |
| US$ | 1.5568 | | 0.9826 | 0.0081 |
| €uro | 1.5842 | 1.0177 | | 0.0083 |
| ¥en | 191.74 | 123.16 | 121.04 | |

### 2002 წლის 25 სექტემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1279 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3803 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4538 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1800 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3125 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1764 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0689 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4453 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3818 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0904 | ლარი |

# კორუფცია ძირს უთხრის ბიუჯეტის საიმედოობას

პირველი გვერდიდან

**"საქართველოში ბიუჯეტის 80 პროცენტი დაცულ მუხლებს უკავია. ასეთ ვითარებაში ნორმალურ საბიუჯეტო პროცესზე საუბარი არარეალურია. მით უფრო, როდესაც წლების მანძილზე ბიუჯეტის კლება წელიწადში სამჯერ მაინც ხდება. თუმცა, ყოველივე ეს საქართველოში საბიუჯეტო შემოსავლების ქრონიკული შემცირებითაა გამოწვეული. ასეთ პირობებში სხვა ხარჯების დაფინანსებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია,"** – აღნიშნა მსოფლიო ბანკის ეკონომისტმა.

უშუალოდ მოხსენებაში საუბარია საბიუჯეტო შემოსავლების არაპროგნოზირებადობაზე, რაც **"წარმოადგენს საქართველოში სწორი საბიუჯეტო მენეჯმენტის ყველაზე დიდ ხელშემშლელ ფაქტორს".** დოკუმენტის მიხედვით, **"პრობლემა იწყება ბიუჯეტის ფორმირების ეტაპზე, საბიუჯეტო წლის შემოსავლების შესახებ არარეალისტური, ხშირად, პოლიტიკური კონიუნქტურით განპირობებული პროგნოზების გაკეთებით, რაც გარდაუვალს ხდის ხარჯების შეკვეცას წლის განმავლობაში. ასე მაგალითად, 2000 და 2001 წლებში ბიუჯეტის შესრულებამ შეადგინა თავიდან გათვალისწინებულის 63 და 82 პროცენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ცალკეულ წლიურ ციკლში არ შეიძლება, შეიკვეცოს ხარჯების ზოგიერთი კატეგორია, როგორებიცაა შრომის ანაზღაურება და პენსიები, დროთა განმავლობაში ამ კატეგორიებზე (ე.წ. დაცულ მუხლებზე) მოსული დავალიანებების დაგროვება ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრომ მოახერხა შემოსავლების უფრო კონსერვატული პროგნოზების გაკეთება და ამით ახალი დავალიანებების წარმოშობის შემცირება, კვლავაც გრძელდება, პროგნოზირებულთან შედარებით, უფრო ნაკლები ფაქტობრივი შემოსავლების მიღება."**

მსოფლიო ბანკის ექსპერტები შიდა შემოსავლების გარშემო არსებულ გაურკვევლობას უკავშირებენ არა ცვალებად საგადასახადო ბაზას, არამედ პოლიტიკურ და მმართველობით ფაქტორებს. მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლება სწორედ პოლიტიკური მოსაზრებებით მოქმედებს წლიური გეგმების შედგენისას. ბუნებრივია, საბიუჯეტო პრობლემების განხილვისას, მსოფლიო ბანკის ექსპერტებს არც კორუფციის ფაქტორი გამორჩათ მხედველობის არიდან.

**"რესურსების არაპროგნოზირებადობა იწვევს დამახინჯებულ საბიუჯეტო შედეგებს და ასახვას ჰპოვებს ძალზე მოკლევადიან საბიუჯეტო ჰორიზონტში, რომელიც წელიწადზე მოკლეც კია, როდესაც საქმე ეხება ბიუჯეტის შესრულებას. უფრო მეტიც, ეს ფაქტორი ძირს უთხრის ბიუჯეტის საიმედოობას და ხელს უშლის სტრატეგიული საბიუჯეტო დაგეგმვის განვითარებას,"** – აღნიშნულია ბანკის მოხსენებაში. დოკუმენტის თანახმად, **"იმდენად, რამდენადაც დაცული მუხლები ბიუჯეტის უმეტეს ნაწილს მოიცავენ, რეალურად, მათ გარდა, ძალიან მცირე თანხები რჩება ბიუჯეტში თავისუფალი განკარგვისთვის, რაც ბიუჯეტს უფრო მოუქნელს ხდის."**

# "რატომ ჰყავს მერაბ ადეიშვილს ამდენი მოადგილე?"

პირველი გვერდიდან

ცვლილება, რომელიც რეფორმის შედეგად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში გატარდება, კადრების შეცირებას და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ადმინისტრაციების შექმნას ითვალისწინებს. როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩამოყალიბდება სამი ადმინისტრაცია – საავტომობილო, საზღვაო და საავიაციო. ადმინისტრაციები საჯარო სამართლის იურიდიული პირები იქნებიან და ფინანსურ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებენ. ამასთან, ისინი სამინისტროს მიერ შემუშავებულ პოლიტიკას განახორციელებენ, რათა უზრუნველყონ ქვეყანაში სატრანსპორტო მომსახურების სანდოობა და რენტაბელურობა. თითოეული ადმინისტრაცია ვალდებულია იქნება, სამინისტროს ბიზნეს-გეგმა წარუდგინოს. რაც შეეხება მარეგულირებელი ადმინისტრაციების ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც ჰამედს რეფორმის უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნია, ამის უზრუნველყოფა სარეგულაციო გადასახადის მოკრებით მოხდე-



*აშრაფ ჰამედი პრესკონფერენციაზე*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ბა. ყოველი დარგობრივი ადმინისტრაციისთვის დაფინანსების წყარო შესაბამის სატრანსპორტო სექტორში მომუშავე ოპერატორი კომპანიების მიერ გადასახდელი რეგულირების საფასური იქნება. მარეგულირებელი ადმინისტრაცია შემოსული მოსაკრებლის 20 პროცენტს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს გადაურიცხავს, ხოლო დანარჩენს თავად განკარგავს.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, რეფორმამ ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს სახელმწიფო ბიუჯეტზე. პირიქით, რეფორმის შედეგად საბიუჯეტო შემოსავლები უნდა გაიზარდოს. აშრაფ ჰამედმა თავისი გაკვირვება ვერ დამალა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მერაბ ადეიშვილის მოადგილეების რაოდენობასთან (მინისტრს ექვსი მოადგილე ჰყავს) დაკავშირებით. ჰამედის თქმით, ამდენი მოადგილე არც სამინისტროს სჭირდება და არც ქვეყანას. ასე რომ, თუ აშრაფ ჰამედის რეკომენდაციას გაითვალისწინებენ, ადეიშვილს მოადგილეების რაოდენობა ორამდე შეუმცირდება.

მსოფლიო ბანკის პროექტი წლის ბოლოსთვის დასრულდება. უახლოეს მომავალში ჩატარდება კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და მოხდება სამინისტროსა და ადმინისტრაციების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად მსოფლიო ბანკმა მთლიანად ორი მილიონ სამასი ათასი აშშ დოლარი გამოჰყო.

# გაუგებრობის ქართული სამკუთხედი ბილ ორაილს, იგნასიო ირიბარენსა და ალბერტო სოლისს შორის

მაია ურუშაძე

*თუ ხვალ "ეი-ი-ეს თელასი" და საბითუმო ბაზარი ურთიერთდავალიანების საკითხებსა და გადახდის მექანიზმებს ვერ შეათანხმებენ, შესაძლოა, 26 სექტემბრიდან დედაქალაქი ელექტროენერგიის გარეშე დარჩეს. ამის შესახებ განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა.*

**"ჩვენ არა თუ ვაპირებთ, არამედ უკვე ვახორციელებთ ქსელიდან არგადამხდელთა გათიშვებს საქართველოს რეგიონებში. "ეი-ი-ეს თელასის" გათიშვა უფრო რთული პროცესი იქნება, რადგან თბილისში ზოგიერთი ორგანიზაციის გამორთვა კანონით იკრძალება. გვესმის, რომ ამით, სამწუხაროდ, ტექნიკური პრობლემებიდან გამომდინარე, კარგი გადამხდელებიც დაზარალდებიან, მაგრამ ჩვენ კანონი არ გვაძლევს არგადამხდელთა უფასოდ მომსახურების უფლებას და სხვა არჩევანი არ გვაქვს,"** – აცხადებს ალბერტო სოლისი და "ეი-ი-ეს თელასისგან" საბითუმო ბაზრისა და "ეი-ი-ეს მტკვრის" ვალების შედარების აქტის ხელმოწერას ითხოვს.

ამ აქტის საფუძველზე, საბითუმო ბაზარს, "ეი-ი-ეს თელასის" მხრიდან მის მიმართ არსებული დავალიანების საშუალებით, იმ ვალების გაქვითვა სურს, რომელიც თავად ბაზარს დაუგროვდა "ეი-ი-ეს მტკვრისადმი". **"ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, "ეი-ი-ეს თელასს" აქვს უფლება, ეს თანხა პირდაპირ გადაურიცხოს "ეი-ი-ეს მტკვარს", მაგრამ ამას არ აკეთებს,"** – აცხადებს საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილე სოსო ნატროშვილი. **"არ ვიცით, ამ სტრატეგიის მეშვეობით ისინი რა შედეგებს ელიან. ეტყობა, არც თუ ისე ანერვიულებთ, თუ ბაზრის ოპერატორი მათ ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს,"** – მიაჩნია სოლისს.

საბითუმო ბაზრის მონაცემებით, მის მიმართ საერთო დავალიანება 400 მილიონ ლარს აღწევს, საიდანაც "ეი-ი-ეს თელასის" ვალი 34 მილიონი ლარია. ამავე დროს, "ეი-ი-ეს მტკვრისადმი" თავად საბითუმო ბაზარს 50 მილიონი ლარი მართებს. ამ ვალების გამო "ეი-ი-ეს მტკვარი" საბითუმო ბაზრის წინააღმდეგ სასამართლოშიც კი აპირებს სარჩელის შეტანას.

„ეი-ი-ეს თელასს" მიაჩნია, რომ საბითუმო ბაზრისადმი მისი დავალიანება ხელოვნურად არის გაზრდილი და ის ამ ვალების შედარების აქტის ხელმოწერას მანამ არ აპირებს, სანამ საბითუმო ბაზრისა და "ეი-ი-ეს თელასის" მრიცხველების ჩვენებებს საგანგებო კომისია ერთმანეთს არ შეადარებს. "ეი-ი-ეს თელასის" ინფორმაციით, ამ კომისიის მუშაობა სწორედ საბითუმო ბაზრის მხრიდან ჭიანურდება.

**"ეი-ი-ეს თელასის" მიერ "ეი-ი-ეს მტკვრის" ვალების გაქვითვით მეცხრე ენერგობლოკის გაზით მომარაგების საკითხი ვერ გადაიჭრება, ვინაიდან "ეი-ი-ეს მტკვარმა" ბუნებრივი გაზის შესაძენად რეალური თანხები უნდა მიიღოს. გარდა ამისა, ბაზარს "ეი-ი-ეს მტკვრის" იმაზე ორჯერ მეტი მართებს, ვიდრე "ეი-ი-ეს თელასს" მართებს თავად საბითუმო ბაზრისა,"** - აცხადებს "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი.

საბითუმო ბაზრის დირექტორი კი იმითაც უკმაყოფილოა, რომ "ეი-ი-ეს მტკვარი" ბაზარს საჯარიმო პროცენტებს არიცხავს: **"ჩვენ "ეი-ი-ეს თელასისთვის" ჯარიმა არ დაგვირიცხავს, მაშ, რატომ გვარიცხავს ჯარიმას "ეი-ი-ეს მტკვარი?"**

გაუგებრობაა საბითუმო ბაზარსა და "ეი-ი-ეს თელასს" შორის თანხების ანგარიშიდან ანგარიშზე მოძრაობის საკითხებშიც: "ეი-ი-ეს თელასი" აცხადებს, რომ წლის დასაწყისიდან 19 მილიონი ლარი უკვე ჩაურიცხა საბითუმო ბაზარს, სოლისის ინფორმაციით კი, ბაზარს ეს თანხა არ მიუღია.

# ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ბანკი არაა, მაგრამ ის მეწარმეებს ფინანსურ დახმარებას გაუწევს

სოფო კვინტრაძე

**"ყველასთვის ცნობილია, თუ რა ფინანსური სიძნელეების წინაშე დგანან დღეს ქართველი მეწარმეები. ჩვენი სააგენტოს შექმნის მთავარი მიზანი მათთვის დახმარების გაწევა და ხელშეწყობაა. დადგა დრო, როცა ქართველ მეწარმეებსა და ბანკირებს შორის ცივილიზებული ურთიერთობები უნდა დამყარდეს,"** – განაცხადა ახლადშექმნილი ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა ვაჟა კაპანაძემ ეკონომიკის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე.

ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ უკვე ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება. სააგენტოს შექმნის თაობაზე ჯერ კიდევ შარშან საუბრობდნენ. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს თაოსნობით მომზადდა კანონპროექტი ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შექმნის თაობაზე, რომლის მიზანია მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, საწარმოო-საინვესტიციო პროექტების ფინანსური მხარდაჭერის გზით. სააგენტოს ფუნქციებში შედის მეწარმეთა დახმარება სამი მიმართულებით. ეს მიმართულებებია: მეწარმეთათვის საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთების (არა უმეტეს 70 პროცენტის) დაფარვა, ანუ სუბსიდირება, სამეწარმეო საქმიანობის რისკის უზრუნველყოფა ბანკის წინაშე თავდებად დადგომის გზით და მესამე – პერსპექტიული სამეწარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად გრანტების გაცემა, ანუ სუბვენცია. ეროვნული საინვესტიციო სააგენტო დასაფინანსებელ პროექტებს კონკურსის გზით შეარჩევს. გამოცხადდება ტენდერი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მეწარმეები, ხოლო ტენდერში გამარჯვებულები შესაბამისი სახის ფინანსურ თუ სარეკომენდაციო მხარდაჭერას მიიღებენ.

რაც შეეხება პრიორიტეტებს, რის მიხედვითაც სააგენტოს სატენდერო კომისია ტენდერში მონაწილეებს შეარჩევს, ვაჟა კაპანაძის განცხადებით, უპირატესობა მიენიჭება ისეთ სამრეწველო პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოებას და მაღალმთიან რეგიონებში წარმოების განვითარებას. სააგენტო ითანამშრომლებს ეროვნული ბანკის ლიცენზიის მქონე კომერციულ ბანკებთან, რომლებთანაც ის შესაბამის მემორანდუმს გააფორმებს.

ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია, თუმცა, ვაჟა კაპანაძე აცხადებს, რომ მხოლოდ ბიუჯეტის იმედად არ დარჩებიან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთანაც ექნებათ ურთიერთობა. 2002 წლის ბიუჯეტის კანონში, პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, გათვალისწინებული იყო 11 მილიონი ლარი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის უნდა დახარჯულიყო. თუმცა, აღნიშნული თანხიდან შვიდი მილიონი ლარი, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შექმნამდე, გადაეცა თავდაცვის სამინისტროს საგანგებო პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო სამი მილიონი ლარი ჩაის სუბსიდირების პროგრამას მოხმარდა. ასე რომ, ამჟამად სააგენტოს განკარგულებაში მხოლოდ ერთი მილიონი ლარია, რომელიც 2002 წლის ბოლომდე ტენდერში გამარჯვებული მეწარმეების საპროცენტო განაკვეთების დაფარვას მოხმარდება. ამდენად, 2002 წელს სააგენტო მხოლოდ სუბსიდირების პროგრამას განახორციელებს, ტენდერი კი უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

სააგენტოს საქმიანობას მეთვალყურეობას ცხრაკაციანი სამეთვალყურეო საბჭო გაუწევს, რომლის თავმჯდომარეც ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძეა, საბჭოს წევრები კი სხვადასხვა სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან.

# სემეკმა ტარიფის მეთოდოლოგიის გადახედვა გადაწყვიტა

სოფიკო ოხანაშვილი

*ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ელექტროენერგიის ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიას ცვლის. "ყველა დოკუმენტი, რომელიც ფასწარმოქმნას ეხება, დროდადრო უნდა გადაიხედოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს პროცესი გარკვეულმა გარემოებებმა დააჩქარა. კერძოდ, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდამ საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია," – განაცხადა გუშინ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში გამართულ მოსამზადებელ შეხვედრაზე კომისიის ხელმძღვანელმა ელიზბარ ერისთავმა. სემეკი, მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებების შესათანხმებლად, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სემინარების ჩატარებას გეგმავს.*

საქართველოში ტარიფების მეთოდოლოგია პირველად სემეკმა 1997-1998 წლებში შეიმუშავა, რაშიც საკონსულტაციო კომპანია "პი-აი კონსალტინგი" ეხმარებოდა. დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც უცხოელი, ისე ქართველი სპეციალისტები. მათ საქმიანობას, ნაწილობრივ, სემეკი, ნაწილობრივ, მსოფლიო ბანკი აფინანსებდა.

ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის მიზანია, საქართველოს კანონის - "ელექტროენერგეტიკის შესახებ" - მოთხოვნათა შესაბამისად, ელექტროენერგიის ფასის დადგენის მეთოდოლოგიის განსაზღვრა. ეს მეთოდოლოგია გამოყენებული იქნება ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ტარიფების დასადგენად.

დოკუმენტი მრავალმა უწყებამ შეისწავლა, მათ შორის - ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა და კონტროლის პალატამ. მათ სემეკს შენიშვნებიც გაუგზავნეს. ბევრ შენიშვნას დოკუმენტის ავტორები არ დაეთანხმნენ. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ შენიშვნები დასაბუთებული არ იყო, მაგრამ ის წინადადება, რომ ტარიფების მეთოდოლოგია გადახედვას საჭიროებდა, გაიზიარეს.

გუშინდელ შეხვედრას, სემეკის დეპარტამენტების წამომადგენლების გარდა, სხვადასხვა სამსახურების სპეციალისტებიც ესწრებოდნენ. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ეკონომისტები, ენერგეტიკოსები და იურისტები, რომლებიც ელექტროენერგიის ტარიფის მეთოდოლოგიის განხილვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. შეხვედრას ესწრებოდა პროექტის - "პი-აი გოვერმენტ სერვისიზ - ჯორჯიას" დირექტორი დინ უაითიც.

ტარიფების მეთოდოლოგიის შესასწავლად და მასში ცვლილებების განსახორციელებლად ხუთი-ექვსი შეხვედრაა დაგეგმილი, მაგრამ, როგორც სემეკში აცხადებენ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება, დამატებითი შეხვედრებიც გაიმართოს.

შეხვედრის ბოლოს მომავალი სემინარის თემაზე შეთანხმდნენ. არჩევანი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ - ტექნიკური დანაკარგებისა და ტარიფში მისი ასახვის საკითხზე გააკეთეს. მომავალი კვირის სამშაბათისთვის სპეციალისტები გაეცნობიან ელექტროენერგიის მეთოდოლოგიას და ამ დოკუმენტთან დაკავშირებით გაკეთებულ შენიშვნებს სემეკში წერილობითი სახით წარადგენენ.

## კოლინ პაუელი: „უხეში ძალის გამოყენება გამოსავალი არ არის“

პირველი გვერდიდან

- რუსეთში მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს არ შეუძლია ან არ სურს ტერორისტების შეჩერება. როგორია თქვენი აზრი?

**- ვფიქრობ, პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოში და, განსაკუთრებით, პანკისის ხეობაში ტერორიზმის აღმოფხვრის მომხრეა. იგი იწონებს შეერთებული შტატების მონაწილეობას ქართველი სამხედროების მომზადებაში. იქ ახლა ჩვენი ინსტრუქტორები “წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამით იმყოფებიან.**

**ბოლო კვირებში პრეზიდენტმა შევარდნაძემ პანკისში ჯარი გაგზავნა.**

**ჩემი აზრით, იგი დაინტერესებულია ტერორისტების თავიდან მოშორებაში. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თავად მისთვის ამას არაფერი მოაქვს, უზარმაზარ ჩრდილოელ მეზობელთან პრობლემების გარდა. ვფიქრობ, ორივე ქვეყანამ უნდა იმუშაოს იმაზე, რომ აღკვეთოს ტერორისტების გადაადგილება საქართველოდან ჩეჩნეთში და პირიქით. როგორც ქართული, ისე რუსული მხარეები ვალდებულნი არიან, იზრუნონ იმაზე, რომ ტერორისტებს საზღვრის თავისუფლად გადაკვეთის საშუალება არ მისცენ.**



*კოლინ პაუელი შევარდნაძის პოლიტიკას იწონებს* REUTERS

- თუ რუსეთი მაინც გამოიყენებს თავდაცვის უფლებას გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით, როგორი იქნება აშშ-ს პასუხი? ეს ხომ წააგავს წინასწარი დარტყმების ტაქტიკას, რომელიც თქვენ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში გამოაცხადეთ?

**- ვფიქრობ, რუსეთმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ რას იღონებს თავდაცვისათვის. არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ რუსებისთვის ჭკუის სწავლებას.**

**მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს ის ვითარებაა, როცა უხეში ძალის გამოყენება გამოსავალი არ არის. აუცილებელია პოლიტიკური გადაწყვეტილების ძიება და იმგვარი ძალისხმევა, როგორსაც ჩვენ, ქართველებთან ერთად, მივმართავთ, რათა გავაუმჯობესოთ მათი უნარი – თავი გაართვან ამგვარ საკითხებს. მიმდინარეობს მუშაობა სამმხრივ დიალოგზე რუსეთს, საქართველოსა და აშშ-ს შორის.**

- შეიძლება თუ არა, ეს სამმხრივი ძალისხმევა ერთობლივ სამხედრო ოპერაციაში გადაიზარდოს?

**- ვერ ვხედავ სამხედრო ოპერაციაში მის გადაზრდის ვარიანტს.**

## ტონი ბლერის დოსიე - ერაყი მსოფლიოსთვის საფრთხეს წარმოადგენს

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ერაყის შესახებ ბრიტანეთის მთავრობის მიერ მომზადებული 55-გვერდიანი მოხსენება წარმოადგინა. მასში ნათქვამია, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებას აპირებს. დოკუმენტის თანახმად, ერაყმა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების სამხედრო გეგმები შეიმუშავა, რომელიც, შესაძლოა, თავად ერაყის მოსახლეობის წინააღმდეგ იქნას მიმართული. ერაყის ხელისუფლების მიერ ბრძანების გაცემის შემთხვევაში, ერაყის არმიას შეუძლია, მასობრივი განადგურების იარაღი 45 წუთში აამოქმედოს.*

**”სადამ ჰუსეინი აგრძელებს მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავებას. მას უკვე შეუძლია, დიდი ზიანი მიაყენოს არა მარტო რეგიონის, არამედ მთელი მსოფლიოს სტაბილურობას,”** - განაცხადა ბლერმა.

მოხსენების თანახმად, ბაღდადში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის განახლების შემთხვევაშიც კი, ჰუსეინის ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რათა ექსპერტებს მასობრივი განადგურების იარაღის ლაბორატორიები დაუმალოს. ტონი ბლერის თქმით, ერაყთან მიმართებაში “შეკავების პოლიტიკამ” ვერ იმუშავა. **“სადამ ჰუსეინმა შეძლო მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროცესში პროგრესის მიღწევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს,”** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

55-გვერდიან მოხსენებაში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების პოზიცია ერაყის საკითხის შესახებ პუნქტობრივად არის ჩამოყალიბებული:

**ერაყი აგრძელებს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღისათვის საჭირო კომპონენტების წარმოებას;**



*ილუსტრაციები ტონი ბლერის დოსიედან*

**ბაღდადს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების გეგმები უკვე შემუშავებული აქვს;**

**ერაყი ცდილობდა, მოეპოვებინა ბირთვული იარაღის შესაქმნელად საჭირო მასალები და აღჭურვილობა;**

**ერაყმა უკანონოდ დამალა “ალ ჰუსეინის” ტიპის 20-მდე რაკეტა, რომელთა მოქმედების რადიუსი 650 კილომეტრს შეადგენს და მათი ქობინების გამოყენება შესაძლებელია ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გადასატანად;**

**ბაღდადმა ისწავლა გაერო-ს ინსპექტორებისათვის დოკუმენტაციის და აღჭურვილობის დამალვა.**

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ ერაყი აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში ურანის დიდი რაოდენობით მოპოვებას ცდილობდა, იმ დროს, როცა ერაყს ბირთვული მასალების მშვიდობიან დროს გამოყენების არანაირი პროგრამა არ გააჩნია. დიდი ბრიტანეთის მთავრობის დოსიეს თან ერთვის იმ რაიონების რუკა, რომლებიც, ერაყის მიერ რაკეტების გამოყენების შემთხვევაში, ყველაზე მეტად დაზარალდებიან. ასეთი რაიონების ზონაში მოხვდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ყველა სახელმწიფო, ისრაელის ჩათვლით, აგრეთვე, საბერძნეთი და თურქეთი.

აღსანიშნავია, რომ დოსიეს გამოქვეყნებამდე პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მინისტრთა კაბინეტის წევრებთან თათბირი გამართა, რომელზეც ერაყის ირგვლივ შექმნილი ვითარება განიხილეს.

სამშაბათს კი ერაყის საკითხთან დაკავშირებით ბრიტანეთის პარლამენტის სპეციალური სხდომა გაიხსნა, რომელზეც სამხედრო კამპანიაში ბრიტანეთის მონაწილეობის შესაძლებლობას განიხილავენ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პარლამენტში ტონი ბლერს ძლიერი ოპოზიცია დაუპირისპირდება. არ გამორიცხავენ კრიტიკას თავად მმართველი ლეიბორისტული პარტიის მხრიდანაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მთავარმა ოპოზიციონერმა - კონსერვატორულმა პარტიამ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში ბრიტანეთის მონაწილეობის შესახებ ტონი ბლერის ინიციატივას მხარი დაუჭირა.

დიდი ბრტანეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებას უკვე გამოეხმაურა ერაყის ხელისუფლება. ერაყის კულტურის მინისტრმა ჰამედ იუსუფ ჰუმადიმ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ “ბლერის დოსიე” თავიდან ბოლომდე უსაფუძვლო დოკუმენტს წარმოადგენს. მან განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ერაყის წინააღმდეგ სიონისტურ კამპანიაში მონაწილეობს.

პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია თავად ერაყში არსებული დაძაბული ვითარების შესახებ. ბაღდადის შემოგარენში პატრულირება დაიწყეს ეროვნული გვარდიის ელიტურმა დანაყოფებმა და ერაყის დედაქალაქის გარშემო სამხედრო სიმაგრეების აგება დაიწყეს. ასევე, ბაღდადის გარეუბნებში უკვე გათხრილია სანგრები. ერაყის 60-ათასიანი ეროვნული გვარდია, რომელიც მხოლოდ სადამ ჰუსეინს ემორჩილება, საგულდაგულოდ იცავს ერაყის დედაქალაქს. განსაკუთრებული ყურადღება იორდანიისკენ მიმავალ გზებზე და ქვეყნის ქურთებით დასახლებულ ჩრდილოეთ რაიონებზეა გამახვილებული. სადამ ჰუსეინის რეჟიმი აშშ-ს მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმისათვის ემზადება. თუ რამდენად შეძლებს ერაყელი დიქტატორი აშშ-სა და მისი მოკავშირეებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, ამას, ალბათ, დრო გვიჩვენებს. თუმცა, აშკარაა, რომ სადამის კისერზე წამოცმული მარყუჟი სულ უფრო და უფრო ვიწროვდება. ერაყელი დიქტატორი, შესაძლოა, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მისმა მოკავშირეებმაც მიატოვონ. ასეთ ვითარებაში კი, რა თქმა უნდა, ჰუსეინი მის ხელთ არსებულ მასობრივი განადგურების იარაღს აუცილებლად აამოქმედებს.

## პალესტინაში მდგომარეობა უცვლელია - გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციამ შედეგი ვერ გამოიღო

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ დილით, ისრაელის არმიამ ღაზას სექტორში უკანასკნელი თვეების მანძილზე ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ჩაატარა, რის შედეგადაც 9 პალესტინელი დაიღუპა, ხოლო 24 დაიჭრა. სამშაბათს, გამთენიისას ისრაელის არმიის ათი ჯავშანტრანსპორტიორი, აგრეთვე სამხედრო ბულდოზერი ღაზას ერთ-ერთ კვარტალში შევიდნენ. მათ ჰაერიდან ვერტმფრენები უმაგრებდნენ ზურგს. ოპერაციის მიზანს იმ შენობების დანგრევა წარმოადგენდა, სადაც, ისრაელის სამხედროთა განცხადებით, ტერორისტული აქტებისათვის საჭირო ასაფეთქებელი მასალები მზადდებოდა.

ქალაქ ღაზაში შესულ ისრაელის არმიას პალესტინელებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთ-ერთი დაჯავშნული მანქანის აფეთქებაც შეძლეს. ღაზაში რეიდის შედეგად, ისრაელის არმიამ მთლიანად გაანადგურა რამდენიმე შენობა, რომელსაც პალესტინელები ასაფეთქებელი მოწყობილობების დასამზადებლად იყენებდნენ.

ოპერაციის დაწყებამდე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ ისრაელის არმია ღაზაში “ჰამასის” უჯრედების განადგურებას გეგმავდა.

ისრაელის არმიის მოქმედების პარალელურად, გაერო-ს უშიშროების საბჭომ არაბული ქვეყნების მიერ შეთავაზებული რეზოლუცია მიიღო, რომელიც გმობს რამალაში ისრაელის სამხედრო ქვედანაყოფების მიერ იასირ არაფატის ალყაში მოქცევას და ისრაელის ხელისუფლებას პალესტინური ტერიტორიების დატოვებისაკენ მოუწოდებს. რეზოლუცია ე.წ. “კომპრომისული ვარიანტით” მიიღეს. მასში, ასევე, მოუწოდებენ პალესტინის ადმინისტრაციას ისრაელის მხარეს გადასცენ ექჴმიტანილი ტერორისტები.

ისრაელის ხელისუფლება გაერო-ს რეზოლუცის შესრულებას არ აპირებს. ისრაელის მთავრობის წევრთა განცხადებით, ისრაელის არმიის სამხედრო ოპერაცია მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში დროში შეზღუდული არ იქნება.

ისრაელის მოქმედებამ არაბული სამყაროს შეშფოთება გამოიწვია. ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა ისრაელის თავდაცვის მინისტრს ბენიამინ ბენ-ელიაზერს რამალაში სამხედრო აქციის შეწყვეტა და იასირ არაფატის უსაფრთხოების გარანტიები მოსთხოვა.

თავად არაფატი კი კვლავ შინაპატიმრობაში იმყოფება. როგორც ცნობილი გახდა, მან ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ქამალ ხარაზისთან ტელეფონით დაკავშირება შეძლო. **“მე, პრაქტიკულად, სამხედრო ციხეში ვიმყოფები,”** - ასე დაახასიათა თავისი მდგომარეობა პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერმა. თავის მხრივ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისრაელის მოქმედება დაგმო და **მსოფლიოს თანამეგობრობას ოკუპირებულ მიწებზე შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა.**

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ არაფატი ისრაელს მდგომაროების განმუხტვის სამ ვარიანტს სთავაზობს:

მასთან მყოფი და ისრაელის მიერ ძებნილი პირების ღაზას სექტორიდან დეპორტაცია;

მათი მოთავსება იერიქონის პალესტინურ ციხეში;

მათი გაგზავნა კატარში, რომელიც მზად არის, კრიზისის მოგვარებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.

ჯერჯერობით ისრაელის რეაქცია, არაფატის მიერ შემუშავებულ წინადადებებზე, ცნობილი არ არის. პალესტინაში შექმნილი ვითარება კვლავ უცვლელი რჩება.

## კუჩმას საწინააღმდეგო კამპანიას ამერიკაც უერთდება

პირველი გვერდიდან

დეპუტატებმა მოახერხეს რომლებმაც პარლამენტის წევრობის დამადასტურებელი მოწმობებით ისარგებლეს.ომონის ხელმძღვანელებს პარლამენტარებმა განუცხადეს, რომ ისინი კუჩმასთან ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე დაუყოვნებელ საუბარს აპირებდნენ. თუმცა, შენობაში შესულ ოპოზიციონერებს წინ ახალი წინაღობა დახვდათ. სპეც-რაზმ “ბერკუტის” წევრებმა მათ გზა გადაუღობეს და პრეზიდენტის კანცელარიისკენ წასვლის საშუალება არ მისცეს. პასუხად დეპუტატებმა განაცხადეს, რომ შენობიდან ფეხს არ მოიცვლიან და, თუ კუჩმა არ შეხვდებათ შიმშილობას გამოაცხადებენ

თუმცა ოპოზიციის დღევანდელი აქციები არაფერია იმ დარტყმასთან შედარებით, რომელიც კუჩმამ ამერიკიდან მიიღო. “ნიუ-იორკ თაიმსმა” გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც უკრაინის პრეზიდენტს ერაყისადმი ოთხი სარადარო კომპლექსის მიყიდვაში ადანაშაულებს.ამ კომპლექსებს შეუძლია მნიშვნელოვნად გაურთულოს საქმე ამერიკას ერაყზე საჰაერო თავდასხმების დროს.სარადარო დანადგარებს უმნიშვნელო სამიზნეების აღმოჩენაც კი შეუძლიათ.გაზეთის მტკიცებით, კუჩმა პირადად მონაწილეობდა გარიგებაში, რომლის ღირებულებაც 100 მილიონ დოლარზე მეტი იყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე გამოაცხადა უკრაინისათვის ფინანსური დახმარების შეწყვეტის შესახებ და არ გამორიცხავს დამატებით ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს.

კავკასიის ამბები

## „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი„ საქართველოს მხარს უჭერს

“აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის” ერთ-ერთმა ფრთამ, რომელსაც ქუდრათ ჰასანყულიევი ხელმძღვანელობს, გუშინწინ ბაქოში, რუსეთის საელჩოს შენობასთან პიკეტი მოაწყო. მოპიკეტეები პროტესტს გამოთქვამდნენ საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ.

**“ხელები შორს კავკასიისაგან!” “შეწყვიტეთ უსაფუძვლო ბრალდებები საქართველოს მიმართ!”** – ამგვარი მოწოდებები ისმოდა რუსეთის საელჩოს წინ. მოპიკეტეებმა რუსეთი აზერბაიჯანის წინააღმდეგ მოქმედებაშიც დაადანაშაულეს: **“აზერბაიჯანის მიწები სომეხი აგრესორების მიერაა ოკუპირებული და ამ დროს რუსეთი სომხებს ეხმარება,”** – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

მოპიკეტეებმა ხელი მოაწერეს საპროტესტო რეზოლუციას, რომელიც აზერბაიჯანში რუსეთის საელჩოს გადაეცა. პიკეტი ბაქოს მთავრობის მიერ იყო სანქცირებული და პოლიცია მის მიმდინარეობაში არ ჩარეულა.

## რუსეთი აზერბაიჯანს დაუტკბა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საზეიმო დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში კვლავ გააქტიურდა რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები.

პრეზიდენტებმა პუტინმა და ალიევმა ორშაბათს მოსკოვში ხელი მოაწერეს კასპიის ზღვაზე ორი ქვეყნის საზღვრის დადგენის ხელშეკრულებას. რუსეთმა და აზერბაიჯანმა კასპიის ზღვის აკვატორია შუახაზის პრინციპით გაიყვეს, რაც მხარეებს სანაპირო ხაზის პროპორციულ სივრცეს უკანონებს. უფრო ადრე კასპიის ზღვის აკვატორია ამავე პრინციპით გაიყვეს რუსეთმა და ყაზახეთმა. მეორეს მხრივ, თურქმენეთი და ირანი ამ წესით ზღვის განაწილების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან.

**“ხელმოწერილი დოკუმენტები ორ ქვეყანას შორის პერსპექტიული ურთიერთობების საფუძველი გახდება”,** – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა აზერბაიჯანთან შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიაზე. პუტინმა ალიევს მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანში რუსული ენის ხელშეწყობისათვის. ალიევმა და პუტინმა დსთ-ს კიშინიოვის სამიტის მოსამზადებელი საკითხებიც განიხილეს.

მოსკოვური შეხვედრების დროს ალიევმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადეს, რომ ორი ქვეყანა ერთმანეთს სტრატეგიულ მოკავშირედ განიხილავს. ალიევს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის საპატიო დოქტორის წოდებაც მიანიჭეს.

გუშინ კი ბაქოში დასრულდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის გენადი სელეზნიოვის ვიზიტი, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას სელეზნიოვი შეეცადა, გაერკვია, თუ რა ბედი ეწევა ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენს მას შემდეგ, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის აგება დასრულდება. ალიევმა სტუმარი დაამშვიდა, რომ აზერბაიჯანი მომავალშიც განაგრძობს ნოვოროსიისკის მილსადენის გამოყენებას.

სელეზნიოვთან შეხვედრა ალიევმა რუსეთის გაკიცხვისთვისაც გამოიყენა – პირველ რიგში, სომხეთისათვის მილიარდი დოლარის ღირებულების შეიარაღების გადაცემის ფაქტის გამოძიების შეწყვეტის გამო. გარდა ამისა, ალიევმა რუსებს ყარაბაღის კონფლიქტში სომხებისათვის გაწეული მხარდაჭერაც გაუხსენა.

საერთაშორისო ამბები

## ტერორისტები საკუთარ ნაღმზე აფეთქდნენ

ესპანეთის ქალაქ ბილბაოში აფეთქდა ავტომანქანა, რომელშიც ორი ბასკი ეროვნების მოქალაქე იმყოფებოდა. ორივე მათგანი დაიღუპა. ვარაუდობენ, რომ ბასკები ტერორისტული აქტის ჩატარებას გეგმავდნენ, მაგრამ, დაუდგენელი მიზეზების გამო, ასაფეთქებელი მოწყობილობა აუფეთქდათ. შემთხვევის ადგილზე მისულმა ესპანელმა სამართალდამცავებმა ასაფეთქებელი მოწყობილობის დისტანციური მართვის პულტი და პისტოლეტი აღმოაჩინეს. დადგინდა, რომ დაღუპული პირები ბასკურ ტერორისტულ ორგანიზაციას – “ეტა”-ს ეკუთვნოდნენ. აფეთქება ქალაქის თითქმის ცარიელ რაიონში მოხდა, სადაც მხოლოდ მიტოვებული ძველი სახლები დგას.

1968 წლის შემდეგ, როდესაც “ეტა”-მ ბასკეთის თავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო, ესპანეთში ბასკი ტერორისტების ხელით 800-ზე მეტი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო 2300 დაშავდა.

აგვისტოს ბოლოს ესპანეთის პარლამენტმა “ეტა”-ს პოლიტიკური ფრთის - “ერი ბატასუნას” აკრძალვის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. მანამდე “ბატასუნას” საქმიანობა ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ აკრძალა. ამ დროისათვის პარტიის ოფისები უკვე მთელ ქვეყანაშია ლიკვიდირებული.

უკანასკნელ ხანებში ესპანეთის სამართალდამცავებმა, ფრანგ კოლეგებთან ერთად, “ეტა”-ს წევრების წინააღმდეგ ერთობლივი ოპერაციების ჩაატარება დაიწყეს. გასულ კვირას, ერთ-ერთი ასეთი აქციის დროს საფრანგეთის სამხრეთ რეგიონში ორი პიროვნება დააკავეს. როგორც ვარაუდობენ, ისინი “ეტა”-ს მაღალი რანგის ხელმძღვანელები არიან. წელს, ერთობლივი ოპერაციების შედეგად, “ეტა”-ს წევრობაში 20-მდე ეჭვმიტანილია დაკავებული.

## ირანის პრეზიდენტი უფლებამოსილების გაზრდას ითხოვს

ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც მისი უფლებამოსილების გაფართოებას ითვალისწინებს. ახალი კანონის პროექტი პრეზიდენტს კონსტიტუციის გარანტად აცხადებს და მას სასამართლო დადგენილებების ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შეჩერების უფლებამოსილებას ანიჭებს, თუ ისინი, პრეზიდენტის აზრით, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კანონის პროექტის მიხედვით, უნდა შეიქმნას სპეციალური სასამართლო ორგანო, რომელიც კანონების კონსტიტუციურობას შეამოწმებს. ახალი ორგანოს წევრები უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები გახდებიან.

პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული რეფორმები ზუსტად ასახავს ირანულ პოლიტიკაში არსებულ ვითარებას – პრეზიდენტს რეალური ძალაუფლება არ გააჩნია, ამიტომაც ხათამი პარლამენტის საშუალებით კონსტიტუციის შეცვლას ცდილობს, რათა მეტი ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში. სასამართლო ხელისუფლების რეფორმის მოტივი კი ისაა, რომ ირანში სასამართლოები კონსერვატორების დასაყრდენს წარმოადგენენ და მათი საქმიანობა მომავალში, შეიძლება, რეფორმების ყველაზე დიდი ხელის შემშლელი ფაქტორი გახდეს.

## ნატო სწრაფი რეაგირების ჯარებს ქმნის

ვარშავაში, ნატო-ს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის პროექტი განიხილება, რომელიც ეგრეთწოდებული “კრიმინალური სახელმწიფოების” წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. სწრაფი რეაგირების შენაერთის ჩამოყალიბების ინიციატივა, ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ამერიკის თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს ეკუთვნის. ალიანსის ზოგიერთი წევრი, შეიძლება, სკეპტიკურად მოეკიდოს ამგვარი ძალების შექმნის იდეას, რადგან, მათი აზრით, ამ შემთხვევაში ევროკავშირის ერთიანი თავდაცვის პოლიტიკა დაზარალდება.

# აპოკალიფსური სიუჟეტი ღორების მონაწილეობით

დალი კუპრავა

*დიდი ხნის წინ საქართველოს ხელისუფლება თავის სამწყსოს მილიონ სამუშაო ადგილს შეჰპირდა. შეპირებიდან ორიოდე წლის შემდეგ უპატაკა, 600 000 სამუშაო ადგილი უკვე გამოჩნდაო და ხალხიც დასაქმდა...*

## დასაწყისი

ინათებს თუ არა, გლდანის ნაგავსაყრელზე სამუშაო დღე იწყება. თხუთმეტი წლის ილია და მისი უმცროსი ძმა ფაცო ლოტკინიდან მოდიან. ზოგჯერ აქვე გამოიძინებენ, სახელდახელოდ შეკოწიწებულ "სასტუმროში". დილის ხუთი-ექვსი საათიდან თავისუფალი შრომის საათები აქვთ - რასაც შოულობენ, მათია. ქალაქის ნაგვით სავსე მანქანები მოგვიანებით მოდიან და მაშინ ბავშვები დაქირავებული შრომის ძალად იქცევიან.

## Always Coca-Cola

ეს კოკა-კოლას ბოთლები შენ შეაგროვე? - ვეკითხები ილიას. სხვისიაო, მპასუხობს, მე ლამაზ ბოთლებს ვაგროვებო და "კასტელის" ლიმონათის ბოთლს მიჩვენებს. რომ მოუნდეს კიდეც, კოკა-კოლას ბოთლებზე ვერ იმუშავებს, მონოპოლია სხვისია, მაგრამ ბოთლები მაინც უნდა მოაგროვოს და მას ჩაუყაროს.

## ნაგავს გადაყოლილი სწავლა

ილიამ ცხრა კლასი ლოტკინზე დაამთავრა, საბაზო განათლება მიიღო. მერე მან და სახელმწიფომ, დამშვიდობების ნიშნად, ერთმანეთს ხელი დაუქნიეს.

სკოლაში ხატვა მიყვარდა და ლექსებს ადვილად ვსწავლობდიო, მითხრა ბიჭმა. მამა რუსეთშია. სახლში დედა და უმცროსი და ჰყავს. ისიც სკოლაში დადის. თურმე, მასაც ხატვა უყვარს და გამრავლების ტაბულაც ზეპირად იცის. ფაცო გვერდიდან არ შორდებოდა ძმას, მაგრამ არაფრით არ დაგველაპარაკა. ლაპარაკი უჭირსო, აგვიხსნა ილიამ.

ზოგჯერ დღეში თხუთმეტ ლარსაც შოულობს და ტანსაცმელს ყიდულობს.

ცხრა საათიდან ნაგავსაყრელს მანქანები მოადგება. მანამდე კი ხალხი გროვდება და მუშაობაც ჩაღდება.

## ნაგვის ქექვაც ფასიანია

განსაკუთრებული პატივია ვაკე-საბურთალოს ელიტური ნაგვის ქექვა. პატივი იქით იყოს, მანქანასთან მოხვედრაც გვარიანი ფული ღირს (როგორც ყველაფერი ამქვეყნად, "გვარიანიც" შედარებითია, თორემ ვინმეს სასაცილოდაც არ ეყოფა 2 ლარი!). ნაგვის რაიონული წარმომავლობის შესაბამისად, ფულს იღებენ მანქანის მძღოლიც და მისი "ლაფატკიანი" თანაშემწეებიც (ათიდან ორმოცდაათ ლარამდე). ფასობს იმ უბნების ნაგავიც, სადაც თავდახურული ბუნკერებია - დილაადრიან ძაღლები, კატები და ვირთხები ვერ ასწრებენ გაქექვას, ესე იგი, სუფთაა, მიხსნის ილია.

## პეიზაჟი მწყემსებით

თავდაპირველად ნაგავსაყრელი უცხო თვალს მონებივრე ღორების კოლტით ატყვევებს. შემდეგ მზერა ნაგვის მთიანი პეიზაჟით "ტკბება", რომელსაც აქა-იქ მხრჩოლავი კვამლი "პოეტურ" ნისლში ახვევს. ნისლიდან გამოდიან და ნისლშივე იკარგებიან ადამიანები – უფრო ბავშვები და მოხუცები.

სამი ჯეელიც ვნახეთ, ერთი დამალობანას გვეთამაშებოდა, მეორე, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ბიჭებს უცდიდა და მესამემ, - მეღორე ვარო. სოფელში აბა, რა ვაჭამო ამდენ ღორსო, გვითხრა. ზამთარში რას აჭმევთ-მეთქი, ვკითხე. ზამთარში ვკლავ და ვაბარებო(!!!)

**დასასრული...**



ამ ღორებს ზამთარში დაკლავენ



ზოგჯერ ილია ამ "სასტუმროში" იძინებს



ეს ილიას უმცროსი ძმაა, ფაცო



ნისლს იქითაც ნაგავია

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

## მოკლედ

**თბილისი**. 2003 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევა საქართველოს კანონი "თამბაქოს კონტროლის შესახებ". იგი უკვე წლევანდელი იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ, თამბაქოს ქართველი მწარმოებლების დაჟინებული მოთხოვნის გამო, შეჩერდა. მწარმოებლები დარწმუნებული არ იყვნენ, რომ 2002 წლისთვის, თამბაქოში ნიკოტინისა და ფისის კანონპროექტით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, საწარმოების გადაიარაღებას შეძლებდნენ. მათი განცხადებით, დღეისთვის ყველაფერი წესრიგშია და ახალი წლიდან ქართული წარმოების სიგარეტებში ნიკოტინის შემცველობა - 12, ფისისა კი 1,2 მილიგრამს არ გადააჭარბებს. *"24 საათი"*

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ გაიხსნა და დღეს დასრულდება საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებელთა მეორე კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მაუწყებელთა ეროვნული ასოციაციის შექმნას. ასოციაციაში რეგიონული და თბილისის ტელე და რადიო კომპანიები, ასევე საკაბელო ტელევიზიები გაერთიანდებიან. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, თავისუფალი და პროფესიული მასმედიის ჩამოყალიბებას, საერთაშორისო ჟურნალისტური სტანდარტების დანერგვას, ტელევიზიისა და რადიოებისთვის ტექნიკური ნორმების, სტანდარტების გათვალისწინებით, რეკომენდაციების შემუშავებას. გუშინ გამართულ კონფერენციაზე კამათი გამოიწვია ასოციაციის წესდების ერთ-ერთმა მუხლმა, რომელიც ორგანიზაციის წევრებად მხოლოდ ლიცენზირებული ტელე-რადიო კომპანიების მიღებას გულისხმობდა. საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის თავმჯდომარის ზაზა შენგელიას განცხადებით, ეს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენებს "აუდიენციას", "მაესტროსა" და "პრემიერის" მსგავს სტუდიებს, რომლებიც, შენგელიას აზრით, ბევრ რეგიონულ სტუდიაზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. მისივე განცხადებით, საგადასახადო შეღავათებით, რომელსაც მთავრობა მაუწყებლობებს ჰპირდება, სტუდიებმაც უნდა ისარგებლონ.

■ ■ ■

**რუსთავი**. 22 სექტემბერს, საღამოს 7 საათიდან, გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ, 16-მილიონიანი დავალიანების გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა სააქციო საზოგადოება "რუსთავწყალს". მოსალოდნელი გათიშვის თაობაზე შეტყობინება "რუსთავწყალმა" წინასწარ მიიღო, თუმცა სადამსჯელო ღონისძიება, დაპირებულ 24 სექტემბერზე გაცილებით ადრე დაიწყო. წყლის შეწყვეტის შესახებ მოსახლეობას არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა და ახლა იგი პროტესტის გამოსათქმელად ემზადება. "რუსთავწყალის" ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ რუსთაველები რამდენიმე დღის განმავლობაში სასმელი წყლის გარეშე დარჩებიან.

■ ■ ■

**რუსთავი**. თავად დასჯილი «რუსთავწყალი» სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას აპირებს. გუშინ რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა მას გარდაბნის რაიონისთვის წყლის მიწოდების შეწყვეტა მოსთხოვა. მიზეზი 70-80 ათასლარიანი დავალიანებაა. ტყეშელაშვილი ითხოვს იმ ორი სარეზერვო ჭის დაბრუნებას, რომელიც „გარდაბან-წყალსა" და „მარნეულ-წყალს" 2000 წელს, მისი აზრით, არაკანონიერად გადაეცა.

„ეს ჭები გარდაბანმა ვილაც კერძო ფირმას გადასცა. ჩვენ ისინი უნდა დავიბრუნოთ. დამნაშავე პირებმა კი ამ ქმედებაზე პასუხი უნდა აგონ", - აცხადებს რუსთავის მერი.

პარალელურად შპს „რუსთავწყალი" თავად რჩება დასჯილი.

■ ■ ■

**ზუგდიდი.** 23 სექტემბერს, გვიან ღამით, ზუგდიდის სუპერმარკეტის ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა. დაიწვა საკოლმეურნეო ბაზრის ნაწილი და ათი მაღაზია. მეხანძრეების განცხადებით, ხანძრის გამომწვევი მიზეზია ერთ-ერთ საწყობში მოქმედი კუსტარული არყის სახდელი. ჯერჯერობით, დაუდგენელმა სამმა პიროვნებამ, რომელიც ხანძრის გაჩენამდე საწყობში არაყს ხდიდა, მიმალვა მოახერხა. მომხდართან დაკავშირებით, ბაზრის ადმინისტრაცია კომენტარს არ აკეთებს. წინასწარი მონაცემებით, მიყენებული ზარალი 35-დან 40 ათას ლარს შეადგენს.

■ ■ ■

**თბილისი**. მთაში მუშაობის გამოცდილების მქონე ქართველ მაშველთა ჯგუფი მზად არის ჩრდილოეთ ოსეთში გასამგზავრებლად. უკანასკნელი მონაცემებით, ყინულის მასის ჩამოწოლის შედეგად, კარმადონის ხეობაში 8 ადამიანი დაიღუპა, 100-ზე მეტი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს ოფიციალური წარმომადგენლის თამაზ ჩოგოვაძის განცხადებით, ოს კოლეგებთან მუდმივი კონტაქტია დამყარებული და, საჭიროების შემთხვევაში, მაშველთა ჯგუფი ტრაგედიის ადგილას გაემგზავრება. მისივე ინფორმაციით, დაზარალებულთა შორის საქართველოს მოქალაქეების ყოფნის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს. გავრცელებული ცნობით, უბედურების ზონაში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობდნენ. სპეციალისტთა პროგნოზით, ანალოგიური მოვლენა საქართველოს არ ემუქრება.

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს შრომის, დასაქმებისა და სოცილური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ახალციხეში A ჰეპატიტის აფეთქება დაფიქსირდა. დაავადებულია სკოლის 15 მოსწავლე. მათგან - 10 ახალციხის, 5 კი რაიონის სოფლების მცხოვრებია. მოსწავლეების A ჰეპატიტის 4 შემთხვევა დაფიქსირდა საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურშიც. ბავშვების დაავადება საყოფაცხოვრებო კონტაქტით მოხდა. ექიმების აზრით, ინფიცირებულთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, არც ერთ მათგანს სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროება.

■ ■ ■

**ქუთაისი**. ბოლო დღეებში საქართველოში დიფთერიის ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ერთი სავარაუდო შემთხვევა გამოვლინდა ამბროლაურში. დაავადებულია სკოლის ასაკის ბავშვი. მას მკურნალობა უტარდება ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში. ავადმყოფთან კონტაქტში მყოფ სამ ბავშვს ექიმები აკონტროლებენ. დიფთერიის კიდევ ერთი შემთხვევა თბილისში დააფიქსირეს. ავადმყოფი ათი წლის ბავშვია. ორივე ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სიცოცხლისთვის საშიში არ არის.

*ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი*

# განათლების სამინისტროს სიგარეტისა და ლუდის რეკლამირებაში ადანაშაულებენ, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს - უსაქმურობაში

ნანა ქადაგიშვილი

*ოქტომბერში თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი ანტიკორუფციულ საბჭოსა და გენერალურ პროკურატურაში განათლების სამინისტროს, ახალგაზრდობის საქმეთა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს.*

ცენტრის ხელმძღვანელი გელა კობეშავიძე აღნიშნულ უწყებებს პრეზიდენტის ბრძანების შეუსრულებლობაში, პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. ხოლო თუკი ანტიკორუფციული საბჭო და პროკურატურა ცენტრის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, კობეშავიძე საპროტესტო აქციებით იმუქრება. მას ამ საქმეში უნივერსიტეტის სტუდკავშირიც გვერდით უდგას და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გაერთიანებასაც ჰპირდება.

2000 წლის 18 სექტემბერს ამოქმედდა პრეზიდენტის ბრძანებულება "თამბაქოს კონტროლისა და პროფილაქტიკის შესახებ", რომელიც თამბაქოს წინააღმდეგ საბრძოლველად 60-მდე ღონისძიებას ითვალისწინებს. თუმცა, როგორც გელა კობეშავიძე აცხადებს, აქედან მხოლოდ ერთი, სიგარეტში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის რეგულირება ხორციელდება. "ეს უწყებები თამბაქოს გავრცელებას უფრო უწყობენ ხელს. დეპარტამენტიცა და სამინისტროც თამბაქოს კომპანია "ფილიპ მორისს" ჩაეხუტნენ. წელიწადზე მეტია, ამ კომპანიის წარმომადგენლები სკოლებში ვითომ თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიას აწარმოებდნენ, სინამდვილეში კი, მოზარდებში თამბაქოს რეკლამირებას ეწეოდნენ. განათლების სამინისტრო და დეპარტამენტი ამ საქმეში ეხმარებოდნენ, სამაგიეროდ, "ფილიპ მორისი" მათ ხელმძღვანელობას მივლინებებსა და პროექტებს უფინანსებდა.. რაც შეეხება ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს - პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულება მასაც ევალება, მაგრამ იგი ყველაზე უსაქმური სახელმწიფო უწყებაა, ამიტომ პროკურატურას მისი ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნასაც მოვთხოვთ," – აცხადებს კობეშავიძე. განათლების სამინისტრო კობეშავიძის ბრალდებებს არ ცნობს. როგორც განათლების მინისტრის მოადგილე რუსუდან გორგილაძე აცხადებს, სამინისტრო "ფილიპ მორისის" თამბაქოს საწინააღმდეგო ორგანიზაციასთან, "მომავალი შენია", თანამშრომლობდა, რადგან იგი გლდანის რაიონის ერთ-ერთი სკოლის სპორტული მოედნის გარემონტებას შეჰპირდა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდია. თანაც, ეს ამბავი ორი წლის წინათ იყო. მას შემდეგ ეს ორგანიზაცია სკოლებში აღარ გამოჩენილა. რაც შეეხება განათლების მინისტრის მოადგილის თამაზ ტატიშვილის მოსკოვში მივლინებას, იგი მოსკოვში ყოფნას არ უარყოფს, მაგრამ აცხადებს რომ ამ კონფერენციასთან "ფილიპ მორისი" არაფერ შუაში იყო. "საქართველოს განათლების სამინისტრო "იუნესეფის" ეგიდით კონფერენციაზე რუსეთის განათლების სამინიტრომ დაპატიჟა და იქ სიგარეტი ნახსენები საერთოდ არ ყოფილა," – განმარტავს ტატიშვილი.

აღნიშნული ბრალდებების გარდა, ცენტრი და სტუდკავშირი განათლების სამინისტროს ლუდი "ყაზბეგის" რეკლამირებაშიც ადანაშაულებენ. მე-5 კლასის სახელმძღვანელოში ("სამყარო") ყაზბეგის მთების ილუსტრაციად ლუდი "ყაზბეგის" ბოთლის ეტიკეტია გამოყენებული. თამაზ ტატიშვილი არ უარყოფს, რომ ეს რეკლამაა, თუმცა, განმარტავს, რომ სახელმძღვანელოს ავტორს გიორგი კვანტალიანს ლუდის რეკლამირება აზრადაც არ მოსვლია.

# მინისტრი ექიმებს კომპენსაციებს ჰპირდება, ავადმყოფებს - მდგომარეობის შემსუბუქებას

მაკა ჭაიანი

ნაციონალური მოძრაობისა და ექიმთა დამოუკიდებელი პროფკავშირების, "სოლიდარობის" შემოტევის შემდეგ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ, გუშინ გამართულ ბრიფინგზე, სამედიცინო დაწესებულების ოპტიმიზაციას ხანგრძლივი გამოსვლა მიუძღვნა. "ეს აუცილებელი და მნიშვნელოვანი პროცესია," - აცხადებს მინისტრი, - "სახელმწიფოს არა აქვს ყველა სამედიცინო დაწესებულების შენახვის შესაძლებლობა, სტაციონარების ოპტიმიზაცია კი თანხების მაქსიმალური გადანაწილების საშუალებას მოგვცემს. დარჩენილ საავადმყოფოებს ასევე მოხმარდება ის თანხა, რომელიც გაყიდული ობიექტებიდან შემოვა."

ოპტიმიზაციის სიკეთეებზე საუბრისას, ამირან გამყრელიძეს ამ საქმეში უკვე "გამოცდილი", ინფექციური და უროლოგიური საავადმყოფოების მაგალითები მოჰყავს. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე რესტრუქტურიზაციის ფონდი ინფექციური საავადმყოფოს რეკონსტრუქციაზე ნახევარი მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს. მომავალ წელს იმავე მიზნებს მსოფლიო ბანკის 1,5 მილიონი ლარი უნდა მოხმარდეს, ერთი მილიონიც ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოსთვის გამოიყოფა და მის აღჭურვას მოხმარდება. რაც შეეხება უროლოგიურ საავადმყოფოს, ოპტიმიზაციის შემდეგ გაზრდილი ვიზიტების წყალობით, იქაურ ექიმებს 700-800 ლარი აქვთ ხელფასი.

ამირან გამყრელიძე მიიჩნევს, რომ სტაციონარების გამსხვილების პროცესი, შეიძლება, სამედიცინო კადრებისთვის იყოს მტკივნეული, მოსახლეობისთვის კი პირიქით - მდგომარეობის შემსუბუქების საშუალებად იქცევა. ეს იმიტომ, რომ კარგი ხელფასის მქონე ექიმი პაციენტს დამატებით აღარაფერს გადაახდევინებს, - ფიქრობს მინისტრი.

ამირან გამყრელიძე შემცირებულ სამედიცინო კადრებს მაქსიმალურ სოციალურ დაცვას ჰპირდება. "ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც გათავისუფლებული თანამშრომლების სოციალური დაცვა განახორციელა და ამას მომავალშიც განვაგრძობთ. კომპენსაციების გარეშე არც ერთ სტაციონარში დასაქმებული არც ერთი ადამიანი არ შემცირდება," - ირწმუნება მინისტრი. იგი არც ექიმთა გაერთიანებების შექმნის წინააღმდეგია, ოღონდ ისინი პოლიტიკურად ნუ იქნებიან შეფერილნი და სამინისტროს თუ სხვა პროფილურ გაერთიანებებთან ერთად, სფეროს განვითარებისთვის იღვაწონ.

მთლიანობაში, ოპტიმიზაცია საქართველოს მასშტაბით 90 საავადმყოფოს, 10 ათასი საწოლის დატოვებას გულისხმობს. რესტრუქტურიზაციის ფონდში აცხადებენ, რომ ეს სავსებით საკმარისი იქნება ქვეყნის მაქსიმალური მოთხოვნების პირობებშიც კი. აქედან, თბილისზე 13 სტაციონარი და 3940 საწოლი მოდის. დედაქალაქში დღეს 68 საავადმყოფოა 8000 საწოლით. მათგან, გეგმის მიხედვით, დარჩება ინფექციური, ონკოლოგიური, ფსიქიატრიული საავადმყოფოები და ტუბდისპანსერი. ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო ინფექციური საავადმყოფოს ბაზაზე განყოფილებად გარდაიქმნება, დროთა განმავლობაში კი, ბავშვთა რესპუბლიკური ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთ სართულს დაიჭერს.

# მისია დააზუსტებს, რა სახის დახმარებაა საჭირო

ეთერ მამულაშვილი

გუშინ თბილისში ჩამოვიდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის შემფასებელი მისია. მისი მიზანია, ზუსტად განსაზღვროს იმ დახმარების არეები, რომელიც შესაძლებელია, განხორციელდეს ფედერაციის ან კომიტეტის მიერ. "ერთი თვის ვადაში, ჩვენთან ერთად, ისინი მოივლიან საქართველოს ყველა რეგიონს, შევხვდებით მოსახლეობას და ზუსტად გავიგებთ, რომელ რეგიონში რა სახის დახმარება სჭირდება მოსახლეობას: ფსიქოლოგიური, მატერიალური, ტექნიკური, სამედიცინო თუ საგანმანათლებლო", - გვითხრა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ ნანა ყეინიშვილმა.

მისივე თქმით, დეკემბრის დასაწყისში, ინგლისური საქველმოქმედო ორგანიზაცია "სამარიტანელთა ქისა" საქართველოში გამოგზავნის ორი მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარულ ტვირთს, რომელსაც წითელი ჯვრის საზოგადოება გაანაწილებს. ინგლისელების ამ საჩუქარს საქართველოში მცხოვრები, 5-12 წლამდე, 65.000 ბავშვი მიიღებს. "ბუნებრივია, ყველას არ ეყოფა ეს ტვირთი. ამ დღეებში ჩვენი პრეზიდიუმი გადაწყვეტს, რა კრიტერიუმით შევარჩევთ საჩუქრის მიმღებ ბავშვებს", - თქვა ყეინიშვილმა.

ამ დღეებში "სამარიტანელთა ქისა" თბილისის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის გამოგზავნის ჰუმანიტარული დახმარების მორიგ ტვირთს, რომელსაც წითელი ჯვარი გაანაწილებს.

# რეფორმირებული პოლიცია ძველ უფლებებს კარგავს

პირველი გვერდიდან

გუშინ უწყებათშორისი კომისიის სხდომაზე პოლიციის რეფორმის კონცეფციის საბოლოო ვარიანტი განიხილეს და კენჭიც უყარეს.

გავრცელებული ხმები, რომ, პოლიციის მაღალჩინოსნების წინააღმდეგობის გამო, სხდომა დიდ ხმაურს ვერ ასცდებოდა, არ გამართლდა. შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფცია მიიღო. თუმცა, პირველმა პოლიციელმა პროექტში ცვლილებების შეტანაც მოითხოვა. უცხოელ ექსპერტთა და კობა ნარჩემაშვილის შენიშვნები ერთმანეთს თითქმის დაემთხვა და, კომისიის წევრთა თანხმობით, პროექტში არსებული ხარვეზები გასწორდა.

საბოლოო ვარიანტით, რეფორმირებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს აქამდე არსებული ტრადიციული პოლიციური "არტახები" მოეხსნება და იგი სამოქალაქო სტრუქტურად გარდაიქმნება. **"მე მზად ვარ, ახლავე ავიყარო ყველა წოდება,"** – ასეთი იყო მინისტრის პოსტზე სამოქალაქო პირის დანიშვნის შესახებ გამოთქმული მოსაზრების საპასუხოდ კობა ნარჩემაშვილის რეპლიკა.



*"მე მზად ვარ, ახლავე ავიყარო ყველა წოდება."*

ბესო გულაშვილის ფოტო

პოლიცია, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყოფა. ეს იქნება საზოგადოებრივი წესრიგის ფორმიანი დამცველებით დაკომპლექტებული დანაყოფი, რომელიც ძველ საქმიანობას - დანაშაულის გახსნაზე მუშაობას დაემშვიდობება და მხოლოდ სამძებრო საქმიანობით დაკავდება. მეორე უწყება უფორმო გამომძიებლებით შევსებული ერთიანი საგამოძიებო სტრუქტურაა. დღემდე შსს-ს სხვადასხვა რგოლებში გაფანტული საგამოძიებო საქმიანობა, თავისი საწყისი ეტაპით - მოკვლევის ინსტიტუტით, სწორედ ამ სტრუქტურაში - ერთიან საგამოძიებო დეპარტამენტში გაერთიანდება, რომლის ხელმძღვანელსაც, მინისტრის რეკომენდაციით, პრეზიდენტი დანიშნავს.

რეფორმა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პოლიციელებს დღემდე მინიჭებულ უფლებებს უკვეცავს, დარჩენილს კი მკაცრად უსაზღვრავს. ამ დანაყოფის გასაკონტროლებლად შეიქმნება როგორც ადამიანის უფლებების დამცველი სამსახური, ისე გენერალური ინსპექციაც, არატრადიციული ფორმით.

შსს-ს დატოვებს სამხედრო დანაყოფი - შინაგანი ჯარი. **"შსს-ს ტანკებითა და სხვა მძიმე ტექნიკით შეიარაღებული სამხედრო დანაყოფი არ ესაჭიროება. მას უნდა ჰყავდეს პოლიციური დანაყოფი, ტანკებისა და სამხედრო ფუნქციების გარეშე,"** – ასეთი აზრისაა შს მინისტრი. პოლიციის შინაგანი ჯარის კონცეფციას უშიშროების საბჭო დაამუშავებს.

**"კონცეფციაში პრინციპული ცვლილებების შეტანა არც მოგვითხოვია. ჩვენ, ფაქტობრივად, ვეთანხმებოდით კონცეფციას, მაგრამ შენიშვნებიც გვქონდა, რაც გაითვალისწინეს კიდეც,"** – განაცხადა შს მინისტრმა, რომელიც შსს-ს ძველი სტერეოტიპის დამსხვრევის აქტიური მომხრეა.

# იუსტიციის მინისტრი გამოუვალ მდგომარეობაშია და თანადგომას საჭიროებს

თამარ კაციტაძე

ფინანსთა სამინისტროსთან სამთვიანი, უნაყოფო მიმოწერის შემდეგ, იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი, მისი მოადგილე კახა კობერიძე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მხეიძე და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები სამინისტროსთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წევრებს შეხვდნენ და პენიტენციალური სისტემისთვის აუცილებელი დაფინანსების გამოსაყოფად მხარდაჭერა სთხოვეს.

იუსტიციის სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსგან იმ 200 ათასი ლარის გახარჯვაზე სჭირდება თანხმობა, რომელიც სამინისტროს სპეცსახსრების სახით აქვს და რომელიც ქალთა კოლონიის მშენებლობას უნდა მოხმარდეს. **"თუ აღნიშნულ თანხას არ მივიღებთ, კოლონიის მშენებლობა ვერ დასრულდება. მე კანონს არ დავარღვევ, მაგრამ რატომ მიბიძგებენ ამისკენ? სამი თვეა, ფინანსთა სამინისტროს და სხვადასხვა ინსტანციას წერილებს ვწერ, მაგრამ არც იხილავენ. ბიუჯეტიდან ხომ არ ვითხოვთ თანხებს, სპეცსახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე მოვითხოვთ თანხმობას. თუ მართალი არა ვარ, პასუხი ხომ მაინც უნდა მომწერონ და ამიხსნან, რაშია საქმე",** – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა და საბჭოს წევრებს უფრო მაღალ ეშელონებში მხარდაჭერა და დახმარება სთხოვა

წელს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ, მწირი დაფინანსების.მიუხედავად, სპეცსახსრების გამოყენებით შეძლო, აეშენებინა არასრულწლოვანთა კოლონია. დაიწყო ქალთა კოლონიის



*საბჭოს წევრებმა მინისტრს თანადგომა აღუთქვეს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მშენებლობა და დასამთავრებელი აქვს რუსთავის იაღლუჯის ციხე, რომელსაც, მინიმუმ, მილიონი დოლარი მაინც სჭირდება, მაგრამ მის დროულად დასრულებაზე არავინ ფიქრობს.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს მედიკამენტების, კვების, განათების, საცხოვრებელი პირობების, გათბობის, წყლის, გზისა და სხვა პრობლემებზე, რომლის გადაჭრაც ასევე დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ბიუჯეტით გათვალისწინებული ცხრა მილიონი კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ციხის მოთხოვნებს. თუ რამდენად მძიმეა სიტუაცია, ამის საილუსტრაციოდ, მედიკამენტებით უზრუნველყოფის მაგალითიც გამოდგება. წლევანდელი ბიუჯეტით სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მედიკამენტების შესაძენად 42 ათასი ლარი გამოეყო, ანუ ერთ პატიმარზე ათ ლარზე ნაკლები.თუ, წამლების ფასს და ციხეში არსებულ დაავადებათა სიხშირეს გავითვალისწინებთ, დასკვნების გაკეთება, ძნელი არ იქნება. ანალოგიური მდგომარეობაა კომუნალური ხარჯებისთვის გამოყოფილ თანხებთან დაკავშირებითაც. ეს კი ციხეებს ზამთარში დენის გარეშე დარჩენით ემუქრება.

მოკლედ, ყველა პრობლემის თავი და თავი დაფინანსებაა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, სამინისტროს და საბჭოს წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საჭიროა, პენიტენციალური სისტემა ქვეყანაში პრიორიტეტულად გამოცხადდეს.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს მომავალი ბიუჯეტის დამტკიცებაშიც სთხოვენ თანადგომას. იმისათვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები მოგვარდეს, მომავალ წელს პენიტენციალური სისტემა 18 მილიონი ლარით უნდა დაფინანსდეს. ამ თანხით კი, როგორც სამინისტროს წარმომადგენლები ირწმუნებიან, შესაძლებელი იქნება, ახალი ციხეების მშენებლობის პარალელურად, კოლონიების დეცენტრალიზაცია და, საერთოდ, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, ციხეთა ისეთი ტიპის სისტემაზე გადასვლა, რომელსაც კვალიფიციური და შესაბამისი ანაზღაურების მქონე ადმინისტრაცია ეყოლება.

გუშინ წამოჭრილი პრობლემების აქტუალურობამ,სხდომის მონაწილეებს კონსესუსამდე მისვლა გაუადვილა.. საბჭოს წევრებმა მინისტრს თანადგომა აღუთქვეს და დაჰპირდნენ, რომ სახელმწიფო მინისტრთან დაგეგმილ დღევანდელ შეხვედრაზე ყველა პრობლემას დააყენებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა, თავის მხრივ, მინისტრს სხვადასხვა კოლონიაში არსებული კონკრეტული პრობლემებიც შეახსენეს. მათ შორის, ისაუბრეს ციხეში გამეფებულ ქურდულ ინსტიტუტზეც, რომელიც მთელი ქვეყნის პრობლემაა და, ალბათ, მარტო იუსტიციის სამინისტრო ვერაფერს გახდება.

შეხვედრის დასასრულს კი როლანდ გილიგაშვილმა საბჭოს წევრებს არასრულწლოვანთა დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის დასახელება შესთავაზა, რომელსაც პოლიციური სკოლა არ ექნება გავლილი, და რომელიც, სასურველია, თუ პედაგოგი იქნება.

# თურქიაშვილი თავისუფალია, საქმის გამოძიება გრძელდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ახმეტის პოლიციის დაპატიმრებულ უფროსს გუშინ ათდღიანი ადმინისტრაციული სასჯელის ვადა ამოეწურა. მისთვის, კანონის მიხედვით, ან ბრალი უნდა წაეყენებინათ და აღმკვეთი ღონისძიება შეეფარდებინათ, ან - გაეთავისუფლებინათ. ახმეტის საავადმყოფოდან დაჭრილი ჩეჩნის გაპარებაში ეჭვმიტანილი თურქიაშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ ოჯახს დაუბრუნდა.

როგორც ჩანს, ახმეტის პოლიციის ყოფილი უფროსისთვის ბრალის წაყენება ვერ შეძლეს და ადმინისტრაციული სასჯელის ვადის ამოწურვისთანავე ავტომატურად გაათავისუფლეს. გამოძიება გრძელდება და, როგორც უკვე გათავისუფლებული პოლიციელი აცხადებს, ყველაფერი მისი დამთავრებისთანავე გაირკვევა. **"მომხდართან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია გამოძიებას გავაცანი",** - ამბობს თურქიაშვილი და ერთი თვის განმავლობაში, ანუ კანონით გათვალისწინებულ ვადაში, საკუთარი ბრალეულობის საკითხის საბოლოოდ გარკვევას ელოდება.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, გუშინ დილით, გენერალურ პროკურატურაში დაპირისპირება მოხდა ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილესთან, რომელმაც, სავარაუდოდ, ახმეტის პოლიციის ყოფილ უფროსს საავადმყოფოზე პოლიციის მეთვალყურეობის მოხსნის მითითება მისცა. კონკრეტულად ვინ არის დაჭრილი ჩეჩნის საავადმყოფოდან უპრობლემოდ გაყვანის ორგანიზატორი, ეს, ალბათ, გამოძიების დასრულებამდე მკაცრად იქნება გასაიდუმლოებული. ფაქტი ერთია – როგორც ჩვენთან საუბარში თურქიაშვილის საქმის გამოძიებზე ზედამხედველმა, გენერალური პროკურორის მოადგილემ ბადრი ბიწაძემ აღნიშნა, **"მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოხდა რამდენიმე ათეული მოწმის დაკითხვა და მათი ეჭვმიტანილთან დაპირისპირება, ჯერჯერობით, თურქიაშვილის ბრალეულობა არანაირად არ დასტურდება"**

ავთანდილ თურქიაშვილის საქმის გამოძიება იმთავითვე აბსურდულად გამოიყურებოდა, რადგან ქართველ სამართალდამცველებს, ჯერ კიდევ საავადმყოფოდან გაქცევამდე, არ ჰქონდათ გარკვეული შეტაკებისას დაჭრილი ჩეჩნის - ისა მურადოვის სტატუსი - დამნაშავე იყო იგი თუ დაზარალებული. მოგეხსენებათ, მისი კვალი ქართველმა კანონდამცველებმა, უკვე დიდი ხანია, დაკარგეს და, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, მისი დაჭერა არც ისე იოლი იქნება.

აქედან გამომდინარე, თუ არ განისაზღვრება ჩეჩნის ბრალეულობა, ღიად დარჩება თურქიაშვილის საკითხიც. ეს ყოველივე კი იმის მანიშნებელია, რომ ახმეტის პოლიციის ყოფილ უფროსს თავისუფლება გარანტირებული აქვს და თუ თავადაც მოინდომებს, არ არის გამორიცხული, სასამართლოს ძალით, თანამდებობაც კი დაიბრუნოს.

# ოჯახის დაჭრილი უფროსი და მოკლული თავდამსხმელი

თამარ კაციტაძე

ბოლო პერიოდში დღე ისე არ გავა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმა არ მოხდეს, მაგრამ ოჯახის დაყაჩაღება, რომელიც დაჭრით ან მსხვერპლით დასრულდა, აქამდე არ მომხდარა.

გუშინ გვიან ღამით კი სოფელ შინდისში, სოფლის მეურნეობის უფროსის ზაქრო მაზმიშვილის ოჯახზე მომხდარი მეოთხე თავდასხმა, სწორედ ოჯახის უფროსის დაჭრითა და თავად თავდამსხმელის მკვლელობით დასრულდა.

დაახლოებით, ღამის სამ საათზე ზაქრო მაზმიშვილის ვაჟი სამუშაოდ ტრაქტორით წასულა და სახლის კარი ღია დაუტოვებია. ნიღბიანი ყაჩაღები, რომლებმაც, სავარაუდოდ, იცოდნენ მაზმიშვილის მუშაობის განრიგი, მის წასვლას ელოდნენ და მძინარე ზაქრო მაზმიშვილს და მის მეუღლეს თავზე უპრობლემოდ დაადგნენ. წინა თავდასხმების გამოცდილებიდან გამომდინარე, მაზმიშვილს პოსტოლეტი საწოლთან ჰქონდა და შეიარაღებულ ყაჩაღებს რამდენჯერმე ესროლა. თავდამსხმელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, ოჯახის უფროსი დაჭრეს და გაიქცნენ.

დაჭრილი მაზმიშვილი რაიონის საავადმყოფოში გადიყვანეს და მის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე აღარ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა სახლიდან შვიდი მეტრის მოშორებით ერთ-ერთი თავდამსხმელის გვამი იპოვეს - მას, სხვათა შორის, ჯავშანჟილეტი ეცვა. კანონდამცველები ვარაუდობენ, რომ დაჭრილი სახლიდან თანამონაწილემ გაიყვანა, მაგრამ ბოლოს მიატოვა და მიიმალა.

ყაჩაღობისა და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს გორის რაიონის პროკურატურა გამოიძიებს. დანაშაულის ადგილიდან ამოღებულია თავდამსხმელთა კუთვნილი ხელყუმბარა, გადაჭრილი სანადირო თოფი და ავტომატური იარაღის ვაზნები. როგორც რაიონის პროკურორმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, უკვე დადგენილია გარდაცვლილი თავდამსხმელის ვინაობა. იგი სოფელ ფხვენისში მცხოვრები 21 წლის მიხეილ აბზარიანია. პროკურორის განცხადებით, იგი რამდენიმე თვის წინ მუცლის არეში იყო დაჭრილი და ცხინვალში მკურნალობდა. შესაძლებელია, რომ ყაჩაღი მაშინაც თავდასხმის დროს დაჭრეს, მაგრამ სად – ოსების თუ ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ჯერჯერობით უცნობია.

ოპერატიული მონაცემები არსებობს მეორე თავდამსხმელზეც, რომლის ვინაობასაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ ასახელებენ. თუმცა, როგორც ალექსანდრე სუხიტაშვილმა გაგვიმხილა, უკვე შემოწმდა ყაჩაღის საცხოვრებელი ბინა, მაგრამ იგი სახლში არ აღმოჩნდა. ვინაიდან თავდამსხმელები კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების მკვიდრნი არიან, პროკურორი არ გამორიცხავს, რომ დამნაშავემ ცხინვალს შეაფარა თავი. თუმცა, გადარჩენილი ყაჩაღის ძებნა კვლავ გრძელდება.

# გახმაურებული მკვლელობის სასამართლო გამოძიება იწყება

ხათუნა ჯანგირაშვილი

დღეს უზენაესი სასამართლო "წითელ ხიდთან" მდებარე საგუშაგოზე ერთი წლის წინ მომხდარი მკვლელობის სასამართლო გამოძიებას დაიწყებს. განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ზაზა სახვაძეს განაჩენს მოსამართლე გიორგი ქოიავა გამოუტანს.

ქართველი ჯარისკაცის მიერ აზერბაიჯანელი ფიზული ჰუსეინოვის მკვლელობას თავის დროზე დიდი არეულობა მოჰყვა. "წითელი ხიდის" ტერიტორიაზე მყოფმა ასობით აზერბაიჯანელმა მკვლელობის დღესვე ცეცხლი წაუკიდა, გადაწვა და დაარბია როგორც სასაზღვრო საგუშაგო, ასევე იქვე განლაგებული საბაჟო დეპარტამენტისა და სავიზო სამსახურის ჯიხურები. მომხდარი მკვლელობით განრისხებულმა აზერბაიჯანელებმა ქართველი მესაზღვრეები ჯიხურში გამოამწყვდიეს და მას ცეცხლი წაუკიდეს. თუმცა, განწირული ჯარისკაცები სიკვდილს ისევ აზერბაიჯანელმა პოლიციელმა გადაარჩინა. ჰუსეინოვის მკვლელი ზაზა სახვაძე საგუშაგოზე მყოფმა ჯარისკაცებმა იქაურობას როგორღაც მოაშორეს და აზერბაიჯანელების რისხვისგან იხსნეს.

საგუშაგოზე მომხდარი მკვლელობის დღესვე მთავარ სამხედრო პროკურატურაში ერთდროულად სისხლის სამართლის ორი საქმე აღიძრა. დარბევის საქმე, ცოტა ხანში, გამოსაძიებლად ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურას გადაეცა, მკვლელობის საქმე კი სამხედრო პროკურატურამ გამოიძია.

წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულმა სახვაძემ თავი დამნაშავედ არ ცნო. თუმცა, მოწმეთა ჩვენებები და გამოძიების მიერ მოპოვებული მისი ბრალეულობის მტკიცებულებები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სახვაძე განზრახ მკვლელობაში დაედანაშაულებინათ. გამოძიებით გაირკვა, რომ "წითელი ხიდის" პირველ საგუშაგოზე განაწესში მყოფმა ზაზა სახვაძემ აზერბაიჯანიდან თბილისის მიმართულებით მიმავალ რამდენიმე აზერბაიჯანელს, საზღვრის უპრობლემოდ გადალახვის საფასურად, ფული მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. სახვაძესა და ფიზული ჰუსეინოვს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკება-ვაჭრობა გაიმართა. ქართველი მესაზღვრე ჰუსეინოვს ორ აზერბაიჯანულ შირვანს სთხოვდა. ეს უკანასკნელი კი ცდილობდა, მესაზღვრე ერთ შირვანზე დაეთანხმებინა, რაც ვერ მოახერხა. ცოტა ხანში ვაჭრობის საგანი ჰუსეინოვის საათიც გახდა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელმა საათი მართლაც დაუთმო, სახვაძე მისგან მაინც დაჟინებით მოითხოვდა ორ აზერბაიჯანულ შირვანს. თანხის გადახდაზე საბოლოო უარით განაწყენებულმა ზაზა სახვაძემ მასზე განპიროვნებულ ავტომატს მჭიდი მოარგო, გადატენა და ერთი გასროლით ჰუსეინოვი ადგილზე მოკლა. მომხდარით შეშინებული ჰუსეინოვის თანმხლები აზერბაიჯანელები საგუშაგოს მაშინვე გასცილდნენ და ახლობლებს ჰუსეინოვის მკვლელობის ამბავი შეატყობინეს.

წინასწარი გამოძიების დროს მესაზღვრე სახვაძემ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავი დამნაშავედ არ ცნო და გასროლა გარდაცვლილ ჰუსეინოვს დააბრალა. **"მე ჰაერში გასროლას ვაპირებდი, უცებ ის ავტომატის ლულას სწვდა და ტყვია შემთხვევით გავარდა",** - ასეთ ჩვენებას აძლევდა სახვაძე გამომძიებელს. თუმცა, მისი ჩვენება გააბათილა მოწმეთა დაკითხვამ, რომლებიც მკვლელობას შეესწრნენ და მომხდარის შესახებ აბსოლუტურად იდენტური ჩვენებები მისცეს გამოძიებას. ამას დაემატა ერთ-ერთი მესაზღვრის ჩვენებაც, რომლის მიხედვითაც გასროლის შემდეგ სახვაძეს მისთვის განუცხადებია – კაცი მოვკალიო. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ ბრალდებული შერაცხადად გამოაცხადა და განმარტა, რომ სახვაძე არანაირ მკურნალობას არ საჭიროებს. ანუ, მისი ფსიქიური აშლილობის ვერსია გამოირიცხა.

ერთი სიტყვით, ზაზა სახვაძეს ხვალ სასამართლო კოლეგიას წარუდგენენ. უკვე განსასჯელი მესაზღვრე კანონით გათვალისწინებულ ბოლო სიტყვას სასამართლოში იტყვის.

## მოკლედ

### დაღესტნის საქმის მონაწილე ჩეჩნები ლეფორტოვოს ციხეში არიან

დაღესტნის პოლიციამ ჩეჩნეთში დააკავა მუჰამედ ელდაროვი და სულეიმან მაგომედოვი, ჩეჩნეთის ნოჟაი-იურტის რაიონის მცხოვრებლები, რომლებსაც ბრალი ედებათ 1999 წელს დაღესტანში რუს ფედერალებზე განხორციელებულ თავდასხმაში.

დაკავებულები უკვე ლეფორტოვოს ციხეში არიან და რუსი სამართალდამცველები მათთან კომპლექსურ ოპერატიულ-საგამოძიებო სამუშაოებს ატარებენ. დგინდება დაკავებულთა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების წევრობის საკითხი და მათ მიერ რუსი სამხედროებისა და მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები.

### ბასაევის ბოევიკები გაასამართლეს

სტავროპოლის სასამართლომ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა ბასაევის ჯგუფის წევრს ლემა საიევს. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით ის დადანაშაულებულია 1995 წელს ბუდიონოვსკში განხორციელებულ თავდასხმებში, ტერორიზმში, ბანდიტიზმში, იარაღის უკანონო ტარებასა და ბუდიონოვსკის საავადმყოფოში ათას რვაასი მძევლის დატყვევებაში.

ეს უკვე მესამე სასამართლო პროცესია, სადაც ბუდიონოვკის საქმის მონაწილეები გაასამართლეს. აპრილის თვეში ბასაევის ბანდის 10 წევრს მძიმე სასჯელები ჩამოურიგეს, ივლისში კი დასრულდა ბასაევის 5 ბოევიკის პროცესი. 15-ვეს 15-15-წლიანი პატიმრობა არგუნეს.

რუს კანონდამცველთა ბრალდებით, ბასაევის ჯგუფის წევრებმა ბუდიონოვსკში მოკლეს 129 მშვიდობიანი მოსახლე, მილიციელები, სამხედრო მოსამსახურეები, 19 ადამიანი კი თავდასხმისას მიღებული ჭრილობებისგან მოგვიანებით გარდაიცვალა.

### რუსეთის ელიტა მოპარული მანქანებით დასეირნობს

რუსეთის ელიტის დიდი ნაწილი – მსახიობები, პოლიტიკოსები, ოლიგარქები და სხვა ცნობილი ადამიანები მოპარული მანქანების მფლობელები არიან. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ რუსეთის საგამოძიებო სტრუქტურები. მათი ინფორმაციით, რუსეთში უზარმაზარი რაოდენობით გაყიდულ პრესტიჟულ, უცხოური მარკის ავტომანქანათა უდიდესი ნაწილი აშშ-ს ავტოსალონებიდანაა მოპარული, რუსეთში შეყვანილია კონტრაბანდის გზით და გატანილია ბაზრობებზე გასაყიდად.

ამ საქმის გახსნა რუსმა კანონდამცველებმა ორწლიანი მუშაობის შემდეგ, აშშ-სა და უკრაინის სპეცსამსახურების დახმარებით მოახერხეს. მანქანების ქურდობით დაკავებულები იყვნენ პროფესიონალი ქურდები ბალტიისპირეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან.

ავტომანქანების ხუთი ქურდიდან რუსმა სამართალდამცველებმა სამი დააკავეს.

აშშ-ში მოპარული ნადავლიდან რუსეთში დიდი წარმატებით იყიდებოდა "land Roveris"-ის, "Lexus"-ისა და "Lincoln"-ს მარკის მანქანები.

### ჩინეთის ხელისუფლებამ რუს გოგონას დახვრეტა მიუსაჯა

ნარკოტიკების გასაღებაში ბრალდებულ 20 წლის რუს გოგონას ჩინეთის სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა.

სასამართლოზე, მისი კრიმინალური ბიოგრაფიის გამოქვეყნებისას, ითქვა, რომ გოგონა პეკინის რუსულ კვარტალში მეძავობით იყო დაკავებული. აზერბაიჯანელმა ნარკომოვაჭრეებმა გოგონა სწორედ რუსულ კვარტალში გაიცნეს და ნარკოკურიერის პროფესიაც აათვისებინეს. რუსი მსჯავრდებული ჩინელმა სამართალდამცველებმა იმ დროს დააკავეს, როცა იგი ნარკოტოკების მორიგი პარტიით ვაჭრობდა. მას ტანზე მიკრულ "ჩეკებში" 2 კილო ჰეროინი აღმოუჩინეს.

პეკინში მოქმედი რუსეთის საელჩო შეეცადა, ჩინეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ეწარმოებინა, რათა გოგონასთვის სასჯელი შეემსუბუქებინათ, მაგრამ მათ არაერთგზის თხოვნას შედეგი არ მოჰყვა. 20 წლის რუს გოგონასთვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს პეკინელი ჯალათები სისრულეში მოიყვანენ.

# შრიოდერის გამარჯვება და გერმანია-აშშ-ს დაძაბული ურთიერთობები

ირაკლი არეშიძე
ვაშინგტონიდან

გასულ კვირას გერმანიაში კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა არჩევნებში სძლია თავის კონსერვატორ კონკურენტს, ბავარიის პრემიერ-მინისტრს ედმუნდ შტოიბერს და ახლა ანალიტიკოსთა უმრავლესობა განიხილავს ერთ საკითხს – როგორ განვითარდება აშშ-გერმანიის ურთიერთობა; კერძოდ, რა შედეგი მოჰყვება შრიოდერის ბოლოდროინდელ შეტევებს პრეზიდენტ ჯ. ბუშსა და მის საგარეო პოლიტიკაზე? ჩვენ კი საკითხი ასე უნდა დავსვათ – რას მოუტანს საქართველოს შრიოდერის ხელახალი არჩევა?

პასუხი პირდაპირია – კარგს არაფერს. შრიოდერის კამპანიამ უაღრესად სერიოზული, შესაძლოა, სამუდამო ზიანი მიაყენა გერმანიის ურთიერთობას შეერთებულ შტატებთან. თითქმის შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სცენარი, რომლის თანახმადაც ბუშის ადმინისტრაცია აპატიებს შრიოდერს მის ანტიამერიკულ გამონათქვამებს. აქედან გამომდინარე, გერმანიაში მემარცხენე მთავრობის ხელახალი არჩევა ასევე ვნებს საქართველოს ინტერესებს. ეს გამარჯვება აღრმავებს არსებულ ბზარს აშშ-სა და ევროპას შორის და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ამერიკის პოლიტიკა კავკასიის მიმართ გადამწყვეტია ამ სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი რეგიონის რუსეთის აგრესიისგან დაცვის საქმეში.

ორი თვის წინათ არავინ ელოდა შრიოდერის გამარჯვებას არჩევნებში, მით უფრო, რომ მისი მმართველობის პერიოდში გერმანიის ეკონომიკური მდგომარეობა არ გამყარებულა. ბოლო ხანებში კანცლერმა ისარგებლა ამერიკის შეტევით ერაყზე და, თავის მხრივ, წამოიწყო აშშ-ს პოლიტიკის კრიტიკის კამპანია. შრიოდერმა განაცხადა, რომ ერაყის წინააღმდეგ ომში გერმანია მხარს არ დაუჭერს შეერთებულ შტატებს - მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში გერმანიის ტრადიციულ მოკავშირეს - მაშინაც კი, თუ გაერო-ს უშიშროების საბჭო მოიწონებს ერაყზე თავდასხმას. ასევე, შრიოდერი ხშირად საკმაოდ კრიტიკულად აფასებს ბუშის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში.

სექტემბერში ამერიკული გაზეთები წერდნენ, რომ ბუში უაღრესად უკმაყოფილოა შრიოდერის ტაქტიკური ეშმაკობებით. ამერიკის პრეზიდენტი მაისში დაჰპირდა გერმანიის კანცლერს, რომ გერმანიაში არჩევნების დამთავრებამდე გადადებდა საბოლოო გადაწყვეტილებას ერაყზე თავდასხმის შესახებ. შრიოდერმა კი საარჩევნო აგიტაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ბუშის კრიტიკა აირჩია. ამის შემდეგ, აღნიშნავენ თეთრ სახლთან დაახლოებული ანალიტიკოსები, პრეზიდენტი ბუში, ალბათ, ვეღარასოდეს ენდობა შრიოდერს.

გერმანიის კანცლერის მოქმედებით განაწყენებულ კონგრესმენთა ჯგუფმა წამოაყენა საკანონმდებლო ინიციატივა, გერმანიიდან აშშ-ს შეიარაღებული ძალების გამოყვანის შესახებ. დღეს ყველას, მათ შორის შრიოდერის მხარდამჭერებსაც, ესმით, რომ აშშ შეეწინააღმდეგება გერმანიის მცდელობებს, მიიღოს გაერო-ს უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილი, ვეტოს უფლებით.

შრიოდერის საარჩევნო კამპანიას კიდეც რომ არ ევნო აშშ-გერმანიის მეგობრობისთვის, ურთიერთობა ორ მოკავშირეს შორის არნახულად დაიძაბებოდა უკვე მას მერე, რაც გერმანიის იუსტიციის მინისტრმა ჰერტა დობერლ-გმელინმა პრეზიდენტი ბუში შეადარა ჰიტლერს. უნდა ითქვას, რომ მინისტრიც და კანცლერიც ცდილობენ, თავი იმართლონ; შრიოდერმა ბოდიშიც კი მოიხადა ამ გამონათქვამისთვის, მაგრამ ბუშის ადმინისტრაციის უკმაყოფილების განელება ვერ შეძლო. უფრო მეტიც, კონდოლიზა რაისმა, პრეზიდენტ ბუშის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში, გერმანიის მთავრობას მიმართა შეკითხვებით, რომელთა ტონალობა და ენა უჩვეულოა მოკავშირე ქვეყნების ურთიერთობისთვის. მან იკითხა: "როგორ შეგიძლიათ, ერთ წინადადებაში გვერდიგვერდ მოიხსენიოთ ჰიტლერი და პრეზიდენტ ბუში? როგორ შეუძლია ეს გერმანელს, ვინც იცნობს შეერთებული შტატების როლს გერმანიის გათავისუფლებაში ჰიტლერისაგან? ყოველივე ამან წარმოშვა სრულიად მომწამვლელი ატმოსფერო. მე ვიტყოდი, დღეს ჩვენი ურთიერთობა გერმანიასთან რთულ ფაზაშია... იუსტიციის მინისტრის კომენტარი ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა მაშინაც კი, მას რომ იმის ნახევარი ეთქვა, რაც მიეწერება."

შრიოდერმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, აღარ შეიყვანოს დობერლ-გმელინი ახალ კაბინეტში, თუმცა, მცირეა იმის ალბათობა, რომ ამ ნაბიჯმა გააბათილოს ზიანი, რაც მისმა საარჩევნო კამპანიამ მიაყენა გერმანია-ამერიკის მეგობრობას. ვარაუდობენ, რომ სიტუაციის განსამუხტად, შრიოდერი უარს იტყვის ანტიამერიკულ გამოსვლებზე, თანდათან მიემხრობა ამერიკულ-ბრიტანულ კამპანიას ერაყში და, შესაძლოა, უფრო აქტიური მონაწილეობაც მიიღოს სამშვიდობო ოპერაციებში ბალკანებსა და ავღანეთში. ერთი შეხედვით, ეს ნაბიჯები გაანელებს დაძაბულობას გერმანიასა და ამერიკას შორის, მაგრამ, სინამდვილეში, შრიოდერისა და ბუშის მეგობრობა სამუდამოდ განადგურდა. ამდენად, ურთიერთობა დაძაბული დარჩება მანამ, სანამ შრიოდერი იქნება გერმანიის ლიდერი, ბუში კი – შეერთებული შტატებისა. "ვაშინგტონ პოსტის" თქმით, **"ახლანდელი ლიდერების მმართველობის ხანაში, ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის სრული მასშტაბით ვერ აღდგება."**

შრიოდერის ტაქტიკის შედეგად აშშ-სა და გერმანიას შორის გაჩენილი უფსკრული გარკვეულწილად საზიანოა საქართველოსთვისაც, რადგანაც ეს ყოველივე მოხდა მაშინ, როდესაც ამერიკა და ევროპა თანდათან დაშორდნენ ერთმანეთს საერთაშორისო პოლიტიკის მრავალ ასპექტში. პირადი თავისუფლების იდეის დაცვის მიზნით, პრეზიდენტი ბუში გაემიჯნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რომელსაც მხარს უჭერენ ევროკომისიის ბიუროკრატები და ევროპის მემარცხენეთა უმრავლესობა. ამასთანავე, ამერიკა დღეს ჩაბმულია ომში (რომელიც არ ჰგავს მეორე მსოფლიო ომს), ხოლო ევროპის მემარცხენეებს არ სურთ, შეიცნონ საფრთხე, რომელსაც ტერორიზმი და ტერორის მხარდამჭერი სახელმწიფოები უქმნიან დემოკრატიულ თავისუფლებას. სწორედ ამგვარმა აზრთა სხვადასხვაობამ ვერ შეაძლებინა ორ ტრადიციულ მოკავშირეს – ევროპასა და შეერთებულ შტატებს – შეემუშავებინათ შექმნილი საფრთხის შესაფერისი ერთობლივი პოლიტიკა.

ამ დროს კი სწორედ ერთობლივი პოლიტიკა იქნებოდა აქტუალური დღეს, როდესაც უკვე აშკარად გამოიკვეთა გეოპოლიტიკური დაძაბულობის ახალი ცენტრი – ევრაზია. აქ, ერთი მხრივ, გააქტიურდა რუსეთი, რომელიც გამუდმებით ცდილობს, აღადგინოს იმპერიული კონტროლი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე, ხოლო, მეორე მხრივ - ჩინეთი, რომელიც ცდილობს, რეგიონში თავისი ჰეგემონია დაამყაროს; უდავოა, რომ მხოლოდ ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ერთობლივ ძალისხმევას შეუძლია, დაიცვას დასავლეთის სასიცოცხლო ინტერესები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. საეჭვოა, ამგვარი ერთობლივი პოლიტიკა შემუშავდეს, სანამ გერმანიისა და ამერიკის მთავრობები ვერ ენდობიან ერთმანეთს, რადგანაც გერმანია ერთ-ერთია სამ დომინანტ სახელმწიფოთაგან ევროკავშირში. ისიც უნდა ითქვას, რომ გერმანელი კონსერვატორები ყოველთვის დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ ევრაზიის პრობლემებს და მათი გამარჯვება სასიკეთოდ შეცვლიდა ევროპის დამოკიდებულებას რეგიონისადმი.

შრიოდერის გამარჯვება სხვამხრივაც იმოქმედებს შეერთებული შტატების პოლიტიკაზე ევროპის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ბუშის ადმინისტრაცია აშკარად დაინტერესებულია ურთიერთობის გაღრმავებით იტალიასა და ესპანეთთან, რომელთა მთავრობები უაღრესად კეთილგანწყობით ეკიდებიან ამერიკის ინტერესებს. იტალიასა და ესპანეთს სურთ, საფრანგეთის, გერმანიისა და დიდ ბრიტანეთის მსგავსად, ითვლებოდნენ ევროპული პოლიტიკის "ბობოლებად", მაგრამ აქამდე მათ ვერ მოიპოვეს ეს სტატუსი. ორივე სახელმწიფოს მართავენ კონსერვატორი ლიდერები, პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი და ხოსე ამრაი ასნარი, რომლებთანაც პრეზიდენტი ბუში ადვილად პოულობს საერთო ენას. ორივე ლიდერი თანამიმდევრულად უჭერს მხარს ამერიკის ომს ტერორიზმის წინააღმდეგ, შრიოდერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკისაგან განსხვავებით. შრიოდერის გამარჯვების შემდეგ მოსალოდნელია, ამერიკამ მეტად მიაპყროს ყურადღება იტალიასა და ესპანეთს, რაც მათ შეერთებული შტატების უახლოეს ევროპელ მოკავშირეებად აქცევს და საგრძნობლად გაზრდის ამ ორი ქვეყნის გავლენას პოლიტიკასა და საერთაშორისო ცხოვრებაზე. ეს პროცესი ბუნებრივად დაიწყო ბუშის პრეზიდენტად არჩევის დროიდან, მაგრამ ახლა იგი უფრო ინტენსიურად წარიმართება.

საყურადღებოა კიდევ ერთი ასპექტი: ბუშის ადმინისტრაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს ნატო-ს გაფართოებას ანუ ალიანსში შვიდივე კანდიდატი სახელმწიფოს გაწევრიანებას, ბულგარეთისა და რუმინეთის ჩათვლით. ის გარემოება, რომ ნატო-ს გაფართოება უახლოეს მომავალში მოიცავს ბულგარეთსა და რუმინეთს, მეტად მნიშვნელოვანი და იმედისმომცემია საქართველოსთვის - უფრო უახლოვდება რეალობას ალიანსში გაწევრიანების იმედი, სავარაუდოდ, ხუთი-შვიდი წლის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების შედეგები გერმანიის კონსერვატორებისთვისაც შეიცავდა გარკვეულ დადებით მომენტებს. ჯერ ერთი, მათ ამჯერად ბევრად უკეთ გამოიჩინეს თავი, ვიდრე ოთხი წლის წინ. მართლაც, უკეთესი შედეგებისთვის რომ მიეღწიათ თავისუფალ დემოკრატებს, კონსერვატორთა პარტნიორებს კოალიციაში, პარტიას, რომელიც ცნობილია ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსით, მაშინ კონსერვატულ-ლიბერალური კოალიცია დღეს გააკონტროლებდა გერმანულ ბუნდესტაგს და, შესაბამისად, ჩამოაყალიბებდა მთავრობას. გარდა ამისა, მოსალოდნელია, დასუსტდეს შრიოდერის კავშირი მწვანეებთან, განსაკუთრებით, თუ იგი იძულებული იქნება, თავი ანებოს ანტიამერიკულ გამოსვლებს. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მემარცხენე "წითელ-მწვანე" უმრავლესობაზე დამყარებული მთავრობა ვერ გასტანს ოთხ წელიწადს. თანაც საეჭვოა, შრიოდერმა შეძლოს გერმანიის ეკონომიკის განსამტკიცებლად საჭირო ძირეული ცვლილებების გატარება. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ შემდეგი არჩევნები გერმანიაში ჩატარდება არა ოთხ წელიწადში, არამედ უფრო ადრე.


პრეზიდენტი ბუში, ალბათ, ვეღარასოდეს ენდობა შრიოდერს.
REUTERS

# რუსი პოლიტოლოგები სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგნი არიან

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

**"საქართველოსა და ერაყში პრევენტიული კონტრტერორისტული ოპერაციის პერსპექტივები, მიზნები, ამოცანები, შედეგები, საერთაშორისო კონტექსტი"**- ამ თემაზე მოსკოვის ალექსანდრ-ჰაუსში 24 სექტემბერს თავისი მორიგი სხდომა გამართა "სამოქალაქო დებატების" კლუბმა, რომლის წევრებიც არიან ცნობილი რუსი პოლიტტექნოლოგები და პოლიტოლოგები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ეფექტური პოლიტიკის ფონდის პრეზიდენტი **გლებ პავლოვსკი**, ფონდ "პოლიტიკას" პრეზიდენტი **ვიაჩესლავ ნიკონოვი,** "საზოგადოებრივი აზრის" ფონდის პრეზიდენტი **ალექსანდრე ოსლონი**, პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი **სერგეი მარკოვი,** სტრატეგიული შეფასებების ცენტრის პრეზიდენტი **ალექსანდრ კონოვალოვი,** საზოგადოების - "ქართველები რუსეთში" - თავმჯდომარე **გურამ დეკანოიძე**, საშინაო და საგარეო პოლიტიკის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **სერგეი კარაგანოვი,** სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი **ალექსანდრე პიანტკოვსკი**, პოლიტტექნოლოგიების ცენტრის გენერალური დირექტორი **ბორის მაკარენკო**, კომპანია "ნიკოლო-მ"-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ივან მინტუსოვი,** რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები და სხვ.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ "სამოქალაქო დებატების" კლუბი კრემლის პოლიტტექნოლოგთა ინიციატივითაა შექმნილი და რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტების გათვლებით, სიტუაციათა მოდელირებით და პროგნოზირებითაა დაკავებული. ასევე კლუბი აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს რუსეთის პრეზიდენტისა და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიებში.

24 სექტემბრის სხდომაზე რამდენიმე შეკითხვა დაისვა:

**ხომ არ მოასწავებს პაუელის ბოლო განცხადება ამერიკის ჩუმ თანხმობას საქართველოში სამხედრო ოპერაციებზე და როგორ გამოიყენებს ამერიკა ეროვნული უშიშროების ახალ სტრატეგიაში ჩადებულ პუნქტს გამაფრთხილებელი დარტყმების შესახებ?**

**რამ განაპირობა პუტინის მკაცრი განცხადება - შევარდნაძის რეჟიმის დამხობის სურვილმა თუ ჩეჩნეთში ფიასკომ?**

**ბოლოსდაბოლოს, წავა თუ არა რუსეთი პანკისში სამხედრო ოპერაციაზე და როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია?**

**როგორ შედეგებს გამოიღებს რუსეთთან კონფლიქტი საქართველოს საშინაო პოლიიტკაში - გაერთიანდება შევარდნაძის ირგვლივ ერი თუ პირიქით, გაძლიერდება შევარდნაძის იზოლაცია?**

**"24 საათის" მკითხველებს საშუალება აქვთ, გაეცნონ ამ შეკითხვებზე ცნობილი რუსი პოლიტოლოგების კომენტარებს.**

**სერგეი მარკოვი:** "საერთაშორისო საზოგადოების დისკუსიის ცენტრში ერაყისა და საქართველოს მოქცევა დაემთხვა გერმანიაში ჩატარებულ არჩევნებში კანცლერ შრიოდერის გამარჯვებას, რამაც პრეზიდენტ ბუშის დამარცხება განაპირობა წითელ-მწვანე კოალიციასთან, ანუ გერმანიაში გაიმარჯვა ერაყის დაბომბვის მოწინააღმდეგეთა ფრთამ. ასე რომ, აშშ-ევროსაბჭოს სტრატეგიული კავშირი გრძელდება, მაგრამ დისკუსია ერაყსა და საქართველოზე გამძაფრდება.

ერაყის დაბომბვას აშშ მაინც განახორციელებს, რაც პოლიტიკურ სიტუაციას შეცვლის არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. პანკისისა და ერაყის პრობლემა პოლიტიკურია. ორივე ოპერაცია მოუმზადებელია და დაღესტანში ბასაევის ლაშქრობას მაგონებს. ამიტომ, მარცხი საქართველოშიც და ერაყშიც პოლიტიკური მარცხი იქნება. მაგრამ ის ფაქტი, რომ შევარდნაძე აშკარად თანამშრომლობს ტერორისტებთან, ზედმეტ დავას არ იწვევს. ამიტომ აუცილებელია შევარდნაძის საერთაშორისო იზოლაცია, რადგანაც მან საკუთარი ხალხი მღვიმეებში შეაბრუნა და მისი მიზეზით დღეს ქვეყანას კრიმინალები მართავენ. ამის გამო, მსოფლიოს თვალში საქართველო უკვე განიხილება, როგორც "არშემდგარი სახელმწიფო", რომელსაც დღეს არაკომპეტენტური კადრი მართავს და რომლის სუვერენიტეტიც სუბიექტურია. რუსეთმა რაღაც უნდა იღონოს, მაგრამ საქართველოში სამხედრო ოპერაციის ჩატარების მომხრე მაინც არ ვარ. რუსეთთან დაპირისპირება საქართველოს პრეზიდენტს უამისოდაც მიიყვანს პოლიტიკურ იზოლაციამდე."

**ალექსანდრე კონოვალოვი**: "პუტინის განცხადებების სიმწვავე უფრო დამაფიქრებელია, ვიდრე ტერორიზმის გლობალური საფრთხე. რომელი იქნება პირველი - საქართველო თუ ერაყი? ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს დასაყოლიებლად საჭიროა შევარდნაძის მხარდაჭერა. ის, რომ აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ საქართველო იემენის გვერდით ახსენა, რუსეთის გამარჯვებაა. რა გველოდება შემდეგ?

რუსეთის ასეთი პოზიცია აღიქმება, ბროგორც შევარდნაძის პოლიტიკური არენიდან წასვლაზე მეთოდური ზეწოლა და აქვე გაისმის თვალსაზრისი, რომ მიდის ეკონომიკური და პოლიტიკური ვაჭრობა ერაყის საქართველოზე გასაცვლელად. პოლიტიკაში ასეთი გარიგება შესაძლებელია, მაგრამ ეს იქნება ოქროს ზოდის შუშის ნატეხში გაცვლა. თანაც, პანკისის ხეობაში, მოახლოებული ზამთრის პირობებში, რუსეთის მხრიდან ომის დაწყება გამართლებული არ იქნება. თუ რუსეთისათვის საგარეო ვალების დაბრუნების გარანტიებზე ვილაპარაკებთ და თუ გასროლა მაინც მოგვიწევს, უნდა შევეგუოთ იმას, რომ დავკარგავთ საქართველოსთან საუკუნეების მანძილზე ნაშენებ საუკეთესო ურთიერთობებს, დავკარგავთ პოლიტიკური დარეგულირების ყველა ბერკეტს."

**ვიაჩესლავ ნიკონოვი**: "რუსი პოლიტიკოსები ერაყს საქართველოსთან არ აკავშირებენ, ანალიტიკოსები კი მაინც ამ გზით მიდიან. რუსეთის ინტერესები ერაყსა და საქართველოში განსხვავებულია. ერაყში რუსეთს რამდენიმე მიზანი აქვს: სადამის დაცვა, საბჭოთა ვალის დაბრუნება, რუსეთის ნავთობკამპანიების ინტერესების გადარჩენა.

ჰუსეინის რეჟიმი რუსეთს ვალებს ვერ დაუბრუნებს. ამ წლის ბოლომდე კი იგი ერაყში აღარ იქნება და აშშ თავის ოპერაციას მაქსიმუმ ორ კვირაში დაასრულებს, რაც გაერო-ს სანქციების გარეშეც მოხდება. რუსეთი ერაყს დარტყმას ვერ ააცილებს. აშშ მზადაა, ცნოს რუსეთის ნავთობკამპანიების ინტერესები ერაყში, მაგრამ, როგორც კი ერაყში პირველი ბომბი ჩავარდება და პირველი ამერიკელი ჯარისკაცი გაივლის, რუსეთის პოზიცია მოლაპარაკებებზე ნოლის ტოლფასი შეიქნება. ჩვენ ახლა უნდა დავიწყოთ ფიქრი ჰუსეინისშემდგომ ერაყზე და არა საქართველოში ერაყის კარტის გაცვლაზე. არ ღირს ერაყის უდიდესი კოზირის გაცვლა ამ საეჭვო სიამოვნებაზე - ქვეყანაზე, სადაც რუსეთისადმი მტრულად განწყობილი მოსახლეობა ცხოვრობს.

ამიტომ ხმას ვერ მივცემ პანკისში რუსეთის სამხედრო ოპერაციას, რომელიც შევარდნაძის რეჟიმს კიდევ უფრო განამტკიცებს."

ამ საკითხს პრაგმატულად უნდა შევხედოთ, რადგანაც შევარდნაძე მსოფლიოში ერთადერთი ანტირუსულად განწყობილი ლიდერია. და მაინც, იგი უმნიშვნელო ფიგურაა საიმისოდ, რომ რუსეთმა თავისი სტრატეგიული იტერესები მას შესწიროს.

**გლებ პავლოვსკი:** "ჩვენს დისკუსიებსა და რუსეთის პრესაში ისე დამკვიდრდა საქართველო-ერაყის გაცვლის თემა, რომ გარიგებამდეც მივედით. რუსეთისათვის ნებისმიერი გარიგება გამდიდრების იდეამდე მიდის. მაგრამ პოლიტიკაში ასე არ ხდება.

აშშ რუსეთს პანკისში მოქმედების მანდატს არ გამოუწერს, რადგანაც ერაყის შემდეგ ამერიკა შეიცვლება, ერაყიდან შინ სულ სხვა ამერიკა დაბრუნდება! საკითხავია, როგორ რუსეთს შეხვდება აშშ ერაყში ოპერაციის შემდეგ?

რეალურ რეჟიმში რუსეთი იძულებულია, საკუთარი რესურსებით იმპროვიზაცია გააკეთოს. ამიტომ საუბრის ტონსა და ახალ ენას საქართველოში ცდის.

დიახ, ჩვენ მივდივართ აშშ-სთან გაუგებრობების გზით. ეს არ არის ხანმოკლე თამაში. ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის შესაცვლელი ოპერაცია საშიშია - რუსეთი ამისათვის მზად უნდა იყოს, რათა თვითონაც არ იქცეს გარეშე ძალების მხრიდან ხელისუფლების შეცვლის ობიექტად."

**სერგეი კარაგანოვი**: "პრევენტული დარტყმები სალი აზრია, განსაკუთრებით - შიდა პროცესებზე გავლენისათვის, მაგრამ გასათვალისწინებელი უნდა იყოს გაერო-ს პოზიცია. თბილისზე ზეწოლისათვის ასეთი დარტყმები ვიწრო მიზანია. საქართველოს საქმე ისედაც რთულადაა. მე საერთოდ არ მესმის, რა ხდება დღეს საქართველოში. გაუგებარია რუსეთის პოზიციაც. მუქარა რეალური რომ იყოს, მას ხორცი უნდა შეესხას. თუ ჩვენი მრისხანე განცხადებების მერე არ წავალთ პანკისში ოპერაციაზე, შევრცხვებით. რუსეთმა უნდა დაიტოვოს საქართველოზე დარტყმის უფლება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ეს საერთაშორისო საზოგადოებას ააფეთქებს. საქართველო კი ამად არ ღირს. ასევე საეჭვოა საქართველოს დაკავშირება ერაყთან, რომლის დაბომბვაც კატასტროფა იქნება მსოფლიოსათვის."

**ალექსანდრე პიანტკოვსკი:** "რუსეთის სამხედრო ოპერაცია პანკისში ავანტიურა და სისულელეა! ისევე, როგორც უაზრობაა პანკისის გამო პროპაგანდისტული ომის წარმოება. ცალკე თემაა რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების, პარლამენტარების "ბრწყინვალე" გამოსვლები. თავდაცვის ასეთი მინისტრი შეურაცხყოფაა და, თუ მაინც ასეთი ინტელექტუალურად არაადექვატური მინისტრი გვყას, რატომ უნდა აწუხებდეს ეს აშშ-ს ადმინისტრაციას? ფუჭია რუსეთის მიერ ჩეჩნეთის ომში გამარჯვების ძიება საქართველოს ტერიტორიაზე. შევაშინეთ საქართველო და გვეყოს.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი კოლოსალური დარტყმა იქნება თანამედროვე საზოგადოებისთვის. რუსეთმა დღეს კავკასიაში მოკავშირეები უნდა ეძებოს, რადგანაც, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთ-საქართველოს ერთობას ამ რეგიონში ბევრი მანკიერების აღმოფხვრა შეუძლია.

დებატების შემდეგ საზოგადოების - "ქართველები რუსეთში" - დირექტორმა **გურამ დეკანოიძემ** მადლობა გადაიხადა რუსი კოლეგების კონსტრუქციული პოზიციისათვის და იმისთვისაც, რომ რუსი პოლიტოლოგებიდან საქართველოს ტერიტორიების დაბომბვას არავინ ითხოვს. "რუსეთის სამხედრო ოპერაცია პანკისში ტერორისტების გამარჯვება იქნება - იმ ბანდიტების გამარჯვება, ვისაც ჩეჩნეთისა და საქართველოს გადაკიდება სურდა და სურს", - თქვა მან.

რუსეთის სოციოლოგიური ცენტრის უფროსმა **ლეონიდ სედოვმა** რუსეთის ხელისუფლებას მოსთხოვა შევარდნაძის ტერორისტებთან თანამშრომლობის ფაქტების წარმოდგენა. სოციოლოგის აზრით, რუსეთს ამის დამაჯერებელი საბუთები დღეს არ აქვს.



www.24hours.ge 24 B

## ჟორდანია ნაკრებში ცვლილებების მომხრეა

მიხეილ აბაიშვილი

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ვადით არჩეული პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და მისი გუნდი უეფა-ს გრანტით აშენებულ ახალ ოფისში საბოლოოდ გუშინ გადაბარგდა. ეს ინტერვიუც, რომლის ძირითადი ნაწილიც, რაღა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებს ეხება, ჟორდანიას ახალ კაბინეტში შედგა.*

**- რას შეიძლება მივაწეროთ საქართველოს ნაკრების ასეთი ჩავარდნა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სასტარტო შეხვედრაში?**

- ამ მარცხში მეტ-ნაკლებად ყველანი ვართ დამნაშავე - ფედერაცია, მწვრთნელთა კორპუსი, ფეხბურთელები. შვეიცარიის ნაკრებთან დამარცხებაში ვის უფრო მეტი "წვლილი" მიუძღვის, გულშემატკივრებისა და საფეხბურთო საზოგადოებრიობის გადასაწყვეტია. მაინც მგონია, რომ თაობამ, რომელსაც ასე ენდობოდნენ, ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ნაკრებში კარდინალური ცვლილებების დრო მოვიდა. სამწუხაროა, რომ თაობამ, რომელმაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პრაქტიკულად პირველი ფურცლები ჩაწერა და დიდი სიხარულიც მოუტანა ქართველ გულშემატკივრებს, ვერ შეძლო საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზაცია.

**- ამ ცვლილებებს რუსეთის ნაკრებთან მატჩამდე უნდა ველოდოთ?**

- ჩემი აზრი მოგახსენეთ და ვერ გეტყვით, ბოლომდე იზიარებს თუ არა ამ პოზიციას ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა არც ჩარეულა და არც არასდროს ჩაერევა ნაკრების მწვრთნელის საქმიანობაში, თუ ეს მწვრთნელი ფედერაციის ნდობის ვოტუმს არ ამოწურავს. დღეს ბატონი ალექსანდრეს გადასაწყვეტია, როდის გაატარებს საკადრო ცვლილებებს ნაკრებში – რუსეთთან მატჩამდე თუ შემდეგ.

გაგრძელება B7 გვერდზე

## ისევ "ბორჯღალოსნებზე"

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მსოფლიო თასის ფინალური საგზურისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში შაბათს ჩაებმება და დუბლინში ირლანდიის გუნდს დაუპირისპირდება. მასპინძელთა სიძლიერე საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ მის ღირსებებზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. ისედაც ნათელია, რომ ამ მატჩში გამარჯვებაზე ფიქრი ღია კარის მტვრევას ჰგავს. თუმცა, გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ "ბორჯღალოსნები" შეძლებენ, მასპინძლებს ღირსეულად აღუდგნენ წინ და რუსებთან გადამწყვეტ მატჩამდე, გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი ბალანსი შეიქმნან.

ეს, რა თქმა უნდა, სასურველია, მაგრამ კლოდ სორელის თვითმიზანი არ არის. ფრანგისთვის მთავარია რუსეთის ნაკრების დამარცხება. ის დუბლინურ მატჩს, რუს "დათვებთან" შეხვედრის წინ, გენერალურ რეპეტიციად აღიქვამს. ამ შემთხვევაში, სორელის ამოცანაა გუნდი არასასურველ ტრავმებს მოარიდოს, ამიტომ ადვილი შესაძლებელია, დუბლინში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე არც წავიდეს (ყოველ შემთხვევაში, კლოდ სორელის მიერ ასეთი თვალსაზრისი განიხილებოდა).

გაგრძელება B7 გვერდზე



დახვდებიან თბილისში "ბორჯღალოსნები" რუს "დათვებს"?

## პრესკონფერენციით და იმედით დასრულებული სეზონი

ბიბა ბურასაშვილი

წლის ბოლო უმთავრეს ასპარეზობაზე ქართველმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით, ამგვარი ასპარეზობების ისტორიაში პირველად, შეძლეს გუნდური მეორე ადგილის დაკავება. ამასთან, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრით მომავალი წლის ალმაატის მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლებაც მოვიპოვეთ. 47-ე მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც 51 ქვეყნის უძლიერესი ფალავნები ასპარეზობდნენ, კვარცხლბეკზე ასვლა მხოლოდ 13 ქვეყნის წარმომადგენელმა მოახერხა. პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ნაკრებმა მოიპოვა. მათ ორი ოქრო და თითო-თითო ვერცხლი და ბრინჯაო დაისაკუთრეს. ამგვარი ასპარეზობის შარშანდელმა გამარჯვებულმა კუბამ, რომელიც ერთი ქულით ჩამოგვრჩება, ორი ბრინჯაოთი მესამე ადგილზე აღმოჩნდა. მოსკოვური პერიპეტიების უკეთ გასაცნობად, გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს.

საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ბეგი დარჩიას, ისევე როგორც ჩემპიონატის პრიზიორებს, წინა დღით, მოსკოვიდან შინ დაბრუნებისთანავე გავესაუბრეთ, მაგრამ რა და როგორ იყო, ამჯერად ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ნაკრების უფროსი დამრიგებელი: "მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ ექვს წონით კატეგორიაში ვიასპარეზეთ. რომ არა, მირიან გიორგაძის ტრავმა და შემდეგ მენისკის ოპერაცია, ალბათ, უკეთესი შედეგიც გვექნებოდა. მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ აღვნიშნე, რომ საქართველოს გუნდი ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა. ასეც მოხდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დავიკავეთ. რაც შეეხება წონითი კატეგორიების მიხედვით ჩვენს ასპარეზობებს, აქ ზოგიერთს ხელი შეუშალა საერთაშორისო სარბიელზე გამოუცდელობამ, ზოგს კი - ზედმეტმა ნერვიულობამ. 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ირაკლი ჭოჭუამ კარგად კი აიღო სტარტი, მაგრამ მესამე შეხვედრაში ირანელ ჰასან რანგრაზთან, როდესაც შეხვედრა თავის სასარგებლოდ მიყავდა, მოულოდნელად, ფსიქოლოგიურად გატყდა და წააგო კიდეც. არადა, ორთაბრძოლა ლამის მოგებულიც კი ჰქონდა. კარგი იქნება, თუ კი მომავალში ამ წონით კატეგორიაში ორი ან სამი მოჭიდავე გვეყოლება. ეს კონკურენციასაც გაზრდის.

გაგრძელება B7 გვერდზე

## დუდუ დადიანის მემორიალი

დიმიტრი ობოლაძე

26 სექტემბერს, ვერის ბაღის ბავშვთა და მოზარდთა საკალათბურთო სასახლეში სტარტს აიღებს შარშან ზამთარში მოკლული, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, დუდუ დადიანის მემორიალი, რომელშიც საქართველოს ექვსი საუკეთესო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. დუდუ დადიანი 1999-2002 წლის 22 იანვრამდე საქართველოს კალათბურთის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ადრე კი საკალათბურთო კლუბ "ვითაში" და ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა. მისი მემორიალის დაარსების ინიციატორები კალათბურთის ფედერაცია და გაზეთი "ოლიმპი" არიან. გუშინ ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია გამართეს. ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ტურნირი ყოველწლიურად გაიმართება. დაგეგმილია მემორიალისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება. მონაწილეობას ექვსი გუნდი მიიღებს. პირველ ჯგუფში საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ბათუმის "ბასკო", რუსთავის "აზოტი" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები გაერთიანდნენ. მეორე ჯგუფში ურთიერთობას დედაქალაქის კლუბები, შარშანდელი სეზონის ფინალისტი თბილისის "დინამო", სტუ-ჯეოსელი და "მაკაბი" გაარკვევენ. მთავარი პრიზისათვის პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს შეეცილებიან. ასევე გაიმართება მატჩები მესამე და მეხუთე ადგილისათვის. გაგაცნობთ ასპარეზობის სრულ კალენდარს.

**26 სექტემბერი**
14.00 "აზოტი" - თსუ
16.00 "დინამო" - "მაკაბი"

**27 სექტემბერი**
14.00 სტუ - ჯეოსელი-"მაკაბი"
16.00 "ბასკო" - "აზოტი"

**28 სექტემბერი**
14.00 თსუ - "ბასკო"
16.00 "დინამო" - სტუ-ჯეოსელი

**29 სექტემბერი**
12.00 5-ე ადგილისათვის
14.00 3-ე ადგილისთვის
16.00 ფინალი

### ეროვნული ჩემპიონატი 5 ოქტომბერს დაიწყება

გუშინ გაიმართა კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, სადაც საბოლოოდ დადგინდა ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღი. ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას 9 გუნდი მიიღებს, 5 ოქტომბერს, ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლეში დაიწყება. დებულებაში შეტანილია რამდენიმე ცვლილება, რომელიც ფინალურ ეტაპს ეხება. წესდების თავდაპირველი ვარიანტით, ფინალური სერია ერთ-ერთი ფინალისტის ორი მოგებული მატჩის შემდეგ უნდა დასრულებულიყო. ფედერაციის აღმასკომმა გადაწყვიტა, რომ სერია სამ მოგებამდე გაგრძელდება. და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია: საქართველოს ჭაბუკთა და პირველი ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო და შესარჩევ ეტაპებში უნდა ჩაებან. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ფიბა-ში გაგზავნა ეროვნული ნაკრებების მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთები, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური პრობლემა აუცილებლად უნდა გადაიჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ კალათბურთს კვლავ ელის სანქციები და სრული იზოლაცია. ასე რომ, კალათბურთის ფედერაცია აქტიურად შეუდგა მუშაობას. ამის დასტურად დუდუ დადიანის მემორიალიც კმარა.



მემორიალის მთავარი პრიზი

## მერიის მიზნობრივი აქცია

გუშინ, თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ მარტოხელა მოხუცებს ფულადი და ჰუმანიტარული დახმარება გადასცა. ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსის დავით ოქიტაშვილის განცხადებით, დახმარება იმათთვის იყო განკუთვნილი, ვისაც ქართული კულტურის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით. სიაში არიან: ვანდა შიუკაშვილი, ქეთევან თუმანიშვილი, დიზი ხელაშვილი, ვიკა დარჩია, ეკატერინე ვაჩნაძე, ელენე ასლამაზიშვილი, შურა ჯანელიძე, ლერი პაქსაშვილი, გოგი გელოვანი, მერაბ თაბუკაშვილი, ლეილა ღამბაშიძე, ლალი ყურაშვილი, თათია ხაინდრავა, ნელი ქუთათელაძე, ელეონორა ექსანიშვილი, ირაკლი გეჯაძე, ვერონიკა თუმანიშვილი, თინა გიგოლაშვილი, ვერა წიგნაძე, ანა შალიკაშვილი. გარდა ფულადი და ჰუმანიტარული დახმარებისა, მერმა მარტოხელა მოხუც ხელოვანებს წითელი ჯვრის მიერ 26 სექტემბერს ფილარმონიაში დაგეგმილი საქველმოქმედო კონცერტის მოსაწვევები დაურიგა. ზოდელავამ მათ ასევე საჭირო თანხების გამოყოფას დაჰპირდა, კომუნალური და ბუნებრივი აირის გადასახადის დასაფარად.

**"24 საათი"**



ღვაწლმოსილი ხელოვნები

## რომანტიკული მამაკაცის სურნელი

### სუნამო ტკბილი მოგონებებისთვის

ვერა ნეფარიძე

**"ნინა რიჩის" პარფიუმერულ სახლში სიახლეა. თბილისის ქუჩებში უკვე გამოჩნდა Emoire D`Home-ს რეკლამები. ახალი სუნამოს პრეზენტაცია ფირმის წარმომადგენლობამ გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართა.**

პარფიუმერულმა ფირმამ აპრილში საფრანგეთში აღნიშნა მამაკაცის ახალი არომატის შექმნა. Emoire D`Home-ს პრეზენტაციები, საფრანგეთის გარდა, სულ რამდენიმე ქვეყანაში: აშშ-ში, ესპანეთსა და იაპონიაში გაიმართა. "დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა "ნინა რიჩი"-ს წარმომადგენლობა, საქართველოში რა შეეთავაზებინა მამაკაცებისთვის. ჩვენ ხომ, რატომღაც, ქალის სუნამოებზე გაცილებით მეტს ვფიქრობთ ხოლმე. დარწმუნებულები ვართ, ფირმის ეს ახალი სუნამო საქართველოშიც გაამართლებს და ქართველ მამაკაცებსაც ძალიან მოეწონებათ", - ივარაუდა პრეზენტაციის გახსნაზე "ლუტეციას" ქსელის წრმომადგენელმა. როგორც მოგვიანებით, პრეზენტაციის ბოლოს, სუნამოს დაგემოვნებისას გაირკვა, იგი არც შემცდარა: სტუმართა უმრავლესობამ Emoire D`Home-ს სურნელი დიდად მოიწონა. სტუმრები კი, ძირითადად, საზოგადოების საქმიანი ფენიდან იყვნენ. მათ შორის, პარლამენტარები, ბიზნესმენები, მომღერლები (მაია ბარათაშვილი, ქეთი ფარესაშვილი) და უბრალოდ, ჟურნალისტები. მასპინძლები ასევე ელოდნენ თემურ თათარაშვილსა და მერაბ სეფაშვილს, რომლებიც პრეზენტაციაზე არ მოსულან.

საპატიო საზოგადოება სიტუაციაში მალე გაარკვიეს "ნინა რიჩის" ბრენდ-მენეჯერმა, ქეთი ტორონჯაძემ და ფრანგმა სტუმარმა, ლორანს შარდინმა. ეს უკანასკნელი, "ნინა რიჩისთან" ერთად, "პაკო რაბანის", "კაროლინა ჰერერასა" და სხვა რამდენიმე ცნობილი პარფიუმერული სახლის საერთაშორისო მენეჯერია. მის დაქვემდებარებაში შედის დსთ-ს სახელმწიფოებიც. ქეთი ტორონჯაძე, საფრანგეთიდან მიღებული Emoire D`Home-ს საპრეზენტაციო რგოლების ფონზე, სუნამოს შემადგენლობასა და ხასიათზე ესაუბრა სტუმრებს.

Emoire D`Home-ით "ნინა რიჩი" მამაკაცის პარფიუმერიის მწარმოებელთა შორის წამყვანი ადგილის შენარჩუნებას ცდილობს. სუნამოს სახელწოდება - "მამაკაცის მოგონებები" ახალი არომატის მთავარ იდეას უსვამს ხაზს. ახალი რომატიკული გმირი ეს არის თანამედროვე, ნამდვილი მამაკაცი, ემოციური, ყურადღებიანი და ტკბილი მოგონებებით სავსე.

სუნამოს შემადგენლობას რაც შეეხება, მისი მთავარი საწყისია გრეიფრუტი და ბენგალის ჯანჯაფისი, რომლებიც დიდხანს ტოვებენ მძაფრ სურნელს; ხოლო გაყინული მუსკატის კაკალი და ძირტკბილას ფოთლები ამ ყველაფერს ხილის მსუბუქ არომატს ჰმატებენ. ამათ გარდა, სუნამო კედარისა და ვეტივერის სურნელებითაა შეზავებული. "ლეგენდის თანახმად, მეფე სოლომონმაც გამოიყენა ოპოლინი, რათა დედოფალი შებას გული დაეპყრო", - წერია სუნამოს შემცველობის ჩამონათვალში.

ახალი სუნამოს შეძენა თბილისში პრობლემა არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან მისი გაყიდვის უფლება "ნინა რიჩის" ექსკლუზიურ დისტრიბიუტორს - პარფიუმერულ ქსელს "ლუტეციას" აქვს, სუნამო "ისი-პარისა" და "ვულევუს" მაღაზიებშიც გაიყიდება.

"ეს სუნამო მათთვისაა, ვისაც ქალები უყვარს და ბევრი საინტერესო და ტკბილი მოგონება აქვს", - ტექნიკურად "ააგდო" პრეზენტაციის ბოლოს ქართველი მამაკაცები ლორანს შარდინმა. რამდენად იმოქმედა მათზე ფრანგი ქალბატონის სიტყვებმა, ამას თბილისის პარფიუმერულ ბაზარზე Emoire D`Home-ის წარმატება გვიჩვენებს.




ახალი არომატი მამაკაცებისათვის

## ნანა ჯანელიძის „ანტიგონე"

ამ სპექტაკლს სოფოკლესთან და ანუისთან თითქოს ცოტა აქვს საერთო. ჟანრი -“მენიპეა”, ანუ თეატრი თეატრში. პიესის ავტორი და რეჟისორი ნანა ჯანელიძე გახლავთ.

საქართველოში ამ ქალბატონს წარდგენა აღარ სჭირდება. გენერალურ რეპეტიციაზე მიმავალს მრავალმა მომახსენა, სპექტაკლი არ გვინახავს, მაგრამ ულამაზესი იქნება, ხომ იცი, ჯანელიძეს სილამაზეზე გართულება აქვსო. ის, რაც ვნახე, მართლაც ძალიან ლამაზი იყო. მეტს არაფერს ვიტყვი – პრემიერა ჯერ არ შემდგარა, ეს სიამოვნება წინა გვაქვს. ერთადერთი, რისი აღნიშვნაც ახლავე მინდა, “მსახიობისა” და “ანტიგონეს” შემსრულებლის, ნანუკა ხუსკივაძის მართლაც უბადლო ოსტატობაა. ის არამარტო სპექტაკლის დროს, არამედ რეპეტიციაზეც ამართლებს თეატრის ვარსკვლავის სახელს.

ნანა ჯანელიძის “ანტიგონე” კავკასიური პროექტია, რომლის მენეჯერიც ქეთევან კორძახია (“კავკასიის ფონდი”) გახლავთ. პრემიერა გაზაფხულზე ქუთაისში შედგა, შემდეგ – თელავში, ივნისში კი ბაქოსა და ერევნის თეატრის მოყვარულებმა იხილეს. “ანტიგონეს” ყველა ქალაქში დიდი წარმატება ხვდა წილად და ვიმედოვნებ, არც თბილისი იქნება გამონაკლისი.

**25 სექტემბერს, აღმაშენებელზე, რკინიგზელთა სახლში, შედგება ნანა ჯანელიძის “ანტიგონეს” თბილისური პრემიერა.**

## კალენდარი

### 25 სექტემბერი



“ამ კაცის სიმაღლე სულ რაღაც 5 ფუტი და 6 ინჩი (დაახლოებით ერთი მეტრი 70 სანტიმეტრი) იყო, მაგრამ ის იყო გოლიათი, გოლიათი ამერიკული ლიტერატურისა,” – ასე მოიხსენიებენ ადამიანს, რომელსაც არასოდეს დაუმთავრებია არც სკოლა, არც კოლეჯი, რომელიც ყველაზე ღარიბი შტატის პატარა ქალაქში, უღარიბეს ოჯახში დაიბადა და რომელმაც მკითხველს საოცარი და დაუვიწყარი განცდები და მძაფრი შთაბეჭდილებები დაუტოვა.

უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ოჯახი, რომლის ბიბლიოთეკასაც “აბესალომ, აბესალომ!” ან “ხმაური და მძვინვარება” არ ამშვენებდეს.

“დაკრძალვამდე ის ოჯახს ეკუთვნის, დაკრძალვის შემდეგ კი მთელი მსოფლიოს საკუთრებაა,” – თქვეს მწერლის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრებმა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან იღებდნენ თავზარდაცემული მკითხველის სამძიმრის წერილებს.

**უილიამ ფოლკნერი** 1897 წლის 25 სექტემბერს დაიბადა.

## საკონცერტო დარბაზები

**თბილისის მუსიკალური ცენტრი**
საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი “შემოდგომის თბილისი” 2002
თბილისის სიმფონიური ორკესტრი, სოლისტი, ნატალია გუტმანი (ჩელო)
შოსტაკოვიჩი, კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის №2
შოსტაკოვიჩი, სიმფონია №5
დირიჟორი, ვახტანგ კახიძე
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**„ჭიბის თეატრი„**
“ცხოვრება საწვავის გარეშე”, რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.
**თავისუფალი თეატრი**
პრემიერა “სისხლიანი ქორწილი”, რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
**თეატრალური სარდაფი**
“ეტ-ცეტერა”, რეჟ: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
**რკინიგზელთა კულტურის სახლი**
პრემიერა “ანტიგონე”. რეჟისორი ნანა ჯანელიძე.
მთავარ როლებში: ნანუკა ხუსკივაძე, კახა აბუაშვილი.
დას: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
11 სექტემბრის ამსახველი ფოტოებისა
და ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა
**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ლელა ტაბლიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
**TMS**
ფოტოგამოფენა, “ჩინეთისა და საქართველოს
თანამშრომლობის 10 წელი”
გახსნა 19:00 სთ
**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა,
“მხატვრებთან ერთად”, ეძღვნება სამხატვრო
აკადემიის 80 წლის იუბილეს

## კინოთეატრები

**ამირანი**
"უძილობა", მთავარ როლებში: ალ პაჩინო და
რობინ უილიამსიდას: 13:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი: 5-8 ლარი
სტივენ სპილბერგის “უცხოპლანეტელი”
დას: 15:00; 17:00 სთ.; ფასი: 5-6 ლარი
**რუსთაველი**
“დიდი გამყინვარება”, საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
“ვნება”, მთავარ როლში რიჩად გირი
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი




# დროის მიჯნაზე

### მამაკაცთა სამყარო კავკასიაში

ანა კორძაია-სამადაშვილი

ეს ფილმი კავკასიაშია გადაღებული: აზერბაიჯანში - მენავთობეებთან, დაღესტნის სოფელში, სადაც შარიათის კანონი კანონობს, შავი ზღვის პირას ციხისძირში - უსინათლო მამაკაცებთან, და უშგულში.

“მე მინდოდა, რომ გერმანელებისთვის და დასავლეთის ადამიანებისთვის მეჩვენებინა სხვა სამყარო, სადაც დრო სულ სხვანაირია,” - მითხრა რეჟისორმა, შტეფან ტოლცმა, - “მინდოდა, ყველას ენახა, რომ ამ მხარეში, კავკასიაში, რომლის შესახებ გერმანელებსაც მხოლოდ ის ესმით, რომ ჩეჩნეთში ომია, კოდორში ომია, არსებობს დიდი ძალა – ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს ამხნევებენ და ბედნიერი მომავლის იმედი აქვთ, მაშინაც კი, როდესაც რკინის კუნძულზე ცხოვრობენ კასპიის ზღვაში ან უსინათლო, ხანშიშესული მამაკაცები არიან.”

“დროის ზღვარზე”, შტეფანის თქმით, “სავსებით მისი” ფილმია. მისთვის ეს სახელწოდება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეორე სათაური, “მამაკაცთა სამყარო კავკასიაში”. უბრალოდ, ევროპელებს მამაკაცთა ამბები უფრო მიმზიდველად ეჩვენათ, ვიდრე “სხვა დროის” ცნება სადღაც, გადაკარგულ კავკასიონზე, და ამ საქმისთვის გამოყვეს ფული. მიუხედავად ამისა, შტეფანს, მნიშვნელოვანწილად, თავად მოუწია ფილმის დაფინანსება, მაგრამ არ ნანობს: მან მიაღწია თავის მიზანს, “დროის ზღვარზე” უამრავ ფესტივალზე იყო მიწვეული, ევროპაში, აზიაში, კანადაში, შეერთებულ შტატებში, მრავალი საპატიო ჯილდო მიიღო, სამომავლო გეგმებში ტაივანის კინოფესტივალიც კი შედის – იქ მოხვედრას შტეფანი არასოდეს გეგმავდა.

კინოფესტივალების სიმრავლის წყალობით შტეფანმა უჩვეულო კანონზომიერება აღმოაჩინა: იმ ფესტივალებზე,


შტეფან ტოლცი
ლევან ხერხეულიძის ფოტო

სადაც ორგანიზატორები ქალები არიან, ფილმს უდავოდ იწვევენ ხოლმე, მამაკაცები – ერიდებიან. მაგრამ რატომ არ დაუშვეს შარშან თბილისის კინოფესტივალის მესვეურებმა, რომ “დროის ზღვარზეს” მსოფლიო პრემიერა თბილისში ჩატარებულიყო, არ ვიცი. არადა, საწყენია, უფრო ჩვენთვის, ვიდრე შტეფანისთვის, რომელმაც თავისი ფილმი პირველად ამსტერდამში აჩვენა, ფესტივალზე, რომელშიც მონაწილეობა ყველა კინოდოკუმენტალისტისთვის დიდი პატივია.

ასე თუ ისე, ერთი წლის დაგვიანებით და თბილისის გოეთეს ინსტიტუტის შემწეობითა და მფარველობით, თბილისელმა მაყურებელმა გუშინ ფილმი ნახა და გაეცნო გმირებსაც – ამ სიტყვას არამარტო კინოფილმის პერსონაჟების აღსანიშნავად, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც ვხმარობ.

■ ■ ■

შტაფან ტოლცი, გერმანელი რეჟისორი, რომელმაც ყველაზე მძიმე, 90-იან წლებში თბილისში იცხოვრა და ქართული ისწავლა, გოეთეს ინსტიტუტში გავიცანი. სვანეთში წასვლა უნდოდა.

2000 წლის ბოლოს შტეფან ტოლცის იდეა – შობა-ახალწელიწადი საქართველოში, თან სვანეთში, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის სახურავზე, უშგულში გადაეღო, რბილად რომ ვთქვათ, ავანტიურულად იყო მიჩნეული. მთელი გერმანია მისძახოდა, ეგ თვითმკვლელობის ტოლფასიაო, ჩვენ კი გვიხსნიდნენ, რომ ამხელა პასუხისმგებლობის აღება არ შეიძლება, რომ გერმანელი სათუთი არსებაა და გაიყინება, რომ გზაში დააყაჩაღებენ, შეჭამენ და ა.შ.

2000 წლის 27 დეკემბერს, უთენია, თბილისიდან პირველი ჯგუფი გავემგზავრეთ: შტეფანი (როგორც ჩემმა მეგობრებმა შეარქვეს, შტეფან უდრეკი), მთამსვლელი გურამ სალი, მე, და ნანა ნიჟარაძე, რომელსაც, ფაქტობრივად, მფარველი ანგელოზის ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული და შესანიშნავადაც უძღვებოდა თავის საქმეს.

უშგულმა, “უშიშარმა გულმა”, შტეფანი და მისი გადამღები ჯგუფი გულღიად მიიღო – გარკვეულწილად ეს შტეფანის ქართულისა და საქართველოს ცოდნითაც იყო განპირობებული. ჩვენ სოფლის მეკვლეები ვიყავით, 2001 წლის 1 იანვარს ავედით. თუმცა, ეს დღე არ ითვლებოდა – სვანეთში ახალ წელს 13 იანვრის ღამეს ზეიმობენ.

ფილმის უშგულელი გმირები როლანდ ჭელიძე და ბიდო ნიჟარაძე არიან. მაყურებელი მათი ყოველდღიური ყოფის მოწმე ხდება: როგორ უვლიან საქონელს, როგორ ნადირობენ, როგორ გლოვობენ, როგორ ლოცულობენ, როგორ დღესასწაულობენ ახალ წელიწადს. შტეფანმა გადაიღო შობა ღამე, საახალწლო დოღი უშგულის მოყინულ გზებზე. მისი ფილმი ამ ადამიანების იმედებისა და ოცნებების, განცდებისა და დიდი სიყვარულის შესახებ მოგვითხრობს, და გუშინ კინოთეატრ “ამირანში” თბილისელმა მაყურებელმაც ნახა, რა ხდება დროის მიჯნაზე და როგორები ვართ “ზნელი გულები” თუ “სიზნელის გმირები” – კავკასიელები.

მკითხველი, ალბათ, მიხვდებოდა, რომ ჩემთვის ამ ფილმის უშგულის ნაწილის მიმართ ობიექტურობის შენარჩუნება ძნელი ამოცანაა. მაგრამ სეანსის დასრულების შემდეგ დარბაზის რეაქციამ ცხადყო, რომ არ შევმცდარვარ: “დროის ზღვარზე”, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ფილმია, რომელიც ქართველ - და არამარტო ქართველ საზოგადოებას უნახავს კავკასიის შესახებ. ერთ-ერთი მაყურებლის, ძალიან მაღალი მოთხოვნების მქონე ნოდარ ლადარიას თქმით, მისი მნახველი უფრო კეთილი ადამიანი ხდება. ამიტომ გირჩევთ - ნახეთ. განა ხშირად გვაჩვენებენ ფილმებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ამ სიტყვებით მთავრდება “მე შენ მიყვარხარ!”

**25 და 26 სექტემბერს, 19 საათზე, კინოს სახლში ნაჩვენები იქნება შტეფან ტოლცის დოკუმენტური ფილმი “დროის მიჯნაზე – მამაკაცთა სამყარო კავკასიაში”.**

# გია ბუღაძე "მხატვრებთან ერთად"

ნანა ბასილაშვილი

ტრადიციულად, ყოველ 24 სექტემბერს ძველი გალერეა გია ბუღაძის შემოქმედებას მასპინძლობს. გუშინ გამოფენის გახსნაზე, როგორც ყოველთვის, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. საღამოს ხუთი საათისათვის გალერეაში მრავალი დამთვარიელებელი მივიდა. ნაცნობ-მეგობრები და უცნობი თაყვანისმცემლები მხატვარს (და მის მეუღლეს), გამოფენის გახსნასთან ერთად, დაბადების დღეს ულოცავდნენ.

ექვსწლიანი საოჯახო და საგალერეო ტრადიციისათვის არც წელს უღალატიათ. გია ბუღაძემ, მისივე თქმით, საანგარიშო გამოფენა (რასაც პირველ რიგში საკუთარ თავს აბარებს ხოლმე) წელს ახალი სერიით აღნიშნა. ასე რომ, გაიმართა ტრადიციული გამოფენა ტრადიციული დამთვარიელებლებით, ისევე როგორც შარშან და შარშანწინ. ჩვენც ჩვეული “რომანტიკული ილუზიებისათვის” განვეწყვეთ. თუმცა, წელს მხატვარი საზოგადოების წინაშე “მხატვრებთან ერთად“ წარსდგა. ტიციანი, მიქელანჯელო, ბოტიჩელი, ტინტორენტო, მონე, ლეონარდო, გოია, რაფაელი, ველასკესი, ვანგოგი... ახალი სერია - “მხატვრებთან ერთად” გია ბუღაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიის 80 წლისთავს მიუძღვნა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მხატვარმა ის უნივერსალური აკადემიზმის წინამორბედები წარმოადგინა, რომლებმაც იდეალური აკადემიის სკოლა შექმნეს. “აქ გამოფენილი ექსპონატები მხატვრისა და სამხატვრო ხელოვნების სახელმძღვანელოდ შეიძლება მივიჩნიოთ”, - აღფრთოვანებით ამბობდა ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილი.

მხატვარი ნაცნობ-მეგობრებს, სტუდენტებს, კოლეგებსა და მის ყოფილ პედაგოგებს საკუთარ ჩანაფიქრს გულმოდგინედ უზიარებდა, - “ეს არის ჰარმონიისა და იდეალიზმის კონკრეტიკაში მოტანა, ვცდილობ, იდეალიზმს მივუახლოვდე და ვიპოვო ჭეშმარიტი მხატვრის ტიპაჟი, ჩემს თავს და ყველა მხატვარს შევახსენო, რომ არსებობს იდეალი და ეს 30 ადამიანი სწორედ ამ იდეისა და იდეალიზმის ერთგვარი მოწოდებაა”.


გია ბუღაძე
იური ლობოდინის ფოტო

მხატვრის თქმით,“უნივერსალური აკადემიზმის” წარმომადგენელთა თითოეულ პორტრეტს მან საკუთარი ბიოგრაფიული გადაწყვეტა მოუძებნა. მხატვარმა “უკვდავი ადამიანების” სახეები თითოეული მათგანის გამორჩეული ბედისა და შემოქმედების გავლენით შექმნა.

“ძველი გალერეა” ამ გამოფენას კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში უმასპინძლებს,შემდეგ კი ექსპოზიცია სამხატვრო აკადემიაში გადაინაცვლებს.

# თეატრალური საჩუქარი მოსკოვის ТЮЗ-ის ხარჯზე

ვერა ნეფარიძე

**თეატრალური ფესტივალი “საჩუქარი” წელს მართალია, შეზღუდული პროგრამით, მაგრამ მაინც გაიმართება. თუმცა, შეზღუდულიც არ ჰქვია პროგრამას, რომელსაც მხოლოდ ერთი, მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრი ავსებს.**

“თუ რატომ ჩამოდის მხოლოდ ერთი დასი, ჰკითხეთ კულტურის მინისტრს, რომელსაც ეს ფესტივალი არ აინტერესებს. არა, როგორ არ აინტერესებს, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს მასთან, მაგრამ ამ ურთიერთობის მეტი არაფერი”, – ასე დაიწყო მასმედიასთან გუშინდელი შეხვედრა “საჩუქარის” სულისჩამდგმელმა, ქეთი დოლიძემ. მართლაც, წლევანდელი ფესტივალი სულ რამდენიმე ორგანიზაციის, თბილისისა და მოსკოვის მერიების, “ჯეოსელისა” და “სავაჭრო პალატის” დახმარებით იმართება.

წლევანდელ “საჩუქარზე” ორგანიზატორები შვიდი რუსული თეატრალური დასის სტუმრობას ვარაუდობდნენ. მაგრამ, სპონსორების მოლოდინში, ფესტივალის საბოლოო პროგრამა, თითქმის, უკანასკნელ დღეებში დაზუსტდა. ასე რომ, სამდღიან “საჩუქარზე” თბილისელ მაყურებელს თეატრალურ ვნებებს მხოლოდ მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრი დაუოკებს. ყოველ შემთხვევაში, ქართველ თეატრალებს სხვა გზა არ აქვთ.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენს თეატრომანებს საქმე საწუწუნოდ არ აქვთ, რადგანაც მოსკოვის ТЮЗ-ი თბილისში საკუთარი რეპერტუარის საუკეთესო ნამუშევრებით ჩამოდის. რუსული სცენის თვალსაჩინო მოღვაწის, კამა გინკასის რეჟისურას თბილისელი მაყურებელი მეტ-ნაკლებად იცნობს. შარშანწინ “საჩუქარმა” მისი “შავი ბერით” მოხიბლა მაყურებელი. ამჯერად რეჟისორი, რომელსაც დოსტოევსკის ერთ-ერთ საუკეთესო “სპეციალისტად” მოიხსენიებენ, რვა წლის წინათ პრემირებულ სპექტაკლს, “კ.ი “დანაშაულიდან” (“ანუ თამაშები თეთრ ოთახში”) წარმოგვიდგენს. სპექტაკლი უამრავი, მათ შორის, პრესტიჟული თეატრალური ფესტივალების მონაწილე და გამარჯვებულია. მას საკმაოდ რთული დეკორაციები აქვს, ამიტომაც მარჯანიშვილის თეატრის დიდი დარბაზის პარტერი სანახევროდ უნდა გაათავისუფლონ. ისინი კი, ვისაც სპექტაკლი სხვადასხვა თეატრალურ ფესტივალებზე უნახავს, ირწმუნებიან, რომ “დანაშაულის” სახით წინ საკმაოდ საინტერესო სანახაობა გველის. სპექტაკლისთვის პიესა დოსტოევსკის მიხედვით გინკასისა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ჰენრიეტა იანოვსკაიას ვაჟიშვილმა, დანილ გინკმა საგანგებოდ, მამის შეკვეთით დაწერა.

ფესტივალის მეორე სპექტაკლი ჰენრიეტა იანოვსკაიას ნამუშევარია. “ბრალდების მოწმე” აგატა კრისტის ნაწარმოების ირონიულ-ფარსული გადაწყვეტაა. მისი სახით რუსულ სცენაზე პირველად დაიდგა დეტექტიური ჟანრის დედოფალის ბრწყინვალე პიესა. თუკი ქეთი დოლიძეს ვენდობით, ის “ძალიან სასაცილო და ირონიული სანახაობაა”. რუსული პრესა წერს: “ჰენრიეტა იანოვსკაიამ დადგა სუფთა ინგლისური სპექტაკლი – თანამედროვე, ირონიული, ძალიან მუსიკალური, ოდნავ სალონური და შემოსავლიანი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით”. “ბრალდების მოწმის” გამო რეჟისორმა საკმაოდ სოლიდური, “ზროლის ტურანდოტიც” კი დაიმსახურა. როგორც ამბობენ, სპექტაკლში მნიშვნელოვანია სერგეი ბარხინის მხატვრობა. დანარჩენს კი თბილისელები, სამი დღის( 27-29 სექტემბრის) განმავლობაში, თავად განსჯიან.

წელს ფესტივალზე დასწრება ბევრს, ალბათ, ძვირ სიამოვნებად მოეჩვენება. ორგანიზატორებს ამაზე შესაბამისი პასუხი აქვთ. “როდესაც ძალიან კარგ ჯაზურ-კონცერტებში ისინი 80 ლარს იხდიდნენ, არავის უთქვამს რომ ძვირია; რადგანაც ასე ღირდა და მორჩა. კამა გინკასი ისეთივე პროფესიონალია თავის საქმეში, როგორც ელ ჯერო”, - “უფრო მეტიც, ელ ჯერო უფრო “პაპსაა”, - დაამატა ქეთი დოლიძის ნათქვამს ფესტივალის დირექტორთა საბჭოს წევრმა, რეჟისორმა დათო საყვარელიძემ. ასე რომ, ვისაც ამ სიტყვებში ეჭვი არ ეპარება, ალბათ, დაუფიქრებლად გადაიხდის ბილეთის საფასურს - 20-25 ლარს და თანამედროვე რუსული თეატრალური სცენის შედევრებს ნახავს.

# ზღაპრული და სევდიანი გამოფენა

ნინო ჭანიშვილი

გუშინ, ჯერ-ჯერობით ბევრისთვის უცნობი, ახალგაზრდა მხატვრის ლელა ტაბლიაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ხალხმრავალი გამოფენა, როგორც ყოველთვის, მხატვართა კავშირის თანათავჯდომარემ ნინო ზაალიშვილმა შემდეგი სიტყვებით გახსნა: “აი, აქ ახალგაზრდა ქალბატონს მაისურზე აწერია, “ჩემს სამშობლოში ნიჭის გამოყენება მიჭირს” იგივე შეიძლება ითქვას ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერ მხატვარზე, რომელიც დღეს ხელოვნების ყველა სფეროში უნდა იყოს დაკავებული”. თავად ლელა ტაბლიაშვილი, რომელიც ოთხი წელი მუსიკალურ თეატრში მუშაობდა, დღეს კი სამხატვრო აკადემიაში ასწავლის მულტიპლიკაციის ფაკულტეტზე, ამბობს, რომ “ხან იყო შეკვეთა ხან არა. დღეს შეკვეთაც უფრო მეტია და რეალიზაციის საშუალებაც”.


ლელა ტაბლიაშვილი
იური ლობოდინის ფოტო

ლელა ტაბლიაშვილის აკვარელში შესრულებული ნახატები ორ დარბაზშია ექსპონირებული. ერთგან ლირიზმით სავსე, მქრქალი ფერებით გადმოცემული პეიზაჟები, ნატურმოტები და პორტრეტებია წარმოდგენილი – “ასეთ ნახატებს ბევრი ყიდულობს,ალბათ იმიტომ, რომ დღეს ამდენი აგრესია და ძალადობაა გარშემო; ძალიან გამეხარდება, თუ ჩემი ნამუშევრები ადამიანთა ყოფაში სიმშვიდეს შეიტანენ”.

მაგრამ უფრო საინტერესო ის ოთახი აღმოჩნდა, სადაც მხატვრის მიერ მუსიკალური და მარჯანიშვილის თეატრებისთვის (ლენა ყიფშიძის მიერ დადგმული განახლებული “ძველი ვოდევილების”) შექმნილი ესკიზებია წარმოდგენილი. აქვეა ძმები გრიმების ზღაპრების, “სინდბადის მოგზაურობის”, “აბესალომ და ეთერის” პერსონაჟები, ასევე თაბაშირისგან გაკეთებული ფერადი ფიგურები. ლელა ტაბლიაშვილის მიერ იუმორით დანახული ზღაპრული პერსონაჟები საოცარი სიზუსტით ასახავენ ეპოქის სტილს. “დიდი სურვილი მაქვს, საბავშვო წიგნების გაფორმებაზე ვიმუშავო, დღეს საგამომცემლო საქმიანობა უფრო აქტიური გახდა და უკვე შემოთავაზებებიც მივიღე”.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

**ნებისმიერი საქმიანობა მეგზურის გარეშე ბევრ გაუთვალისწინებელ წინააღმდეგობას აწყდება. ხშირად ხელი მოცარვა გულს უცრუებს ადამიანს და სიამოვნების ნაცვლად გაღიზიანება და ნერვების მოშლა ხვდება წინ.**

**- დღეს რას ვიზამთ? დავიჭერთ თუ ვერა თევზს?! აი, შეკითხვა, რომელიც სათევზაოდ წამსვლელთა უპირველესი საფიქრალია. მიუხედავად მრავალი მინიშნებისა, რომლებსაც ბუნება, ამინდი და გარემო პირობები კარნახობს ადამიანს, ხშირად გამოცდილი მეთევზეც კი ხელმოცარული ბრუნდება თევზაობიდან.**

**გავეცნოთ ფაქტორებს, რომლებიც წარმატების ან წარუმატებლობის საწინდარია.**




**გარემოფაქტორები, რომლებიც თევზაობის წარმატებას განაპირობებენ:**

1. წელიწადის დრო
2. მზის სხივების რადიაციულობის ხარისხი
3. ჰაერის მასების მოძრაობა
4. ნალექები
5. წყლის დონის სიმაღლე
6. წყლის თვისობრიობა
7. წყლის და ჰაერის ტემპერატურა
8. ატმოსფერული წნევა
9. ქარის ძალა და მიმართულება

### კარგი თევზაობაა მოსალოდნელი

თუ ცა მოწმენდილია ან ოდნავ ღრუბლიანია, სუსტი ქარია, ღამე წყნარი და ცივია, დღისით კი თანდათანობით თბება; თუ ქარი დაუბერავს მზის ამოსვლის შემდეგ, ნელ-ნელა მოიმატებს და საღამოსთვის ჩადგება; თუ დილით წყლის ზედაპირი ნისლითაა დაფარული, რომელიც მზის ამოსვლის შემდეგ იფანტება; თუ ღამით ცვარია, რომელიც დილითვე აშრება; თუ ზომიერად წამოწვიმს, გადაიღებს და მერე ისევ გამოიდარებს.

### ცუდი თევზაობაა მოსალოდნელი

თუ ატმოსფერული წნევა საგრძნობლად ეცემა, დაბალღრუბლიანი მოქუფრული ამინდია და ძლიერი ქარი ხშირად იცვლის მიმართულებას.

### რით დავიწყოთ

სპორტული თევზაობით დაინტერესებული პირი, ხშირად მდარე ხარისხის ან სულაც გამოუსადეგარ ინვენტარს იძენს. ჩვენი რჩევაა - დაფიქრდით, სანამ სათევზაო მოწყობილობებს შეიძენთ და შეარჩიეთ ისეთი ხარისხისა, რომლებიც აუცილებელია წარმატებული თევზაობისათვის, თორემ ჩვენ, ქართველები, არც ისე მდიდრები ვართ, რომ იაფი საქონელი შევიძინოთ.

პირველი, რაც დაგვჭირდება, ძუაა. ადრე ყველაზე მიღებული - რუსული, ქ. კლინის, გერმანული (გდრ) და ჩეხური და იაპონური ძუა იყო. თითოეულ მათგანს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები განასხვავებდა. მაგალითად, იაპონური ყველაზე მეტ დატვირთვას უძლებდა, მაგრამ კვანძი იყო მისი აქილევსის ქუსლი. კლინის ძუა კვანძში ჯობდა, მაგრამ დატვირთვას ვერ იტანდა იაპონურივით და ა.შ.

ჩვენში უფრო იაპონურს ეტანებოდნენ, ვინაიდან იგი დამზადების სიფაქიზით, ნაირფერი ტონალობითა და სხვა მრავალი დადებითი თვისებებით გამოირჩეოდა.

არსებობს სხვადასხვა დიამეტრისა და ფერის ძუა, რომლებიც წლის ამა თუ იმ პერიოდისა და თევზის სახეობის მიხედვითაა შესარჩევი. ჩვენს პირობებში ლურჯს, ჩალისფერს, მწვანესა და თეთრს (გამჭვირვალეს) სცემენ პატივს.

ქართველი მეთევზეები უმთავრესად 0,12-0,15-0,18-0,20-0,30 და 0,40 მმ-იანი ძუებით სარგებლობენ.

პირველ ორს მკედად (ჩასაბმელად), ხოლო შემდგომთ კი მთავარ ძუად იყენებენ.

ამჟამად ბაზარზე არსებულ ძუათაგან გირჩევთ:

1) Samurai - 0,18-2,3 კგ დატვირთვა;
2) Chamnion special - 0,35-150 მეტრი - 9,30 კგ დატვირთვა;
3) Super NOO-RAI - 0,35-100 მეტრი - 7,20 კგ დატვირთვა.

მეორე ეტაპი ნემსკავის შერჩევაა. არსებობს ნემსკავის ზომის ევროპული და პოსტსაბჭოური სტანდარტი. პოსტსაბჭოური იწყება ე.წ. ნულოვანი) საყლაპავი ნემსკავით და შემდეგ ნუმერაციით № 1-2-3-4 და ა.შ. უმცირესიდან უდიდესისაკენ. ნემსკავი სხვადასხვა ლითონისაგან მზადდება, სხვადასხვა ფერითა და სიმტკიცით ხასიათდება. თუ ალუმინის ან უჟანგავი ლითონის ნემსკავს ნებისმიერი კონფიგურაცია შეიძლება მივცეთ, ამას ვერ შევძლებთ ფოლადის ნაჭედი ნემსკავის გამოყენებისას. მას ვერ გადავღუნავთ, ფორმას ვერ შევუცვლით და შეიძლება ამგვარმა ცდამ დაგვაზიანოს კიდეც. თევზაობის ყოველ მეთოდს შესაბამისი ნემსკავი ესაჭიროება, რის შესახებაც შემდგომ გვექნება საუბარი.

### შხოლის (ჯოხის) შერჩევა

ჩვენში უმთავრესად ან ტივტივით თევზაობენ, ან ფსკერზე თევზაობის მეთოდებს ეტანებიან. პირველ შემთხვევაში საჭირო შხოლი საგრძნობლად განსხვავდება თავისი მახასიათებლებით.

ტივტივისათვის შხოლის სიგრძე აუცილებელ პარამეტრებში მერყეობს და 3,5 მეტრზე მოკლე უვარგისია. იდეალურია 4-5 მეტრი სიგრძის მსუბუქი ტელესკოპური ანტენა, რომლის ტრანსპორტირება ძალზე ადვილი და მოსახერხებელია.

ფსკერზე თევზაობისათვის შხოლის სიგრძე 2,5 მეტრი სრულიად საკმარისია. განსაკუთრებული შორი ტყორცნისთვის იდეალურია პეპსიგლასის ორმუხლიანი რუსული შხოლი. მართალია, იგი მძიმე, მოუხეშავია, მაგრამ ძალზე გამძლეა და ტყორცნის სიშორეც რეკორდული აქვს.

ხშირად მეთევზეები აღჭურვილობის წონას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ და ოთხმუხლიან 2,5-მეტრიან მსუბუქ ანტენებს ირჩევენ.



# ნადირობის ეთიკა და ესთეტიკა



თეიმურაზ ლომინაძე

საქართველო უძველესი და უმდიდრესი მონადირული ტრადიციების მქონე ქვეყანაა. ქართული ნადირობა მუდამ იყო სწორედ მამაცთა, კეთილშობილთა, გასაჭირში ჩავარდნილის მშველელთა საქმიანობა. ქართველი მონადირე მტკიცედ იცავდა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ნადირობის წესებსა და ნორმებს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა სანადირო სანახებსა და ნადირ-ფრინველს.

დღევანდელი ქართული ნადირობა, ჩვენდა სავალალოდ, ის აღარ არის, რაც ძველად იყო. დღეს ყოველივე უგულვებელყოფილი და დავიწყებულია. ჩვენს სინამდვილეში მომხდარმა ძვრებმა, სასიკეთომ თუ საზიანომ, გარკვეულად შეცვალა მარადიულ ფასეულობებისადმი დამოკიდებულება. ამ ცვლილებებმა ვერც ნადირობას აუარეს გვერდი. ჩვენთან არ არის ევროპელ მონადირეთათვის ასე ნაცნობი და საჭირო ფიგურა - ეგერი, რომელიც იქაური ნადირობის გამრიგე და უმკაცრესი ზედამხედველია. ჩვენი მონადირე ხშირად მარტო, პირისპირ რჩება ბუნებასთან და მისი ქმედების მსაჯული მხოლოდ მისივე სინდისია. ხანდახან შორიდან მოთვალთვალე ეკოპოლიციელი თუ მიადგება მას, ან სადმე მთავარ გზაზე გამოსასვლელთან ჩაუსაფრდება, ნანადირევს დაუთვლის და დააჯარიმებს. ეს არის და ეს.

ბევრი თქმულა და დაწერილა ნადირობის კულტურის შესახებ. რუსულ და ევროპულ სანადირო პერიოდიკაში ეს საკითხი რეგულარულად შუქდებოდა და შუქდება. ჩვენში კი ამის შესახებ დღემდე ერთი სიტყვაც არ თქმულა. ეს თემა ჩვენთვის, ქართველი მონადირეებისათვის, ძალზე აქტუალური, საჭირბოროტო თემაა და ერთი-ორი, თუნდაც ღრმა ანალიზის შემცველი, პუბლიკაციით მას ვერ ამოწურავ. არც ჩვენს წერილს აქვს და ვერც ექნება სრულყოფილების პრეტენზია. ჩვენ ჯერჯერობით მოცემული თემის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს შევეხებით და იმედი გვაქვს, ის, ვისაც ხელეწიფება ამ საკითხებზე საუბარი, უყურადღებოდ არ დაგვტოვებს და თავის ავტორიტეტულ სიტყვას შეაწევს ნადირობის ამ მეტად მნიშვნელოვან მხარეს.

დღეს ჩვენი საზოგადოების წევრთა გარკვეული ნაწილისათვის ნადირობა პრესტიჟის საქმედ ქცეულა. უკანასკნელ დროს მონადირეთა კავშირს ნადირობის უფლების მაძიებელთა უზარმაზარი ტალღა მოაწყდა. ბევრ მათგანს ნადირობის ეთიკისა და კულტურის საკითხებზე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს და სწორედ მათ სჭირდებათ თვალის ახელა.

ნადირობის ეთიკური ნორმების უგულვებელყოფის ნაყოფია სარეველასავით მოდებული ბრაკონიერობა. თუმცა მას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზებიც განაპირობებს. ბრაკონიერობა ნადირ-ფრინველის არა მარტო ნადირობის ვადებისა და წესების დარღვევით, ან თუნდაც მათი დიდი რაოდენობით ხოცვაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ნადირობის კულტურის დეფიციტია. ეს კი, ჩემი აზრით, უფრო სავალალო რამაა, ვიდრე ოცის ნაცვლად ოცდაათი ან ორმოცი მწყერის მოპოვება.

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ იქ, სადაც მწყერი იბუდებს, ზოგიერთისათვის ნადირობა მისი მოფრენისთანავე იწყება. ყოვლად გაუგებარია, რა აუცილებლობასთანაა დაკავშირებული, ან რა სიამოვნების მიმნიჭებელი შეიძლება იყოს კვერცხიან ბუდეზე მჯდარი მწყრის ხოცვა. შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი რაიონებისა, სადაც მაისიდან მოყოლებული, ზაფხულის განმავლობაში, არ წყდება თოფის სროლა და ნადირობის სეზონის გახსნისათვის ამ სანახებში მწყერი უკვე პირწმინდადაა გაჟლეტილი.

ნადირობის კულტურა! რა არის იგი? როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ კულტურული მონადირე? რა და რა მახასიათებლები განსაზღვრავენ მონადირის კულტურას? ძალზე რთული კითხვებია და მასზე შეუძლებელია ერთგვაროვანი პასუხის გაცემა.

მონადირის კულტურა ნადირობასთან მის დამოკიდებულებაში მჟღავნდება. იგი სანადირო სამზადისიდან იწყება და მთელი სისავსით ნადირობის პროცესში ვლინდება.

კულტურული მონადირე არ ესვრის თოფს ზრდადაუსრულებელ ან გასაჭირში ჩავარდნილ ნადირს თუ ფრინველს. აგვისტოში მწყერზე ნადირობისას ბევრჯერ ამფრენია ხოხბის ლაპები, მთელი ბუდობაც კი, მაგრამ არასოდეს ამიწევია მათ მოსაკლავად თოფი. ისინი ხომ ორიოდე თვის შემდეგ ულამაზეს ფრინველებად გადაიქცევიან და ზრდასრულ ხოხობზე ნადირობას განა შეედრება რამე? ერთხელ, წალკის ტბებზე ნადირობისას, ერთმა მონადირემ პატარა გუბეში ჯერ კიდევ შეუბუმბლავი იხვის ჭუჭულები დახოცა. როცა მიზეზი ვკითხეთ, დიდებზე უფრო გემრიელიაო, გვიპასუხა.

ერთმა ძველმა მონადირემ ბალახში ყალყზე შემდგარი გიურზა დალანდა. ქვეწარმავალმა იგრძნო საფრთხე, გაბრაზებული სისინით სწრაფად შეერია მაღალ ბალახს და გაუჩინარდა. იქვე ახლოს კაკაბი მჯდარიყო, ალბათ, გველს თუ ჰყავდა მონუსხული. საწყალი ჯერ ფრთებჩამოყრილი გაიქცა, მერე ძლივს აიწია ჰაერში და შიშნარევი კრიახით გაფრინდა. ადვილი ჩამოსაგდები იყო. მონადირემ მხოლოდ ღიმილიანი თვალი გააყოლა მას.

კულტურული მონადირე არასოდეს ესვრის სხვა მონადირის წინ აფრენილ ფრინველს. იგი ნადირობის დროს არასოდეს გადაუსწრებს სხვას, გზას არ მოუჭრის. ერთხელ, ისევ წალკაში მწყერზე ნადირობისას, შემთხვევით აღმოვჩნდი ორი უცნობი მონადირის გვერდით. ისინი ყოველ აფრენილ მწყერს, ერთად, წყვილ-წყვილად ესროდნენ და ჩამოგდების შემთხვევაში, რაც იშვიათად ხდებოდა, იწყებდნენ დავას, არა მე მოვკალი და არა მეო. უცებ შვრიის მოცდენილ ყანაში, სადაც ჩვენ ვნადირობდით, სრულიად შეუფერებელ ადგილზე ფეხიდან დუპელი ამიფრინდა და ორმოციოდე ნაბიჯზე გადაჯდა, მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ვერც კი მოვახერხე თოფის შემართვა და ნელი ნაბიჯით წავედი იმ ადგილისაკენ, სადაც დუპელი ჩაჯდა.

- ვაა, დუპელი, ჯოო! - მომესმა უკანიდან და დავინახე ჩემკენ გამოქცეული ერთ-ერთი მათგანი. იგი მოურიდებლად ამომიდგა გვერდში, მორაგბის ილეთით, თითქოს ბურთის წართმევა უნდაო, ჩამიხტა წინ და გააგრძელა სირბილი დუპელისაკენ.

კულტურული მონადირე არასოდეს ესვრის ბუნდოვან მიზანს, იგი არ ესვრის ფრინველს ისეთ მანძილზე, როცა საფანტის მოხვედრა მხოლოდ შემთხვევაზეა დამოკიდებული. იგი არ ესვრის თუნდაც ახლო მყოფ ფრინველს ისეთ მაგრიანში, სადაც ნადავლის აღება შეუძლებელი იქნება. დაუშვებელია აგრეთვე ფრინველთა გუნდში, ალალბედზე სროლაც. ამ დროს ფართოდ გაშლილი საფანტი არა ერთსა და ორ ფრინველს ხვდება და უმრავლესობა, მსუბუქად დაჭრილი, შორს მიდის, იკარგება.

ჩემი სანადირო პრაქტიკიდან ერთი შემთხვევა მახსენდება. ერთხელ ორივე ლულიდან ვესროლე დიდ სიმაღლეზე გადაფრენილ იხვის გუნდს. მათ კი, თითქოს აქ არაფერიაო, გადაჭრეს მტკვარი და თავისუფლად გააგრძელეს გზა. მე გულდაწყვეტილმა თვალი გავაყოლე მათ და დიდხანს ვუყურებდი, თუ როგორ თანდათან უჩინარდებოდნენ ღრუბლიან ჰორიზონტზე. უცებ გუნდს ერთი წერტილი გამოეყო, ერთხანს იფართხალა ჰაერში და მტკვარგაღმა ტყეში ქვასავით ჩავარდა. მდინარის გადაცურვის და იმ ტყეში იხვის პოვნის არავითარი შანსი არ მქონდა.

კულტურული მონადირე ყოველთვის ეცდება, ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანოს ნადირობის პროცესი, მაგრამ არასოდეს გამოიჩენს სიხარბეს და არ დახოცავს უსაშველოდ დიდი რაოდენობით ნადირ-ფრინველს. მე ვიცნობ ერთ კარგ მონადირეს, რომელსაც, მიუხედავად მწყრის სიმრავლისა, არასოდეს მოუკლავს ორმოცზე მეტი. ნადირობის ბოლოს იგი მუდამ კმაყოფილი გამოდის მინდვრიდან. ისეთი მონადირეც მინახავს, რომელიც ვერ ძღებოდა მწყრის ხოცვით, არც ძაღლს ინდობდა და არც საკუთარ თავს. მახსოვს, როგორ წუწუნებდა ხოლმე იმის გამო, რომ ვაზნები შემოელია, მწყერი კი ჯერ კიდევ ბევრი იყო მინდორში.

კულტურული მონადირე მუდამ თვალისჩინივით უფრთხილდება თავის სანადირო იარაღსა და აღჭურვილობას. იგი თავადაც პეწიანად გამოიყურება. ინგლისელ მონადირეებში ასეთი ტრადიცია არსებობს: ყოველი ნადირობის დამთავრების შემდეგ მონადირეები ერთად იყრიან თავს, ამოალაგებენ საჭირო მოწყობილობას და იქვე წმენდენ და წესრიგში მოჰყავთ თავიანთი თოფები. რომელი ჩვენგანი აკეთებს ამას? უმრავლესობა წელიწადში ერთხელ, ნადირობის სეზონის დამთავრების შემდეგ, მსუბუქად თუ გაწმენდს თოფს და მომავალ სეზონამდე უადგილო ადგილას შეჩურთავს. ერთი მონადირე გაცხარებით ცდილობდა ჩემს დარწმუნებას: თოფს რად უნდა გაწმენდა, თავისი "შხამი" მუდამ უნდა ახლდესო. გადავხსენი და ლულებში გავხედე მის თოფს, სუფთა ლულების ნაცვლად ჩაჟანგულ-ჩაშავებული ხვრელები დავინახე. ასეთი ლულიდან ნასროლი პატრონს თუ მოუშხამავს გუნებაგანწყობას.

ნამდვილ, კულტურულ მონადირეს მუდამ განსაკუთრებულად ფაქიზი დამოკიდებულება აქვს ძაღლის მიმართ. განუწყვეტელი ნადირობით სიქას არასოდეს გააძრობს, არ მოექცევა უხეშად. დაღლილსა და დასიცხულ ძაღლს აუცილებლად მცირე ხნით შეასვენებს, წყალს დაალევინებს და შემდეგ გააგრძელებს ნადირობას. გამოჩენილი ქართველი კინოლოგი და მონადირე ლევან ციციშვილი იტყოდა: "ჩემო კარგო, ერთი საათის ნადირობის შემდეგ ძაღლი ათი წუთით მაინც უნდა შეასვენო". ჭეშმარიტად მაღალკულტურული მონადირის საქციელია. სანადირო ძაღლი ყველაზე ჭკვიანი, ლამაზი და ალერსიანია ძაღლთა შორის. განა შეედრება რამე ულამაზესი შეფერილობის მქონე ინგლისურ სეტერს ფრინველის ძებნისას, როცა იგი თეთრი ლანდივით ეფინება მინდორს, თითქმის ბალახზე გართხმული, ფრთხილი, მიმპარავი ნაბიჯით, მაღლა ცხვირაწეული მიილტვის ფრინველისაკენ. რაოდენი გრაცია და მოხდენილი ძალა იგრძნობა მასში.

ფოლადის ზამბარასავით დაჭიმული, ღონიერი და მოქნილი პოინტერი?

ირლანდიური სეტერი? - თითქოს ცეცხლის ალი ედებაო მწვანე მინდორს.

კურცჰაარი? - რომელი ერთი გნებავთ.

განა ბევრს მოუსმენია და გრძნობს იმ გასაოცარ მუსიკას ტყეში, რასაც კარგად შეთანხმებული მდევრების ბანი და მოძახილი თხზავს, დიახაც რომ თხზავს ნადირის დევნისას!

განა ყველა, ვისაც მხარზე თოფი ჰკიდია, მონადირეა? განა ნამდვილი მონადირე დახოცავს არასანადირო ფრინველებს: ბეღურებსა და ჩხართვებს, ტოროლებს, შოშიებსა და კვირიონებს? ნამდვილი მონადირე მუდამ ახერხებს მინიმალური დანახარჯებით დადგენილი რაოდენობის მოპოვებას. მან იცის კარგი სროლა და ზუსტად გრძნობს დისტანციას, რომ გაუმართლებლად დიდ მანძილებზე სროლით არ გაამრავლოს დაჭრილ-დასახიჩრებულ და ფუჭად დაკარგულ ნადირ-ფრინველთა რიცხვი. მან იცის, თუ სად, რა ადგილებში უნდა ეძებოს სანადირო ობიექტი, რომ ტყუილი ხეტიალით არც თავად დაიღალოს და არც ძაღლი დაღალოს. იგი არასოდეს ატეხავს უაზრო ბათქა-ბუთქს კონსერვის ქილებსა და ჰაერში ასროლილ ბოთლებზე, რომ ზედმეტი ხმაურით არ გადარეკოს ნადირ-ფრინველი იმ ადგილებიდან. იგი არ დატოვებს მიმოფანტულ ნაგავს და ჩაუმქრალ კოცონს.

მონადირეები კომუნიკაბელური ხალხია. ისინი ადვილად ამყარებენ ერთმანეთთან კონტაქტს, უახლოვდებიან, უმეგობრდებიან ერთმანეთს და ნადირობაში დამეგობრებულნი, სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად რჩებიან.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: თებერვლის ერთ სუსხიან ღამეს მე და ჩემმა მეგობარმა მოვინდომეთ რეზინის ნავით მტკვრის გადაცურვა, რათა მეორე ნაპირზე უფრო შედეგიანად გვენადირა იხვზე. მოდიდებულ მტკვარს ყინულის მოზრდილი ნატეხები მოჰქონდა. ჯიბის ფანრის შუქზე ვერ შევნიშნეთ შუა მდინარეში ჩაძირული, ძირფესვიანად მოგლეჯილი ხე. [illegible]

ამ შემთხვევამ ერთი საუკეთესო მეგობარი შემაძინა.

განა საჭირო იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ უყვარს მონადირეს თავისი ქვეყანა: ტყეები, ველ-მინდვრები, მთები, სადაც იგი ასე ლაღად და თავისუფლად გრძნობს თავს. ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, პოეტისა და მხატვრის გარდა, ვინც ისე მძაფრად გრძნობს ბუნებას, როგორც მონადირე. მხოლოდ სილამაზის დანახვის ნიჭით დაჯილდოებულ მონადირეს შესწევს უნარი, მთელი სისავსით შეიგრძნოს ნადირობის ესთეტიკური მხარე. მხოლოდ ასეთი მონადირის სულში სახლობს პოეტი, მხოლოდ ასეთ მონადირეს შეუძლია ერთი წამით შეჩერდეს, გაირინდოს, დაივიწყოს თავიც, ძაღლიც და ჭეშმარიტად დატკბეს ბუნების სილამაზის ხილვით. სხვაგვარად, ჩემი ღრმა რწმენით, ნადირობა დაკარგავდა ყველაზე მთავარს, რაც ყოვლის მომცველ ვნებად აქცევს მას. იგი დაემსგავსებოდა სასტიკ, ულმობელ დრამას, რომელსაც ერთხელ გაითამაშებ, ორჯერ და...

მახსოვს, წალკაში ერთ ბალახიან მინდორთან გავაჩერეთ მანქანები და მწყერზე ნადირობის სამზადისს შევუდექით. დილის რიჟრაჟი იდგა. აჰა, უკვე ავეწყვეთ და სანადიროდ გასვლას ვაპირებთ, რომ ვხედავ, ერთ ჩვენს მეგობარს დავიწყებია ყველაფერი, გვერდზე გამდგარა და აქა-იქ ნისლებმოდებულ, ჩალურჯებულ სიშორეში ზოლებად ჩაღვრილ მწყრისფერ ყანებს გაჰყურებს მონუსხულივით.

ვინ ზრუნავს ნადირ-ფრინველის შენარჩუნებასა და გამრავლებაზე ისე, როგორც ნამდვილი, კულტურული მონადირე. იგი ხომ სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, რომ ქვეყნად არ გაქრეს ნადირობა, ეს უმძაფრესი განცდებით აღსავსე, რომანტიკული სპორტი.

კარგი ღვინის ჭეშმარიტმა დამფასებელმა იცის: ქეიფის ეშხი თრობაში კი არა, სუფრის წევრებთან ურთიერთობასა და ღვინის დაგემოვნებით სმაში უნდა ვეძიოთ. მხოლოდ ასე შეიგრძნობს კაცი კარგი ღვინის სიკეთეს. და ასეა ნადირობაც. იგი არ არის მხოლოდ ნადავლის მოპოვება. არაერთხელ დავრჩენილვარ ნანადირევის გარეშე. ხშირად მცირედითაც ვკმაყოფილდებოდი, მაგრამ, ნადირობის შემდეგ, ნანახითა და განცდილით აღსავსე, თავს მუდამ ბედნიერად ვგრძნობდი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს არის კულტურული ნადირობა.

# ახალშობილი ლეკვის შემოწმება

დაიბადება თუ არა ლეკვი და სუნთქვაც მოუწესრიგდება, მაშინვე დრუნჩიდან კუდის რიკამდე უნდა შეამოწმოთ. დაიწყეთ თავიდან და შეუმოწმეთ ცხვირი, პირი, ტუჩი, ნახეთ, ხომ არა აქვს "კურდღლის ტუჩი"; გაუღეთ პირი და ნახეთ, "მგლის ხახა" ხომ არ გამოჰყოლია, რაც ხშირად ერთვის ხოლმე "კურდღლის ტუჩს"; შეუმოწმეთ წინა და უკანა კიდურებზე - თათების რაოდენობა, ნახეთ, ხომ არ დაუზიანდა თათები. შემდეგ უნახეთ მუცელი, რომ ჭიპის გარშემო შეწითლება ან ჭიპის თიაქარი არ ჰქონდეს; ბოლოს, კუდიც შეუმოწმეთ და ნახეთ, ხომ არა აქვს რაიმე მემკვიდრეობითი დეფორმაცია.

თუ ლეკვს, ჯიშის სტანდარტისთვის დაუშვებელი, ანომალიური შეფერილობა აქვს - "დააძინეთ", ოღონდაც, სიფრთხილე გმართებთ - მომხდარა, რომ ახალბედა მეძაღლეს, რადგან ლეკვების ბეწვის შეფერილობა არც დედისას ჰგავდა და არც მამისას, ჰგონებია, თითქოს, ძუს მხრიდან ადგილი ჰქონდა "სისხლის აღრევას" და საუკეთესო ლეკვების მთელი ნაყარი გაუნადგურებია. ლეკვის ბეწვის შეფერილობა ხშირად ძალიან განსხვავდება იმ ფერისგან, რასაც საბოლოოდ მიიღებს. მაგალითად, იორკშირული ტერიერი შავი იბადება, დალმატური - უხალოდ, შავი იბადება ნაცრისფერი პუდელიც და ტერიერიც. მრავალი ჯიშის სტანდარტის მიხედვით, ძაღლს უნდა ჰქონდეს შავი ცხვირი და თვალის გარშემო შემოყოლებული შავი ხაზი, მაგრამ ყველა ლეკვი თვალაუხელელი ევლინება ამ ქვეყანას, ხოლო თეთრი შეფერილობის ლეკვებს საერთოდ არა აქვთ ცხვირის წვერზე პიგმენტაცია და დაბადებიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ უჩნდებათ. ამიტომ, ახალბედა მეძაღლემ, მხოლოდ იმიტომ, რომ მის ლეკვებს ვარდისფერი ცხვირის წვერი აქვთ, ნაყარი არ უნდა გაანადგუროს.

ზოგიერთი ჯიშის სტანდარტი ერთფეროვან ბეწვს ითვალისწინებს, ზოგ ლეკვს კი, უფრო მკერდის შუაგულზე და ნიკაპზე, ცოტაოდენი თეთრი ბეწვი აქვს ხოლმე, რაც ჩვეულებრივ, ქრება, როცა ლეკვს ახალი ბეწვი ამოსდის.

ზოგი მეძაღლე იმდენად უვიცია, ჰგონია, ლეკვები კუდმოჭრილები იბადებიანო და თავზარი დაეცემა ხოლმე, როცა დაინახავს, რომ ლეკვებს გრძელი კუდი აქვთ!

თუ საქმე რაიმე აშკარა სიმახინჯეს არ ეხება, კარგი იქნება, ახალგაზრდა მეძაღლემ, სანამ რომელიმე ლეკვს ან, მითუმეტეს, მთელ ნაყარს გაანადგურებდეს, ვეტერინარს ან გამოცდილ მეძაღლეს ჰკითხოს რჩევა.

*პილერი ჰარმარი*

*წიგნიდან "ძაღლი და მისი მოშენება"*

# ლევან ციციშვილის სახელობის მესამე მემორიალი

დათო ცხვედიანი
კინოლოგი

ამ ორიოდე წლის წინ მეძებარი ძაღლების მოყვარული ახალგაზრდების ერთი ჯგუფის ინიციატივითა და თბილისის კინოლოგიური სექციის საბჭოს მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას. გადაწყდა, ყოველწლიურად ჩატარებულიყო საგაზაფხულო საველე შეჯიბრი მეძებრებს შორის - ამაგდარი პიროვნების, ქართული კინოლოგიის ერთ-ერთი მამამთავრის, საკავშირო კატეგორიის ექსპერტის "ბატონ ლევან ციციშვილის სახელობის მემორიალი". ინიციატივამ გაამართლა და წელს, 1 ივნისს, მემორიალი მესამედ ჩატარდა, მან დიდი ინტერესი გამოიწვია და მონაწილეთა გარდა, მრავალრიცხოვანი მაყურებელიც მიიზიდა.

მემორიალში 15 მეძებარი მონაწილეობდა: 3 პოინტერი, 4 ინგლისური სეტერი, 1 ირლანდიური სეტერი, 4 კურცჰაარი და 3 დრათჰაარი. 15 ძაღლი ერთდღიანი შეჯიბრებისათვის, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ როგორც ორგანიზაციული საკითხების მოგვარების, ისე მეძებრების დაახლოებით თანაბარ პირობებში გამოცდისათვის ერთდღიანი შეჯიბრება უფრო გამართლებულია და ემოციური დატვირთვაც მეტი აქვს.

მეძებრები მაღალ სათიბში იცდებოდნენ. ფრინველი (მწყერი) საკმარისი რაოდენობისა ჩანდა, გამოცდის დასაწყისში ამინდიც იდეალური იყო: სიგრილე და სუსტი ქარი პირველი ოთხი ძაღლის გამოცდის დროს. სამწუხაროდ, შემდეგ ქარი გაძლიერდა და ამან უარყოფითად იმოქმედა ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელ მეძებრებზე, თუმცა მაღალი ყნოსვის მქონე ძაღლებმა მაინც მოახერხეს თავის გამოჩენა და დიპლომის მიღება. ამის დასტურია ნაჩვენები შედეგებიც. 15 ძაღლიდან 8 მეძებარმა ანუ ნახევარზე მეტმა დიპლომი დაიმსახურა, რაც შეჯიბრებისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. შეჯიბრება ხომ რადიკალურად განსხვავდება რიგითი გამოცდისაგან. გამოცდის დროს ექსპერტთა უმრავლესობა არ იჩენს ზედმეტ სიმკაცრეს და პატრონის წახალისების მიზნით არცთუ იშვიათად გადაწყვეტილებას ძაღლის სასარგებლოდ იღებს. ამას თავისებური გამართლებაც აქვს. ხოლო შეჯიბრების დროს, როცა ხშირად 1-2 ქულა წყვეტს გამარჯვებულის ბედს, ექსპერტიზა მაქსიმალურად მკაცრი, მაგრამ ობიექტური უნდა იყოს. ეს კი ექსპერტთა მაღალ კვალიფიკაციასა და ობიექტურობას მოითხოვს. ამიტომაა, რომ ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაზე მოპოვებული დიპლომი ბევრად ფასეულია, ვიდრე საველე გამოცდისას მიღებული.

შეჯიბრებებზე დიპლომისათვის საკმარისი ქულების დაგროვება რომ რთულია, ამას რუსეთის საოლქო და მოსკოვის ოლქთაშორისი შეჯიბრებების შედეგებიც ნათლად ადასტურებს. უკანასკნელ წლებში ამგვარ შეჯიბრებებზე დიპლომს, დაახლოებით, მონაწილეთა მხოლოდ 35-40% იმსახურებს. ასე იყო ჩვენთანაც გასულ წლებში. პირველ მემორიალზე 9 მეძებრიდან დიპლომი დაიმსახურა 4-მა, ხოლო მეორე მემორიალზე - 10-დან ასევე მხოლოდ 4-მა მეძებარმა.

მესამე მემორიალი II ხარისხის დიპლომითა და 80 ქულით უკვე მეორედ შადიმან შამანაძის ხვადმა ინგლისურმა სეტერმა "ჯიმიმ" მოიგო. II ადგილზე III ხარისხის დიპლომითა და 79 ქულით გია გოგოლაძის ახალგაზრდა ძუ პოინტერი "ჯერი" გავიდა, ხოლო მესამე ადგილი თემურ დოგრაშვილის "დრათჰაარმა" ლედიმ დაიკავა 76 ქულითა და III ხარისხის დიპლომით. მგეშავის პრიზი გადაეცა გია ადიკაშვილს, ხვადი ინგლისური სეტერის "კორსას" კარგად გაწვრთნისა და დაგეშვისათვის. ყველა გამარჯვებული დაჯილდოვდა პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით.



მემორიალზე ყველაზე უკეთ ინგლისური სეტერები და დრათჰაარები გამოვიდნენ. 4-დან სამმა ინგლისურმა სეტერმა და 3-დან ორმა დრათჰაარმა მიიღო დიპლომი. კურცჰაარებიდან - 4-დან 2-მა. შედარებით სუსტად იასპარეზეს პოინტერებმა, მხოლოდ ერთმა მეძებარმა დაიმსახურა დიპლომი. არადა, არცთუ შორეულ წარსულში ისინი ლიდერობდნენ როგორც რაოდენობის, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. აღარაფერს ვიტყვით ირლანდიურ სეტერებზე, რომელთა ერთადერთმა წარმომადგენელმა ვერაფრით გამოიჩინა თავი.

შეჯიბრების შედეგების ანალიზისა და გარკვეული გამოცდილების მიღების შემდეგ კინოლოგიურმა საბჭომ იმსჯელა და იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ უკეთესი შედეგების მიღწევაცაა შესაძლებელი, თუ მემორიალი ჩატარდება პირადგუნდური შეჯიბრების პრინციპით. ჯერ უნდა გაიმართოს შესარჩევი გამოცდები ჯიშების მიხედვით. ამ გამოცდებზე გამარჯვებული სამ-სამი მეძებარი კი დასკვნით შეჯიბრებაზე გამოვიდეს. ამგვარი წესით მაქსიმალურად გამოირიცხება მოუმზადებელი ძაღლების შეჯიბრებაში მონაწილეობა. პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდა, აქ უკვე გამოვლინდება ჯიშებს შორის გამარჯვებული გუნდიც, რომელიც გარდამავალი პრიზით დაჯილდოვდება. გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად ქულების დაჯამება ასეთი პრინციპით უნდა მოხდეს: საუკეთესო ორ-ორ მაჩვენებელს უნდა დაემატოს 25 ქულა თითოეულ II ხარისხის დიპლომისათვის და 50 ქულა I ხარისხის დიპლომისათვის.

დაბოლოს, კინოლოგიური სექციის საბჭოს სახელით დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ შეჯიბრების ყველა მონაწილეს, ექსპერტებსა და სტუმრებს ღონისძიების ჩინებულად ორგანიზებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

აქვე შემოგთავაზებთ შეჯიბრების საბოლოო ცხრილს და ორი მეძებრის მუშაობის აღწერას.

*შ. შამანაძის ინგლისური სეტერი ჯიმი. მუშაობის დაწყება 7.15 - დამთავრება 7.25.*

*ძებნა დაიწყო თავაწეულმა, საშუალო სისწრაფის ნავარდით, ენერგიულად, მაგრამ არასაკმარისად მსუბუქად, სწორ და ფართო პარალელებზე. კარგად გაწვრთნილი და დაგეშილია.*

*1) იყნოსა, მკვეთრად შეჩერდა და დაიწყო ლტოლვა, სწორხაზოვნად გაიარა 6 მ. გაჩერდა მყარ და ეფექტურ ნაბულზე. პატრონი ამ დროს უფრო მოშორებით იყო ძაღლისგან, ვიდრე ჩვენ - ექსპერტები. იგი როცა მივიდა და გასცა ბრძანება, მის ხმაზე მწყერი თავისით აფრინდა ძაღლის წინ 3 მეტრის მოშორებით.*

*2) მეორე ფრინველიც მალევე იპოვა, შეანელა სვლა, ლტოლვით გაიარა 2 მ და გაჩერდა ნაბულზე. პირველივე ბრძანებაზე ენერგიულად გადახტა 2 მ-ზე და კვლავ გაჩერდა. ახალი ბრძანების შემდეგ ისევ ენერგიულად მიეტანა ფრინველს და 3 მ-დან ამოაფრინა. დარჩა ადგილზე.*

*3) იქვე დაამუშავა მესამე ფრინველი. 3 მ-იანი ლტოლვის შემდეგ დადგა მყარ ნაბულზე, ბრძანების შემდეგ ენერგიულად გაიწია წინ 3 მ-ზე და ცოტა გვერდიდან ამოფრინდა ფრინველი. ადგილიდან არ დაძრულა.*

*ყნოსვაში მიიღო 20 ქულა, გაწვრთნილობაში 14 ქულა, ჯამში დააგროვა 80 ქულა და დაიმსახურა II ხარისხის დიპლომი. გახდა შეჯიბრების გამარჯვებული.*

*თ. დოგრაშვილის დრათჰაარი ლედი. მუშაობის დაწყება 15.50 - დამთავრება 16.00.*

*ძებნა დაიწყო სწრაფი ნავარდით ჟინიანად, ენერგიულად, ფართო დიაპაზონზე, მაგრამ არასწორ პარალელებზე. აკლია გაწაფულობა და მორჩილება.*

*1) სწრაფად იყნოსა ფრინველი, მაგრამ ვერ მოასწრო დამუშავება, ახლოს მიეტანა და დააფრთხო.*

*2) მოძრაობისას შედარებით შორს გავიდა და მოეფარა თვალს. ამ დროს წამყვანიცა და ექსპერტებიც ვიყავით ჩავარდნილ ადგილზე. რომ აღარ გამოჩნდა, სწრაფად გავეშურეთ ძაღლის მიმართულებით და როცა ბექობს გადავადექით, დავინახეთ: უკვე მყარ ნაბულზე იდგა. ბრძანებისთანავე სწრაფი და ენერგიული ერთი ნახტომით 4 მ-დან ამოაფრინა ფრინველი.*

*3) მეორე მუშაობის დამთავრებისთანავე სწრაფად დააფიქსირა სხვა ფრინველი. თავაწეულმა მაღალი ყნოსვით დააზუსტა და გაჩერდა ლამაზ ნაბულზე. პატრონის მისვლის და ბრძანების შემდეგ ერთი ნახტომით 3 მეტრით გადაიწია წინ, ფრინველი გაეპარა, წამში იყნოსა თავიდან და დადგა ნაბულზე. ბრძანების შემდეგ კვლავ ენერგიული მიახლოებით 3 მეტრიდან ამოაფრინა მწყერი. გაფიცხებულმა გამოკიდება სცადა, მაგრამ შეძახილზე გაჩერდა. აჩვენა ეფექტური მუშაობა.*

*ყნოსვაში მიიღო 18 ქულა, გაწვრთნილობაში - 12. ჯამში დააგროვა 76 ქულა. დაიმსახურა III ხარისხის დიპლომი და დაიკავა მესამე ადგილი.*

| N | ჯიში | სახელი | მფლობელი | ყნოსვა: სიშორე | ყნოსვა: სიზუსტე | ყნოსვა: მანერა | ძებნის სისწრაფე | ძებნის მანერა | ლტოლვა-მიახლოება | ნაბული | მიტანება | სტილი: სვლის | სტილი: ნაბულის | სტილი: მიახლოების | განწრთვნა: გაწვრთნილობა | განწრთვნა: მორჩილება | ჯამური ქულა | დიპლომი | ადგილი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 10 | 10 | 5 | 10 | 10 | 5 | 5 | 10 | 5 | 5 | 5 | 10 | 10 | 100 | | | |
| 1. | დრათჰაარი | როი | რ. კენჭიაშვილი | 6 | 6 | 4 | 6 | 7 | 4 | 3 | 5 | 4 | 3 | 3 | 7 | 7 | 65 | III ხ/დ | | |
| 2. | ინგ. სეტერი | ჯიმი | შ. შამანაძე | 7 | 8 | 5 | 7 | 8 | 5 | 5 | 7 | 4 | 5 | 5 | 7 | 7 | 80 | II ხ/დ | I | გამარჯვებული |
| 3. | ინგ. სეტერი | კორსა | გ. ადიკაშვილი | 6 | 6 | 5 | 7 | 9 | 5 | 5 | 3 | 5 | 5 | 3 | 8 | 8 | 75 | III ხ/დ | | მგეშავის პრიზი |
| 4. | კურცჰაარი | მაქსი | გ. ერემაძე | ვერ გამოავლინა ყნოსვა | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5. | კურცჰაარი | ლედი | ე. ეგიაზაროვი | 6 | 6 | 4 | 6 | 6 | 4 | 4 | 3 | 4 | 4 | 3 | 6 | 7 | 63 | III ხ/დ | | |
| 6. | დრათჰაარი | ადა | ა. კრავჩენკო | 5 | 5 | 4 | 5 | 8 | 4 | 4 | 8 | 4 | 4 | 5 | 7 | 7 | 70 | დ/გ | | |
| 7. | კურცჰაარი | ლოიდი | გ. დევდარიანი | ვერ გამოავლინა ყნოსვა | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8. | პოინტერი | ჯესი | გ. გოგოლაძე | 7 | 6 | 5 | 9 | 9 | 4 | 4 | 8 | 5 | 3 | 5 | 7 | 7 | 79 | III ხ/დ | II | |
| 9. | პოინტერი | ტომი | ა. ოვანესიანი | ვერ გამოავლინა ყნოსვა | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10. | ირ. სეტერი | კერი | ა. კეკელიძე | 5 | 6 | 4 | 6 | 7 | 1 | 3 | 6 | 4 | 3 | 4 | 7 | 7 | 63 | დ/გ | | |
| 11. | ინგ. სეტერი | ლორდი | ზ. ირემაშვილი | 6 | 6 | 4 | 7 | 8 | 3 | 5 | 5 | 5 | 5 | 3 | 6 | 6 | 69 | III ხ/დ | | |
| 12. | კურცჰაარი | დიკი | დ. ბერიაშვილი | 6 | 6 | 5 | 7 | 7 | 4 | 5 | 8 | 4 | 5 | 5 | 7 | 6 | 75 | III ხ/დ | | |
| 13. | პოინტერი | მარდი | ზ. ლორთქიფანიძე | 5 | 6 | 4 | 7 | 6 | 2 | 5 | 7 | 5 | 5 | 4 | 6 | 6 | 68 | დ/გ | | |
| 14. | ინგ. სეტერი | ნესი | ე. აბრამიანი | 5 | 5 | 4 | 6 | 6 | 4 | 5 | 3 | 3 | 5 | 3 | 6 | 6 | 61 | დ/გ | | |
| 15. | დრათჰაარი | ლედი | თ. დოგრაშვილი | 6 | 7 | 5 | 8 | 7 | 4 | 5 | 8 | 4 | 5 | 5 | 6 | 6 | 76 | III ხ/დ | III | |

# რა უნდა იცოდეს ახალბედა მონადირემ

შალვა ცისიხისთავი
კინოლოგი

ფრინველზე ნადირობა კარგად გაწვრთნილ-დაგეშილი ძაღლით უდიდესი სიამოვნებაა. თითქმის ყველა გამოცდილ მონადირეს თავისი ჯიში უკვე თვალდადგმული ჰყავს და მას ანიჭებს უპირატესობას. დამწყები მონადირე კი რთული არჩევანის წინაშეა - რომელი ჯიშის ძაღლია უკეთესი?

ნებისმიერი წმინდა სისხლის მეძებარი სრულიად დააკმაყოფილებს სანადირო მოთხოვნილებას, თუ ის ჯანმრთელია, სათანადოდ არის დაგეშილ-გაზრდილი, გააჩნია ხმელი აგებულება, ნორმალური კიდურები, მოუღლელი და დამჯერია.

დღესდღეობით ჩვენში ფრინველზე მონადირე ძაღლების რამდენიმე ჯიშია გავრცელებული: პოინტერი, ინგლისური და ირლანდიური სეტერები, კურცჰაარი და დრატჰაარი. ეს ის ჯიშებია, რომლებმაც საქართველოში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და მონადირეთა შორის დიდი სიყვარულით სარგებლობენ.

მაინც რა ძირითადი თვისებები უნდა ჰქონდეს ფრინველზე სანადირო ძაღლს? პირველ რიგში საკმარისი ყნოსვა, ანუ უნარი, იპოვოს ფრინველი, გააკეთოს ნაბული ისეთ მანძილზე, რომ არ დააფრთხოს იგი. განასხვავოს სანადირო ობიექტის სუნი სხვა სუნებისაგან და არ აქცევდეს ყურადღებას სხვა, "არასანადირო" ფრინველებს. მინდორში არ უნდა ტოვებდეს დაუძებნელ ადგილებს, უნდა მუშაობდეს ზეყნოსვით (ძირითადად) და არა კვალზე. ძაღლის ამოცანაა, რაც შეიძლება მალე იპოვოს ფრინველი. ამისათვის მას უნდა გააჩნდეს სწრაფი და ენერგიული სვლა. მყარი ნაბული და ბრძანებისთანავე მიტანება მეძებრის მუშაობის აუცილებელი კომპონენტებია. მიტანება მიზანმიმართული, აუჩქარებელი უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში განსაკუთრებით სწრაფი, ენერგიული მიტანებაა საჭირო. მაგალითად, ხოხობზე და სხვა სწრაფად მორბენალ ფრინველზე ნადირობისას. დიდი მნიშვნელობა აქვს ძაღლის გამძლეობას. და კიდევ - ძაღლი უნდა მუშაობდეს პატრონთან სრული კონტაქტით, სწრაფად რეაგირებდეს ყოველ ბრძანებაზე და დაუყოვნებლივ ასრულებდეს მას.

ვთქვათ, გადაწყვიტეთ ლეკვის აყვანა, აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ჯიში და შეუდექით ლეკვის ძებნას. "დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო" - ეს ანდაზა ამ შემთხვევაშიც უპრიანია. პირველ ყოვლისა, უნდა გაარკვიოთ როგორი მშობლებისგან აგყავთ ლეკვი, რა მახასიათებლები აქვთ მათ ექსტერიერის მხრივ და განსაკუთრებით, რა საველე თვისებები გააჩნიათ.

მეორე პირობა - როდის აგყავთ ლეკვი, ანუ წელიწადის რა დროს არიან ისინი დაბადებულნი. ყველაზე ხელსაყრელია გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში დაბადებული ლეკვის შეძენა. ამ დროს დაბადებული ლეკვი გაცილებით მეტ ვიტამინს ღებულობს, სითბოშია, მეტ ხანსაა სუფთა ჰაერზე და აქედან გამომდინარე, უფრო კარგად იზრდება და ვითარდება. ახალგაზრდა მონადირეები ხშირად სვამენ შეკითხვას: აპრილ-მაისში დაბადებული ლეკვი ნადირობის სეზონის გახსნისათვის რომ ვერ მომესწრებაო? აპრილ-მაისისა კი არა, იმავე წელს სერიოზული ნადირობა იანვარში დაბადებული ლეკვითაც არ არის მიზანშეწონილი. ლეკვი ვერ ასწრებს ნორმალურ განვითარებას, დაგეშვას და, აქედან გამომდინარე, მისი სრულფასოვან სანადირო ძაღლად ჩამოყალიბება მეტად პრობლემატურია.

ახალგაზრდა ძაღლი ნადირობის პირველ წელს ზედმეტად არ უნდა გადავტვირთოთ. მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს არა ნადირობაზე, არამედ ძაღლის სწორ მუშაობაზე. არ არის აუცილებელი, პირველ წელიწადს ძაღლს ვაიძულოთ მოკლული ფრინველის მოტანა, მითუმეტეს ინგლისურ ჯიშებს. საერთოდ მიზანშეწონილია, კონტინენტალურ მეძებრებს მოტანა დავავალოთ ნადირობის მეორე წელს, ხოლო ინგლისური ჯიშის ძაღლებს მესამე-მეოთხე წელს. გვახსოვდეს, რომ მოტანა იწვევს ფრინველზე გაკიდების პროვოცირებას და მოზრდილი ძაღლი თუ გაკიდებას მიეჩვია, მისი გადაჩვევა მეტად ძნელი და სათუო საქმეა. საერთოდ, რა ასაკისაც არ უნდა იყოს ძაღლი, სრულიად არ არის საჭირო, რომ ყველა მოკლული ფრინველი მოგირბენინოთ. მოტანა მან უნდა შეასრულოს მხოლოდ ბრძანების შემდეგ და ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც ფრინველი ვარდება მონადირისათვის ძნელად მისაღწევ ადგილებში - წყალში, ხევში, ხშირ ბუჩქებში და სხვ.



# მივხედოთ თბილისის ზღვას, სანამ ლოქო შეგვჭამდეს



**ქართველ მეფეთა საყვარელი სანადირო ადგილი, გარეული ღორის საბუდარი ყოფილა ადრე გაუვალლელქაშიანი სამი მლაშე ტბის შემოგარენი. ჯერ კიდევ თამარ მეფეს გასჩენია სურვილი, გადმოესროლა იორი და ამ ადგილას დაეგუბებინა, მშენებლობაც დაეწყოთ, მაგრამ მიზეზთა გამო შეჩერებულა.**

**თბილისის ზღვად წოდებული წყალსაცავი 1952 წელს გაიხსნა დიდი ზარ-ზეიმით. გათვლილი იყო ყოველი წვრილმანი, ვინაიდან სხვა შემთხვევაში იგი დამოკლეს მახვილს დაემსგავსებოდა თბილისის თავზე. წყალსაცავის შექმნის სათავეებთან იდგნენ ქართველი იხტიოლოგებიც, რომლებიც მაღალპროფესიულად მიუდგნენ თბილისის ზღვაში თევზთა ჯიშების განსახლებას, ვინაიდან წყლის სანიტარული მდგომარეობის პარამეტრები ბევრადაა თევზზე დამოკიდებული.**

**აი რას გვეუბნება თევზის პროდუქტების ინჟინერ-ტექნოლოგი ბატონი გია ჯამბერიძე:**

- მე ვიტყოდი, თევზის მტაცებლურმა განადგურებამ, სრულიად შეცვალა თბილისის ზღვის ეკოლოგიური სურათი. წყალსაცავი თავიდანვე თბილისის სასმელი წყლის მარაგის შესაქმნელად დაარსდა და იხტიოფაუნის განსახლებაც ამის მიხედვით მოხდა. ვინაიდან წყლის დონის ამპლიტუდა ადრე ძალზე დიდი იყო, ლელქაშის და წყალმცენარეების გავრცელების საშიშროება ნაკლებად ჩანდა. თეთრი ამურის მასიური გაშვებისაგან ამიტომ შეიკავეს თავი მეცნიერებმა. აქცენტი ხრამულზე და ნაფოტაზე გადაიტანეს და მათ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს ისინი 1990 წლამდე ბრწყინვალედ ასრულებდნენ. ის კი არა და, თევზის მოჭარბების ასაცილებლად სხვადასხვა დროს წყალსაცავში ორაგული და ლოქო იქნა გაშვებული. ეკოლოგიური ბალანსი დაცულად მიაჩნდათ და რომ იტყვიან, თხაც მაძღარი იყო და მგელიც.

რა შეიცვალა ამ 12 წელიწადში?! ძალიან ბევრი. განადგურდა შამაია. განადგურდა ხრამული. სულს ღაფავს ნაფოტა. შედეგი: გაუარესდა წყლის სანიტარული მდგომარეობა; შეინიშნება წყალმცენარეების უზომო მომრავლება და კოლოც საკმაოდ მომრავლდა.

- ე.ი. ბატონო გია, ეკოლოგიური პოლიცია თავისი არსებობის დასადასტურებლად ნემსკავებს უთვლის მეთევზეებს მაშინ, როდესაც კილომეტრიანი ბადეებით არის დაქსელილი წყალსაცავი და უკანასკნელ ლიფსიტას განადგურება ემუქრება. ჩემი მონაცემით, ყველაფერ ამას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს, ჩამოთვლილის გარდა. თევზის განადგურების უმთავრესი მიზეზი: ჩასადგმელი ბადეებით განუკითხავი ბრაკონიერობაა, ძირითადად მიგრაციისა და საქვირითე ადგილებში; მეორე კი - თევზდაცვის სათანადო მაკონტროლებელი ორგანოს სრული კორუმპირებულობა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

- ჩემი გათვლით, თბილისის ზღვაში, დაახლოებით, 40 ტონა ლოქოა. მოგეხსენებათ, ლოქო სიგრძით 5-6 მეტრს აღწევს და წონით 300 კგ-საც აჭარბებს. მე არ მინდა პანიკა დავთესო მოსახლეობაში, მაგრამ რას მოიმოქმედებს 200-300 კგ-იანი მშიერი ლოქო, რთული წარმოსადგენი არ არის.

**- ე.ი. თქვენ არ გამორიცხავთ ადამიანზე თავდასხმასაც?**

- დიახ. თუ მტაცებლური თევზჭერა არ შეჩერდა, ლოქოსაგან ადამიანზე თავდასხმა გარდაუვალია. ეს, უბრალოდ, დროის საკითხია.

**- გამოსავალი?**

- სასწრაფოდ უნდა შეწყდეს ჩასადგმელი და მოსასმელი ბადეებით თევზჭერა. გადაუდებელია სქელშუბლას, თეთრი ამურის, ხრამულის 1-5-გრამიანი ხუთი მილიონი ლიფსიტის გაშვება დასაწყისისათვის, რომლებიც წყალსაცავის დაჭაობიანებას აღკვეთს და შეწყდება წყალმცენარეების უზომო მომრავლება. ჩემთვის გასაგებია წყალსაცავის სტრატეგიული მნიშვნელობა, მაგრამ მერწმუნეთ, თუ მას პატრონი არ გამოუჩნდა, დასაღუპადაა განწირული.

**- ბატონო გია, თქვენ ბრძანეთ თევზის განადგურების შესახებ. რატომ იგივე ლოქოს არ დაემუქრა?**

- ლოქოზე თევზაობა შრომატევადი და საშიში საქმეა. ჩასადგმელი ბადე კი ძუისაგანაა მოქსოვილი. ასმეტრიანიც კი 2-3 კგ-ს იწონის, წყალში ვერტიკალურად დგას და ღამით გამვლელ-გამომვლელი თევზი ლაყუჩებით იხლართება შიგ. მოკლედ, ნაკლები დანახარჯები, ნაკლები შრომა ესაჭიროება და ამ საქმეს ორი კაცი ადვილადართმევს თავს. მაშინ, როდესაც მოსასმელ ბადეს 10 ადამიანიც არ ყოფნის და თევზის მარაგის კატასტროფულად შემცირების პირობებში - არარენტაბელურია.

**- ბატონო გია, გურულები იტყვიან - ტარანა თვლითააო - ჰოდა, რა დაჯდება, ვთქვათ, 5 მილიონი ლიფსიტა?**

- რა თქმა უნდა, უფულოდ არაფერი კეთდება. ადრე საქართველოში წარმატებული თევზსაშენი მეურნეობები გვქონდა. გამოირჩეოდა გეჯეთის თევზსაშენი მეურნეობა, რომელსაც დღესაც შეუძლია წარმატებით გადაჭრას აღნიშნული პრობლემა. ამჟამად ბაზარზე 1-გრამიანი კობრის ლიფსიტა 2-3 თეთრი ღირს, კალმახის - 7-8 თეთრი. ე.ი. 5 მილიონი კობრის ლიფსიტა 100 000 ლარი დაჯდება.

**- ბატონო გია, ვთქვათ, განხორციელდა წყალსაცავში ლიფსიტების გაშვება. ხომ შეიძლება, თევზი ისე მომრავლდეს, რომ წყალს გემო შეუცვალოს.**

- წყალს თევზის სუნს წყალსაქაჩ სადგურებზე ფილტრების უქონლობა აძლევს. მოგეხსენებათ, მოზრდილი მილების წყალში არსებობა თევზს კარგი თავშესაფრის ილუზიას უქმნის, წყალსაქაჩის ჩართვის შემთხვევაში თევზი სასმელი წყლის სისტემაში ხვდება და ვერავითარი დაქლორვა მას ველარ შველის. სხვა შემთხვევაში თევზის სიმრავლე - პირიქით, წყლის ეკოლოგიურ მდგომარეობას აუმჯობესებს. ყველაფერ ამას თუ კიბოს და წყლის კუს წავამატებთ, სურათი იდეალური შეიქმნება და თევზს მძლავრი თანამებრძოლები გამოუჩნდება თბილისის ზღვის გაჯანსაღების საქმეში.

**- ბატონო გია, მეთევზეთა ნადავლში ხშირია მუცელგაბერილი თევზი. განსაკუთრებით ვიმბა და შამაია. მეთევზეები ამას სოლიტერს აბრალებენ.**

- თქვენ, ალბათ, კარიოფილეზზე საუბრობთ. იგი საკმაოდ გრძელი პარაზიტია და ბაფთას წააგავს. ასეც ეწოდება - ბაფთისმაგვარი კარიოფილეზი. ეს პარაზიტი ადამიანისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ თევზს მუსრს ავლებს. მან თბილისის ზღვაზე ერთ დროს დომინანტი ქაშაყი თითქმის პირწმინდად გაანადგურა. მეცნიერებამ ამ დაავადების წინააღმდეგ გადამჭრელი, ეფექტური მკურნალობის მეთოდი ჯერჯერობით ვერ შეიმუშავა. სხვა შემთხვევაში თევზთან ფრთხილი მოპყრობაა საჭირო და თუ პატივს ვცემთ საკუთარ ჯანმრთელობას, თევზი მხოლოდ მოხარშულია უსაფრთხო.

**- დამერწმუნებით, ძალზე საინტერესოა იმ ადამიანთან საუბარი, რომელთაც მთელი მსოფლიოს ზღვები და ოკეანეები აქვს თევზაობით მოვლილი, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ და შევახსენოთ მავანს - "ნუ წაბილწავ ჭას, საიდანაც წყალს სვამ!"**

*ესაუბრა როლანდ მალანია*

**იყიდება** ირლანდიური სეტერი, ხვადი, 2 წლ. რუსეთიდან ჩამოყვანილი. დედ-მამა ჩემპიონები. თვითონ საველე გამარჯვებული. საველე დიპლომები: 2 - II ხარისხის. ტელ: 8(99) 19 10 53, 60 23 77.

**იყიდება** ინგლისური სეტერის მოზრდილი ლეკვები, ექვს-ექვსი თვისანი. 2 ძუ. ჩინებული საგვარეულოთი. მამა საველე დიპლომებით. ტელ: 31 48 35.

**ვიყიდი** სასტენდო თოფს МЦ-8 ან МЦ-108. კარგ მდგომარეობაში. აუცილებლად მეორე წყვილი ლულებითურთ. ტელ: 99 83 00. იკითხეთ ენვერი.

**ჩანართი მოამზადა შადიმან შამანაძემ**

## ბინები

### იყიდება

იყიდება ფიქრის გორაზე, საუნა, აუზი, კინოდარბაზი .... ფასი 250000. ხედით ყაზბეგის და უნივერსიტეტის მხარეს. ტელ: 899 961060, 233306.

იყიდება ბინა ვერაზე, მუავანაძის სახლთან, ახლმშენებარეში. 1კვ/მ -350, თითქმის გერმანული სადარბაზო, ორი ავტოფარეხით. ტელ: 899 18 00 50 შალვა ან 22 03 61 მარიკა.

იყიდება მშენებარე ბინა ფიქრის გორაზე. "ცკ"-ს სახლის პირდაპირ. "უცხოელი მენავთობეების სახლში". 1მ/კვ - 350. გადახდა ეტაპობრივი. ტე;: 23 33 07, 22 12 57 ან 8777 39300

იყიდება 1-ოთახიანი, გარემონტებული ბინა მე-2 სართულზე, რუსთავში. მიოს: ლეონიძის №2-37. ტელ: 8(24) 15-42-62

იყიდება ბინები ვაკეში "ფრანცისასთან", თითქმის პირდაპირ ახალმშენებარე სახლში. სახლს დარჩება 1300 კვ/მ ეზო ბავშვებისთვის, ავტოფარეხებით. ფ. 1მლ 370000. ტელ: 899 96 10 60, 23 33 07

იყიდება სუფთა 4-ოთახიანი ჩეხური ბინა მეტრო პოლიტექნიკურთან. 38 75 75

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვაკეში. ს.ფ. 140 კვ.მ. მაღალი ბელეტაჟი. გამოდგება საოფისედ. 32 43 51, 20 სთ-ის შემდეგ

იყიდება "ჩეხური" 4-ოთახიანი სუფთა ბინა მეტრო "პოლიტექნიკურთან". 38 75 75

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა დოლიძეზე 14 (16). ფასი 27 000. 33 76 07

იყიდება 2-სართულიანი სახლი ავჭალაში. 8(97) 58 85 68

იყიდება "ჩეხური" 3-ოთახიანი ბინა გლდანის VII მ/რ-ში, ტელეფონით და ავტოფარეხით. 37 88 77

იყიდება 2-ოთახიანი ბინა დიდი მიშენებით მეტრო "წერეთელთან". 34 48 60

იყიდება 3-ოთახიანი ბინა კოლმეურნეობის მოედანზე "პირიმზესთან" 28 000-ად. 93 10 22; 8(99) 91 44 05

იყიდება 2-სართულიანი საკუთარი სახლი 1000 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი გლდანის V და VII მკ/რ-ს შორის. 67 76 59

იყიდება 2-სართულიანი აგარაკი მცხეთის რაიონის სოფელ ხეკორძში. 34 77 79

იყიდება 4-ოთახიანი ბინა მიმდინარე რემონტით, ვაზისუბანში. საწყისი ფასი 6 000. 79 96 46

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8(9). მეტრო დიდუბესთან. 52 73 72

იცვლება 4-ოთახიანი ბინა ნაკლებ ფართზე მეტროსთან ახლოს. 52 73 72

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული 4-ოთახიანი ბინა ვარკეთილში 5 500-ად. 61 47 33, 8(93) 37 38 56

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი ბინა სანზონაში, 12 000-ად. 61 47 33, 8(93) 37 38 56

იყიდება იზოლირებული 1-ოთახიანი ბინა იტალიურ ეზოში ნინოშვილის ქუჩაზე. 96 82 65



იყიდება ორთაჭალაში რესტორან "თამარიონთან" კერძო სახლი ეზოთი. ფასი 160 000$. ტელ: 98-52-81

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

იყიდება კერძო სახლი ფოთში. ზღვის სანაპიროზე. ეზო 600 კვ/მ. სარემონტო. 899 981909

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ბაღით ხაშურის რაიონის სოფელ გომში. 60 66 14

იყიდება 3-ოთახიანი ბინა იტალიურ ეზოში. ბინა იზოლირებულია. გამცემლიძის 29. 9000-ად. 51 60 18

იყიდება 2-ოთახიანი, გადაკეთებული 3-ად 2(3). ყველა სათავსოთი. ჯანაშიას 9. 23 05 63

იყიდება 3-ოთახიანი საბურთალოს ქუჩაზე დიდი მიშენებით და დაშენებით. 38 30 11

იყიდება 3,5-ოთახიანი ბინა კაპიტალური რემონტით მეტრო "ისანთან". 77 34 79

იყიდება 115 კვ.მ. 4-ოთახიანი ვაკე-საბურთალოზე, თამარაშვილზე 3(8). 64 24 50, 95 75 10

იცვლება კერძო სახლი 2 ბინაზე. 69 13 79

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ხილიანზე. 33 36 29

იყიდება 4-ოთახიანი ბინა გლდანის II მ/რ. ჩეხური პროექტი. ს.ფ. 14 000$. 57 12 10

იყიდება კერძო სახლი ხეხილიანი ბაღით მერვე საავადმყოფოსთან. ხორნაბუჯის 85

იყიდება შესანიშნავი ბინა გადასარევ ადგილზე: ზედა, მარჯანიშვილის მოედანზე, ხუთსართულიანში, მე-3 სართულზე. 3-ოთახიანი (4-იანის პერსპექტივით), ორი აივნით (ვერანდა - 12 კვ.მ.). საერთო ფართი 100 კვ..მ. ოთახები 31+20+14 კვ.მ. ახალი გარემონტებული. ფასი 65 000 $. 95 52 15

იყიდება 3-ოთახიანი ბინა. ს/ფ. 110 კვ.მ. ჭერი 3 მ. 6+4. ახალი რემონტით. დარჩენილია კედლების შეღებვა (პარკეტი ნაყიდია). ფასი 31 000 $. 39 11 68, კუტუზოვის ქ. №20

იყიდება სუფთა 4-ოთახიანი ჩეხური ბინა მეტრო პოლიტექნიკურთან. 38 75 75

იყიდება 1-ოთახიანი გადაკეთებული ორად. სუფთა ბინა დიღომში. 52 10 31

იყიდება დიდი 3-ოთახიანი ბინა დიდი ლოჯით, არაყიშვილის I ჩიხში. ფასი 40 000. 22 28 16

იყიდება 2-სართულიანი სახლი ვაკეში. 29 11 50

იყიდება კერძო სახლი ეზოთი მცხეთაში, დედათა მონასტერთან. 92 03 30 საღამოს

იყიდება 2-სართულიანი სახლი პატარძეულში. 67 23 18, 57 56 12

იყიდება სახლი სოფელ დიღმის დასაწყისში. 60 29 74

იყიდება 3-ოთახიანი ბინა სანზონაში. 60 75 06

იყიდება 750 კვ.მ. 2-სართულიანი აგურის შენობა სარდაფით და დიდი ხეხილიანი მიწის ნაკვეთით ორთაჭალაში, არის ყველა კომუნიკაცია. 75 53 55

იყიდება "ჩეხური" 4-ოთახიანი სუფთა ბინა წერეთლის გამზირზე, პანთეონთან 3(9), 35 000-ად. 95 33 48

იყიდება 1-ოთახიანი მეტრო "ნაძალადევის" უკან, ფასი შეთანხმებით. 66 01 86

იყიდება "ჩეხური" 4-ოთახიანი სუფთა ბინა მეტრო "პოლიტექნიკურთან". საბურთალო - კუტუზოვის №1. 38 75 75

იყიდება დიღმის მასივში, ხიდთან, 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა 1(5) სართულზე. სველი წერტილებით, კაფელით, ორი რკინის კარით და სარდაფით, ლოჯით, ტელეფონით. 8(99) 55 35 76, 51 55 66

იყიდება გარემონტებული 1-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას ძეგლთან. 32 46 95

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, მეტრო დიდუბესთან ახლოს 8(9) ან იცვლება ნაკლებ ფართში. 52 73 72

იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური სუფთა ბინა მეტრო პოლიტექნიკურთან. 38 75 75

იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი ავჭალაში. 8(97) 58 85 68

იყიდება 2-სართულიანი აგარაკი, 5-ოთახიანი, 1500 კვ.მ. შემოღობილი მიწის ნაკვეთით, ცხვარიჭამიაში. 4500-ად. 58 09 34

იყიდება 3-ოთახიანი ბინა იტალიურ ეზოში, გამცემლიძის №29-ში. ფასი 9 000. 51 60 18, 8(99) 58 57 54

## მიწის ნაკვეთები

იყიდება ნაკვეთი საბურთალოზე. 75 53 20 საღამოს

გთავაზობთ მიწის ნაკვეთს ვერაზე 300კვ.მ. ინდივიდუალური სახლის ასაშენებლად. (გარაჟი 20, მარანი 20; დიდი ოთახი 40; სამზარეულო 18; სამი საძინებელი 15-16-18; აუზით; ტერასით) საერთო ფართი 180კვ/მ. 1კვ/მ _ის ფასი 300 დოლარი, ეტაპობრივი გადახდა. ზანდუკელის 26. ტელ: 995215 8(99) 100641, დათო.

იყიდება ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტთან, "ფრანციასთან" 6300 კვ/მ მიწის ნაკვეთი. შესაძლებელია, აშენდეს 25000კვ/მ ოფისები და ბინები. შესაძლებელია ნახევრის ყიდვა ან ადგილზე ფართებით დაკმაყოფილება. ტელ: 893 96 10 60 ან 23 33 06

იყიდება დელისთან მიწის ნაკვეთი 18000 კვ/მ. საწყისი ფასი განვადებით 500000. ერთი კაცის კერძო საკუთრება. მოგება რჩება 349 000. გირჩევთ!. იშვიათია! ტელ: 899 50 08 06 თავადი ირაკლი ჯანდიერი. 22 07 89 აზნოურიშვილი ირმა ორჯონიკიძე

იყიდება ან იცვლება ადგილზე ბინებში მიწის ნაკვეთები ფიქრის გორაზე. კუთხის 1500კვ/მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება ყიფშიძეზე 4000 კვ/მ-ზე მეტი. მოთხოვნა 30 პროცენტიანი 90900 (განვადებით. შეიძლება 20 000კვ/მ. ტელ: 23 33 06 ან 899 961060)

გთავაზობთ ნაკვეთებს ვერაზე ინდივიდუალური სახლების პროექტითა და მშენებლობით. ზანდუკელის 26. ტ: 99 52 15, 8(99) 100641

იყიდება ვაკის პარკთან, აბაშიძეზე ნაკვეთი 700კვ/მ. ფასი დაახლოებით 400 000, განვადებით და ფართებით. აქ აშენდება 11 სართული. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება გლდანში, თიანეთის გზატკეცილზე, ნაკვეთი 2600 კვ.მ., მსხმოიარე ხეხილით. არის წყალი, 3 ფ. დენი. პერსპექტიულია როგორც საცხოვრებლად, ასევე საწვავგასამართი, პოლიკლინიკისა და სხვა მშენებლობისათვის. კვ.მ. - 5 $. მე გადავუფორმებ. 57 15 77, 8(99) 14 73 24 ნუგზარი

სასწრაფოდ იყიდება 1 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი წყნეთში, რეალურ ფასში. 29 83 54

სასწრაფოდ იყიდება 1 200 კვ.მ. ნაკვეთი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ. ს/ფასი 8 500. 30 90 16

იყიდება 1500 კვ.მ. სააგარაკე ნაკვეთი კახეთის გზატკეცილიდან 30-ე კმ-ზე. შემოღობილი. ხეხილით, დენით, სარწყავი წყლით, სახლის ფუნდამენტით. ფასი 1200 $. 23 11 38 დალი

იყიდება 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნაძალადევის რაიონში. 61 80 31იყიდება 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გოგებაშვილის პირველი ჩიხის ბოლოში. ფასი 11 000. 38 31 35 ნინო

სასწრაფოდ იყიდება მიწის ნაკვეთი - 160 კვ.მ. დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს უკან. კვ.მ. - 8-ად. 52 98 04

იყიდება 270 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 1-სართულიანი სახლით ანჩისხატის უბანში, ავლევის შესახვევში. 8(99) 23 59 13

სასწრაფოდ! იყიდება დიდი მიწის ნაკვეთი ბაგებში დიდებული ხედით. ს/ფართი 1600 კვ.მ. ოროთახიანი ბინით. ს/ფასი 57 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ! იყიდება 2600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დიღმის მასივში, პოლიციის სამმართველოსა და საბავშვო ბაღს შორის. შემოღობილი, ყოფილი საქვაბე ორსართულიანი შენობით. 1 კვ.მ. ფასი 35 დოლარი. 8(99) 51 58 54

## კომერციული ფართი

ქირავდება საოფისე ან სამაღაზიე ფართი ალმაშენებლის №146. 8(99) 56 21 46 ქეთი

